

319.

მ რ ს გ ბ ი

თ გ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწიდი შეტყიდე

№ I

0 5 6 3 5 6 0, 1900



ტყილისი

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიერ გრუზ. ნ. ბ. ა.

1900

С 896 № 393

Год

Х 896

Дозволено цензурою. Гифлісъ, 15-го января 1899 г.



0007000

00098

შ ი ნ ს ს რ ს ი

	83.
I— ჩამუშაძის გაცირება.—I—IV.—მოთხრობა დაფილ ქლდიანშეიღიასა	1
II—საახალწლო ფიტჩი.—ლექსი გ. რუსამისა. . . .	49
III— „უცნაურია, უცნაური!...“ ფსიხოლოგიური ეტიუ- დი შ. არაგიაშვილებისა. . . .	50
IV—ჩივი აღსაჩება.—ლექსი გ. რუსამისა	58
V—პრაზანა.—რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ე. გონია- ნისა, ნაწილი მესამე.—I—II. თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება).	59
VI— დამოცებული.—რომანი პოლგართა ცხოვრები- დან, ღვ. ვაჭავაძისა, ნაწილი მეორე. —XX—XXV. თარგმანი თ. ს.—სი (გაგრძელება).	89
VII— ჩართული თეატრი და ლიტერატურა.—50 წლის იუბილეის გამო.—პ. უმიგამებილისა.	1
VIII— მიმდევა დროის არზა	31
IX— პასუხის პასუხი. — (დავით ბაქრაძეს და აკაკის). სი- ლოგიანისა.	33
X— ჩარლზ პარელი.—ეგ. ტარლესი.—X—XI. თარ- გმანი (დასასრული).	44

XI—† გიორგი შერეტელი —ნეკროლოგი.

64

ქრონიკა:

XII—შინაური მიმოცილვა.—ქართული თეატრის დღესასწაული.—მისი ნელი წინსვლა და ამის მიზეზები.—ქართული დრამატ. საზოგადოების მოღვაწეობა.—ამ მოღვაწეობის გაფართოვების საჭიროება.—გიორგი წერეთლის გარდაცვალება.—გარდაცვალებულის მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში.—მისი დაკრძალვა და ზოგიერთ ვაქებატონთა უღირსი საჭირელი. დადასა

65

XIII—უცხოეთის მიმოცილვა.—ბრძოლა სამხრეთ-აფრიკაში.—დადასა

81

XIV—განცხადებანი.

ქართველი განირვება

(ମେତ୍ରକାଳୀପା)

ქაშუამის გაფილვება

II

სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა; რომ
აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა: დედა მისი ეკვირინე,
აზნაურ სანიკიძის გვარის ქალი, მოხუცებულობაში შედიოდა,
უჭირდა ოჯახის თავის გართმევა და შემწე ეჭირებოდა, თუ
სულ განმათავისუფლებელი არა. სურდა, რომ ამ დაბოლოს მაინც
სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მაინც გაეტარებინა ისე,
როგორც ეკადრებოდა მისი გვარისა და ჩამომავლობის ქალს,
ლისსეულად და ბატონურად, იმ გაჭირვებულ ცხოვრების შემ-
დეგ, რომელიც მან ამ ოჯახში მოთმინებით გაატარა.

არა ერთხელ წამოსცდენია გულმოსულობაში ეკვირინე:

— ვაი დედასა!.. რა ოჯახის შვილი ეის ნაცარში ვიქე-
ქები და კიდევ ასეთ გაჭირვებაში?..

მაგრამ სულგრძელობით ითმენდა ყოველიფერს, რადგან
სწამდა, რომ ბედის დანიშნულების ასრულებდა: ამ ოჯახს და-
ჩემებულივით ჰქონდა დედაკაცები კარგ ოჯახებიდან ჰყოლო-
და და ალბად ეკვირინეც იმიტომ შეახვედრა ბედმა ბესარიონ
ქამუშაძეს, თუმცა, სიმართლე რომ ეთქვა კაცს, მაინცა და
მაინც სანიკიძეები ერთაგრით უსწრობდნენ ქამუშაძეებს. მაგ-
რამ ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი უპირატესობა და რად-
განაც არ უნდოდა მოეშალა ოჯახის ჩვეულება, როცა რძლის
მოყვანა განიზრახა, არჩევანი მიიტანა თავის მეზობელ აზნაურ
სარდიონ ქველიდის ქალიშვილზე.

ქველიდე კარგი გეარის აზნაური იყო, წინად მდიდარიც იყო ჩვენს პირობაზე და დღეს კი შევიწროებულ მდგომარეობაში იყო; ამ გარემოებამ უფრო გააბედვინა ქამუშაძეებს მასთან დამოყერების სურვალი გამოეცხადებინათ, თორემ სხვა დროს ესენი ვერ გაუბედავდნენ სარდიონს ქალიშვილის თხოვნას.

მიუხედავად ამისა ქამუშაძეების წინადადება არ იქმნა ლირ-სეულად მიღებული. პირდაპირ უარი რომ არ ეთქვა, სარდიონშია ამის შესახებ ურჩია პირდაპირ ქალიშვილს მოჰლაპარაკებოდნენ და, თუ იგი ისურვებდა, აღარც სარდიონი იქნებოდა უარს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მზითვებზე ხელი აეღოთ.

ამგვარმა პასუხებმა მეტად აპილაბილა ეკვირინე.

— ქალიშვილს დავეკითხო, რა! — ბრძენი გაწყდა ოჯახში თუ როგორ არი მათი საქმე, ბავშვებთან არ მალაპარაკონ?! მერე მისი ცარიელი ქალი ვის რად უნდა!.. რა დაბრმავებულები გვნახეს, თვალი მაგათ დაუდგათ და ყური!! მაინც თვალი მაგათ ემსებათ — ვერ ხედავნ რა მდგომარეობაში არია?! რავა იყინჩებიან კიდევ, შენ გენაცვალე?!.. რა გონიათ თავისი თავი... შევარცხვინე, ვინც მაგათზე ნაკლები იყვეს! — ღმერთო კი მომკალი!..

ქალი სხეაც ბევრი იშოვებოდა, რახაკვირველია, მაგრამ ეკვირინე ქველიდის უკადრისობამ გააწიწმატა და მისის პასუხი საკუთრად თავისი თავისი თავისუყვარეობის შემლახველად მიიღო.

— მაგათ დააკლდათ ყორიფელი, მაგათზე ნაკლებები ვყოფილვართ, რომ შემოვსულვართ ამ ოჯახში?!.

— არ დამიჯერე, დედა, გეუბნებოდი; სირცხვილს გვაჭმევნ-თქვა... ხომ ახდა ჩემი სიტყვა! — ესაყველურებოდა ორია დედა მისს.

— მაცალე, შვილო, მაცალე!.. სირცხვილში ვინც იქნება, ამას ყველა დაინახავს!.. იმ უბედურს, ცოლშვილი რომ შიმშილით უწყდება, ის ერჩია, დიდგულობაზე ხელი აეღო, — ერთი შვილი მაინც მაძღარი ეგულებოდა!..

ქამუშამას გაჭირვება

8

გულს იჯერებდა ეკვირინე ქველიძის ცუდად ხსენებით. ოტია კი ხმას არ იღებდა, თუმცა გუნებაში ძლიერ სწყინდა ქველიძისაგან მისი უკადრისობა, ძრიელ ნაღვლობდა თავის შერცხვენას და მუდამ იმის ფიქრში იყო, რამენაირად, ლვის შეწევნით, მათ ჯიბრზე ისეთი ქალი მოეყვანა, რომ სარდიონის ქალიშვილს სჯობნებოდა. ამას ფიქრობდა ოტია დღე და ღმი და ამის ფიქრებში იყო გართული დღესაც, როცა თავის ეზოში, რცხილის ჩრდილში პერანგის ამარა, თავზე ხელსახოც-წაკრული, ფეხშიშველი, ნაჯახს ურტყამდა ურმის საბორძლედ გასათლელ ნამორს და ინდენად იყო გართული თავის ფიქრებში, რომ არც კი ეყურებოდა, სახელს რომ უძახოდა ღობეზე მომდგარი ეკროპიულად ჩატმული ცხენოსანი, სანამ ამ უკანასკნელმა ამაღლებულის ხმით არ გადომოსხახა:

— ოტიას გაუმარჯოს, ოტიას!

ოტიამ აიწია თავი, გამოიხედა საიდანაც ეძახოდნენ და რა დაინახა ცხენოსანი, უცბად გააგდო ხელიდან ნაჯახი, მოიგლიჯა თავიდან ჩითის ნაფლეთი, ფეხები გაუყარა იქვე გდებულ ქუსლებ-ჩათელილ წულებში, წამოავლო ხელი ახალუხს და მისი ცმით გამოექანა ამ უცხო პირისაკენ.

— გამარჯობა ოტია ჩემო! — კვლავ განიმეორა ცხენოსანმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო! — მიუგო ოტიამ.

— ერთობ გულმოდებინედ მუშაობდი, ოტია... ძლივს გაგონე! — ლიმილით უთხრა ცხენოსანმა. — ხომ მშეიდობითა ხართ! — და ხელი გადოუწყვინა ოტიას.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო!... გახლავართ ლვთისა და თქვენის წყალობით. შემოგვიხვიეთ, ბატონო პორფირი! — მოწიწებით შესთხოვა ოტია.

— მეჩქარება, ოტია ჩემო!... საქმე მაქვა!...

— ერთი მინუტით.... ცოტა დაისვენეთ და წაბრძანდით ისევ!... ამ სიცხეში შეწუხდებით ნამეტნავად, თქვენ ნუ მომკვდებით! შემოგვიხვიეთ, შემოგვიხვიეთ, შენი ჭირიმე!

სახლის ყურიდან გამოჩნდა თმა-გაძეძილი მოხუცებული ეკვირინეს თავი. ცეკვოსანმა თვალი მოჰკრა მას და ხმა-მაღლა მიაძახა:

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ, მამიდას, მამიდას!

ეკვირინე ერთი წუთით მიიმალა და ისევ გამოჩნდა; თავ-საფარ-დახურული იგი მოხუცებული იდამიანის კუნკულით გა-მოექანა ამათკენ და აქლოშინებული, შეღმართში ამორბენით, მიესალმა სტუმარს.

— მამიდა ეკვირინეს ვახლავარ! რავა შვიდობით გიკით-ხო, მამიდა, ხომ ისევ ჯანზე ხარ, ა?... გეტეობა, რომ ისევ მარჯვედა ხარ! — მხიარულად გადმოსძახა ცეკვოსანმა ეკვირი-ნეს, რომელსაც მამიდას ეძახოდა, თუმცა ამისი გაკვლევა ში-სი გამჭრიახი გონებისათვისაც მეტად ძნელი რამ იქნებოდა.

— რავა გზაში გაგიჩერებია ბატონი პორფირი, შე კაცო!

— მიმართა ეკვირინეშ შვილს, — შემობრძანდით, ბატონი!..

— მეჩქარება, მამიდა... სხვაგან საქმე მაქვს.

— საქმე ღმერთმა ნუ გამოვილიოს, სასარგებლო საქმე!.. მარა ჩვენთან შემობრძანებით არაფერი დაგიშავდებათ!.. ნუ ავეგილით გვერდს... საქმე თქვენ ვერსად გაგდეცვათ!.. ნუ დაგვწყვეტო გულს!

— სად მიიჩქარით შაინც? — შეეკითხა ოტია.

— ამ თქვენს კანცელარიაში მყავს დაბარებული ერთი კაცი...

— ოჭ, მე მეგონა შორს მიბრძანდებოდით სადმე!.. უთქ-ვენოდ სად წავა, თუ კი უბრძანეთ მოსვლა... ფეხს როგორ მოიცვლის!

— შემობრძანდით, შეეობრძანდით! — ერთხმად მიაძახეს პორფირის ორივე დედა-შვილმა.

სტუმარმა მეტი აღარ ათხოვია თავისი თავი და ჭიშკრი-საკენ აქნეენა პირი ცხენს. ოტია იქითკენვე გაფარდა შესა-გეგებლად.

— ასე გვერდს როგორ უნდა აგვიარ-ჩაგვიარო შენისთანა კაცია!.. თქვენისთანა კაცს ერთხელ თუ მოვესწრებით ოჯახ-



ში დევინახოთ და როდი უნდა დაგვაკლოთ, თქეე დალოცვი—
ლებო! ჩენც ვიცით თქვენსაეით მტერ-მოყვარე. თქვენისთანა
კაცი ამ ჩემს ოჯახში ფეხს რომ შემოადგამს, მტერს შიში მიე-
ცემა, მოკეთეს გული შეუმაგრდება.. ასეთია, შენი ჭარიმე ე
ჩენი სოფლის ამბავი, კი ჩემო ბატონო!—კავანობდა აიგან-
ზე გადმომდგარ სტუმრის წინ ეკვირინე, სანამ ოტია სახ-
ლიდან სკამს გამოუტანდა, ხელის გადასმით მტვერს გა-
დასწმენდდა და შესთავაზებდა პორფირის.

— დაბრძანდით, ჩემო განმანათლებელო... დაბრძანდით,
ჩემო ბატონო!.. დაბრძანდით!

სტუმრი ჩამოჯდა, მოიხადა კაზიროკიანი ქუდი, ვადისვა
მარჯვენა ხელი თავის ხუჭუჭა-თმიან თავზე, შეიწია პიჯაკის
სახელოები ზევით და სიამოვნებათ ამოიფშენა სიგრილეში.

ეკვირინემაც იქვე მოიკეცა ბოძთან იატაკზე.

— ერთობ სიცხეები დეიჭირი ამ დალოცვილმა!—სთქვა
პორფირიმ.

— დევიწვით, ბატონო, დევიწვით!.. ყანები გაოხრდა, შენ
გენაცვალე, გაოხრდა შენი მტერი!.. რალა გვეშველება ჩენ
უბედურებს! — ამიობრა ეკვირინემ.

— ღმერთი მოწყალე, მამიდა!... ნუ შეშინდებით!

— თქვენ არ შეგეშინდებათ ამისთანების, ჩვენისთანა სა-
წყალმა იყითხოს თვარა!... რამდენი ოხერი ყრია, შენ გენაც-
ვალე, რამ დაარჩინოს. ეგერ ეიმისი არ იყოს, შენი ჭირიმე!—
და მან ქვევითკენ რომ მოსახლეები მოსჩანდნენ, იქით გაიშ-
ვირა ხელი;— მოსაგლიიან წელიწადს რომ სარჩო არ ღირსებია,
ამისთანა გვალვიან წელიწადში შიმშილის მეტს რაღას უნდა
მოელოდეს.

— ვინაა მაგისთანა, მამიდა?

— ბევრია, შენ გენაცვალე, ბევრი!... აი თუ გინდა ეის
ვაჟბატონი რომ გახლავო, სარდიონი, ქველიძე! ეგერ ეის სახ-
ლი რომ მოჩან!, იმაშია!

— ვიცა, ვიცი, გამიგონია! აქაური ადვოკატია, გამიგონია!

— გაიცინა პორფირიმ.— რავა, ასე ღარიბად არის?

— რა სახსენებელია, შენი ჭირიმე!... ნეტავი იმდენი სი-
მინდი ჰქონდეს უბედურს, რაც გული იქნა!... კარიელი გუ-
ლია! — ეკვირინე გამზადებული იყო ოავისდა-უნებურიად შეემკა-
ქელიძე, მაგრამ ამ ღრმას ოტიამ ოთახის კარიდან თავი გა-
მოჰყო და დედას დაუმახა:

— დედა, შემობძანდი!

ეკვირინემ ბოლიში მოითხოვა სტუმართან და ოთახში შე-
ვიდა.

ოტიას კერაზე ცეცხლი გაეღვიებინა.

— უჩქარე, დედა... დიდხანს აღარც კი მოიცდის!

— ახლავე, ახლავე, შვილო! — მიუგო ეკვირინემ.

მან უცბად წამოავლო ხელი პატარა თუჯიას, ჩასხა შიგ-
წყალი და ჭვარტლის ნაფლეთებით შემოსილ საკიდელზე
ჩამოჰკიდა; მერე მივარდა კუთხეში გადაბრუნებულ საბუდარს,
იქიდან გამოათრია შიგ დამწყვდეული მუჭის ოდენა წიწილი-
და ოტიას მიაწოდა.

— აბა, გაუსვი დანა!... რა ბედად შევამწყარიე მაგი მე-
დლეს!...

აწრიპინებულს წიწილას ნისკარტში წაუჭირა ოტიამ ხე-
ლი, სანამ დანას მონახავდა; მერე უცბად გადაუსვა კისერზე
პატარა დანა და გვერდზე ისროლა. ოდნავ ყელ-წაჭრილმა წი-
წილამ რბენა დაიწყო ოთახში და სისხლით მოსეარა მიწის ია-
ტაკი, სანამ სისხლისაგან დაწრეტილი ზედ კერასთან არ და-
შეც.

— გადავარდი, შენ გენაცვალე, ი გოგო ფუსუტია მო-
მიყვანე, ხელს მომიწყობს, შენი ჭირიმე! — უთხრა ეკვირინემ
ოტიას, და ოტია იმ წაშვ უკანა კარით გავარდა

ეკვირინემ კი ერთი ცეცხლს შეუჩებურა, დაავლო ხელი-
წიწილას, თავით ჩარგო გაცხელებულ წყალში, მიატრიალ-მო-
ატრიალა შიგ და თან დასძახოდა:

— სუჭი-სუჭი, სუჭი-სუჭი! — ვითომდა ამით გამხდარი წიწი-
ლი მსუჭნად გადაიქცეოდა.

გაფაცურებით აცლიდა ეკვირინე ბუმბულს და თან შეუბრალებლად კანსაც წაგლეჯდა ლურჯ წიწილას, როცა ოტაასთან ერთად თოაბში შემოვარდა ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგო.

— არიქა, ჩემო ფუსუტია, შენებურად დამიტრიალდი, შენ გენაცეალე... ცხელი ჭადები... კაი-კაი, შენ რომ იცი, იმის-თანები!... უცხო კაცია, ქალიაქელია!....

გოგო ამგვარ გადმოძახებას ნაჩვევი იყო და ცქვიტად დატრიალდა: უცბად შეაგდო ცეცხლზე კეცები, კოდის თავიდან გადმოილო გობი, გადმოყარა საცერზე ფქვილი, წაიბანა წიკაპიწებული ხელები და მოძულებით დაუწყო საცრის გვერდებს პარტყა-პურტყა.

— ნელა, ფუსუტია, ნელა შვილო!... ნუ უპარტყუნებ მაგრე ხმაურობით, ნუ გააგონებ!... აბა ოტია, შვილო, შენ ღვინო ამოილე ხომ გითხრა—მექარებაო!.. ჩვენი ხათრი დარჩა, თვარა რამდენი კაცი ახლა მაგის მისვლას უდარაჯებს!— ვინ იცის ვის რა ხაქმე აქვს!

— ორშიმო რომ გამიტყდა, რითი ამევილო?— აწრიალდა ოტია.

— ხაპით ამეილე, შვილო, ხაპით... არაფერი არ უჭირს! ოლონდ ეცადე კი წმინდად ამეილო, ბრკე ბეერი არ შეჰყვეს! წადი, წადი, ნულა იგვიანება!...

— თუ ჩავუწედინე ხაპი!— გააქნია თავი ოტიამ და წყლიანი დოქით ხელში გასწია ღვინის ამოსალებად, რაც ძლიერ ნაკლებად ეგულებოდა ამ კვირკვისითვის მიწურულში.

ამასობაში სტუმარი აივანზე იჯდა და ამ ბრეკიდან, რომელზედაც წამოსკუპული იყო ოტიას პაწაწინა ორ-თვალიანი სახლი, გადასჩერებოდა მის თვალშინ გადაშლილ სურათს.

თავ-დაშვებული შემართი, რომელზედაც ოტიას სახლის გარდა კიდევ ბეერი მოსახლეები მოჩანდნენ, ქვევით ვაკდებოდა და ეს ვაკე დიდზე, შორს მიჰყვებოდა, სანამ მაღლაად ამართულს მთა-გორებს არ შეეფეთებოდნენ. ამ სივრცეზე მოსახლე მოსახლეს მისდევდა, თეთრი ეკულესები აქა-იქ მკაფიოდ

მოსხანდნენ და მაყურებელს ეგონებოდა, თითქმ ერთი უზარ-
მაზარი სოფელი მოფენილი ყოფილიყო ამოდენა მანძილზე.

უწინაც ყოფილია ამ ადგილებში პორფირი; გადაუხედავს
აქედან, მაგრამ ასეთი ხშირი მოსახლობა და გადაპირი მიმყა-
ლი სოფლები არ ყოფილა მაშინ. თვით ეს პატარა სოფელი
თამარ-ნაშენი, რომელიც მის თვალწინ იშლებოდა, თვალ-სა-
ჩინოდ გაზრდილიყო და შეემატებინა. საღაც წინად მინდერე-
ბი ახსოვდა, ახლა იქ ყანები მოჩანდა და ბევრ ადგილს სი-
მინდებიდან გამოიყურებოდა იხლით დახურული დაბალი სახ-
ლებრც; ეტყობოდა, მიწის ნაკლებობის გამო, საეზოოდ ვეღარ
იმეტებდა მცხოვრები აფგილს. პატარა, უფრო ქოხების მაგვა-
რი, სახლები საცოდავად ვამოიყურებოდნენ და ერთი მეორეს
მისდევდნენ, არ შორდებოდნენ, თავ-შეყრილად იყვნენ, თით-
ქო ეწადათ უფრო თვალ-საჩინოდ დაენახვებინათ მათი პატ-
რონების მდგომარეობა, თუ ფინმე მოიწადინებდა ამას.

— მეც ამათხავით ვიქწებოდი უსათურად, დროზე რომ არ
გაქცეულიყავი სოფლიადან! — გაუჩინა თავში პორფირის, —
რასაკვირველია, რასაკვირველია!...

პორფირი ბიაშვილი სოფლიდან გაქცეულთავანი იყო.
მამა მისი, აზნაური მაქსიმე ბიაშვილი, სოფელ ვაშლიანში
მცხოვრები, ლარიბი აზნაური იყო. ბატონ-ყმობის გაყრამ მას
ჩამოაცალა მისი ორი კომლი გლეხი, მთაშორა მისი სულის
ჩამდგმელნი პეტრია სებისკვერაძე და გლახუა ჩაჩიკაშვილი,
რომელთაც იგი ყოველ საქმეზე დაუსვენებლივ აჩანჩალებდა.
ამათი გაცლის შემდეგ მეტად გაჭირვებული ცხოვრება შე-
ხვდა და ერთ დღეს იმ აზრამდის მიერდა, რომ სოფელში
წვალებით ცხოვრებას ამჯობინა ქალაქ №-ში გადასახლება, ეპი-
სკოპიოსის მგალობლიდ შესელა, რადგან ხმაც კარგი ჰქონდა,
გალობაც იცოდა და ერთხელ თვით ეპისკოპოზის ყურადღე-
ბაც კი მიიქცია თავის გალობით, როცა იგი მათ სოფელში
მიბრძანდა. მაქსიმემ აასრულა თავისი აზრი, ადგილიც იშოვა
და თავისი ორი შვილი სასულიერო სასწავლებელში გამოზარ-
და. უფროსი შვილი ერთ-ერთ ეკკლესიის დიაკვნად ეკურთხა,

მეორემ კი სხვა გზა არჩია: პორფირის ცოცხალი ხასიათი, მკვირცხლი გონება, სასულიერო წოდების პირის მშვიდ ცხოვრებას ვერ შეურიგდებოდა და ამატომ სასწავლებლის გათავების შემდეგ ის შეეცადა, მომრიგებელ - მოსამართლის კანცელარიაში გადამწერის ადგილი ეშოვნა. გადამწერლობა, რასაკვირცხლია, ბევრს ვერაფერს შესძნდა, რომ სხვა აზრიც არ ჰქონებოდა და იმედი. ცოტა ხნის შემდეგ პორფირიმ კანცელარიის გარედ დაიწყო მთხოვნელების მიღება, მათი ხელმძღვანელობა, რჩევის ძლევა და დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყო მასთან მიმსვლელი — იქედან პორფირის გაცილებით მეტი ხედებოდა, ვიდრე პირდაპირი სამსახურიდან. რასაკვირცხლია, ყოველივე ეს ნამალევად ხდებოდა. ბევრი ხრიკები, დიდი ოსტატობა და კვეუის გამჭრიახობა გამოიჩინა პორფირიმ ამასთაში. მავრამ რამოდენიმე წლის შემდეგ ამავე ხრიკებისა და ოსტატობის მსხვერპლი შეიქმნა. იგი გაება რაღაც უსიამოვნო საქმეში, მასზედ უფრო ხრიკიან პირთან გადაკიდებით, რომელსაც ვერ ასიამოვნა შეპირებისამებრ და ამისაგან ყოველივე მისი მოქმედება-საქნარი გამოეცხადა უფროსს, რომელმაც უზრიანაობა თავი დაენებებინა სამსახურისათვის, თუ კი აპირობდა კიდევ თავის მოქმედების განმეორებას. პორფირი იძულებული შეიქმნა სამსახურისათვის თავი გაენებებინა.

მას არ დასჭირებია დიდი ხნის ფიქრი, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა, ცხოვრებისათვის საღსარი რომ მოეპოვებინა. მან გადასწუვიტა კანტორა გაეხსნა არზების საწერად, სოფლებში ვექილობა და ქალაქის აღოკატებისა და სოფოლებთა შეამდგომლობა. პორფირი არ შემცდარა თავის გარდაწყვეტილებაში: საქმე კარგად წავიდა, ფული რიგიანად შემოუდიოდა. მუდამ ჰყავდა თოთო სოფელი „საქმელად“; როცა ადგილი მოიჭმებოდა, ან და ხრიკიან იცვლეატს, რომელიც ორსავე მხარეზე ჰქერავდა, აბრუ გაუტყდებოდა და აღარავინ მიეკარებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა. სოფლის მოსიარულე აღვოკატი, დაუღალავი, ენერგიით საესე, მუდამ ხალისიანი, მოცინარი, გონება-გამჭრიახი, მოხერხებული, უკნაური ხრიკების მომკონი გასაკვირ-

ვებელ ადვილად უახლოვდებოდა ხალხს პირველ გაცნობიდან— ვე და ისეთნაირ მოხერხებით შეჰყვებოდა ერთხელ მის ხელში ჩავარდნილ პირს, რომ ძნელად თუ დაუძვრებოდა, სანამ მის-გან არ გამორჩებოდა, რამდენის გამორჩენაც შეიძლებოდა. მართალია, „მოჭმულ ადგილებში“ ბევრი მაგინებელი და შე-მაჩვენებელი ჰყავდა, მაგრამ ბევრი მადლიერიც, ბევრ ადგილის ისმოდა მისი ორპირობისა და გაუტანებლობის ამბები, კაცის შეუბრალებლობაც, ვიღაც-ვიღაცებისაგან კითომც მის გალა-ხვასაც იტყუდნენ, მაგრამ იგი ისევ თავის ხელობას ადგა და ახალ-ახალ მუშტარსაც შოულობდა.

თამარ-ნაშენშიაც სწორედ ამ განზრახვით შემოადგა მან ფეხი ახლა; საღაცაიდან გამონახა ქამუშაძესთან ყვავიჩი-კვის მამილობის მაგვარი ნათესაობა, რათა ბინა ჰქონებოდა ამათსა, საიდანაც სურდა დაეწყო ნავარდობა ამ ახალ საძო-ვარში.

და ამ მაღალ სერიდან რომ დასჩერებოდა აქაურ მოსახ-ლეებს, იგი მხოლოდ იმას ჰყიუქრობდა და თავის გუნებაში გა-რედან ზომაედა იმას, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა იგი ამათგან და რამოდენს საშოვარს შესძენდა ამათი გაჭირებუ-ლი, შევიწროებული და ვაგლახი ცხოვრება.

— რაც რომ იყოს, ცოტა ხნისათვის მაინც იქმნება, იშო-ვის კაცი რამეს! — წაილაპარაკა პორფილიმ იმედიანად. — ქვე-ლიდე ხომ შოულობს — ის ჩემი იქმნება! ამ ცოტა ხანში ყვე-ლაფერს გაეიგებთ!...

— უკაცრავად, ბატონო.... მარტოდ მიგატოვეთ! — შეუწ-ყიტა ფიქრი ოტიამ და პატარა დაბალი სუფრა გამოიტა-ნა, დადგა ერთ ადგილის ბალკონზე და რადგანაც სწორედ ვერ გააჩერა, ფეხის დასამაგრებლად ნაფოტი შეუდგა კოჭლ ფეხს.

— მშვენიერი გადასახედავი გქონია, ოტია!... აქ კაცს თა-ეის დღეში არ მოსწყინდება ყოფნა.... და უნდა გამოგიტყდე აწი ხშირ-ხშირად უნდა ვიარო ხოლმე შენთან ამ სურათის ჩერით დასატკბობად.

— კი ბატონი, ოლონდ კი ინებებდეთ და სახლიც თქვენია და ყორისფერი აქოური! — მიუგო ღიმილით ოტიამ და თან სუფრის მიტკლის გადასაფარებელი გადააფარა.

აივანზე გამოვიდა ეკვირინე ჭადებით ხელში.

— მარტოდ მიგატოვეთ, ბატონი, მარა თავად მოგეხსენდათ სოფლური ანგარიში, ნუ დაგვძრახვთ, ჩემო ბატონი!.. მოიტა, მოიტა, გოგო, მოიტა, რაც გვაქვს! — შეიძახა მან სახლში.

ცეცხლთან ტრიალისაგან ლოკებ აბრიალებულმა ფუსუნიამ გამოიტანა თეფზედ აქნილი წიწილი და მეორე თეფშით დათლილი ყველი და შრვანილი.

— უკაცრავად ვართ ამისთანა მცირე მასპინძლობაზე, მარა, რადგან ნაუცებებია, ეითომ ამისათვის გვეპატიება... თორებ ამისთანა ჰატივისცემა რა თქვენი საკადრისია! — მოიბოდი შა ეკვირინემ.

— ბოლიშები რა საჭიროა, მამიდა! — წამოიძახა მხიარულიდ ბიაშვილმა. — გამოტეხილი ვარ, სულზე მოსწრებაა ჩემთვის ეს ზაკუსკა მე და ჩემმა ღმერთმა.... ძალიან მშიოდა..... ეს უფრო მიმაჩქარებდა კანცელარიისკენ — დუქანში წევიტამდი ცოტაოდენს, თვარა იმ ყაზახს რას დავვებებდი იმდენად... უჩემოდ სად შეუძლია ფეხი გადაადგან!... — და პორფირ თან მაციანად ილუქმებოდა და თან არც ლაპარაკს აკლებდა. ბევრი რამე ითქვა, მაგრამ ეკვირინემ ისევ ქველიძეზე მიაგდო სიტყვა ჩვეულებისამებრ.

— თუ დამიმადლებ, მამიდა, ასე მოგიღუნავ მაგ შენს სარდიონ ქველიძეს! — გადიხარხარა პორფირიმ და მარჯვენა ხელის მაჩვენებელი თითო მოკაკვა, — ასე მოვკაკვავ! ასე, ა!

— ღმერთი ყოველს კარგს შეგასწრებდეს და რომ მოინდომებდე, შენ ეგ არ გაგიჭირდეს, მისგან უფრო არ გაუჭირდა ნურაფერი შენს მომავალსა და ნათესავს! — მიაძახა ეკვირინემ.

— როგორც გეტყობა, ძალიან შეგძულებია, ჩემო მამიდა, ეგ ქველიძე! რატომ, რატომ, მამილა, ა?



— ტყვილა, ამოიჩემა ისე მაგ დალოცვილმა! — დაასწრო სიტყვა ოტიამ, რომელსაც ეშინოდა, დედას არ გაემხილა ამ კაცთანაც მისი სირცეილეული სიძეობა. მაგრამ ეს ცდა უქმი გამოდგა.

— ტყვილა, ჰმ!... არა, შეილო, თავს ნურავის დააჩავრინებ, თვარა თუ ერთხელ მიგეჩვიენ დაწიხლვას, მერე სუსველი მოგინდომებს დაპრიცევებასა და დამცირებას...

— მე ჩემს კეთილშობილებას ვერავინ წამართმევს და ვერც ვერავინ რამეს დამაკლებს, დედა-ჩემო!...

— ეგეც მართალია, — წამოიძახა პორფირიმ. — ეგეც მართალია!

— კაი შენი ჭირიმე, შენ რაღა დაგიმალო და კეთილშობილებას ვერავინ ამართმევსო, აგი ჩემი ვაჟიშვილი რომ იძახის, აბა რაღაა, კაცი რომ მეტობას დაგიწყებს და ისეთნაირად მოგექცევა, ვითომდა არ გადატულობდეს, — ლირსების ახდა არ არის, აბა რაღა იქნება?... ასე გიქნა, შვილო, იმ კაცმა. ქალიშვილი ვთხოვეთ და უარი მოგვახსნა, თითქო ვინმე ისეთი ყოფილიყო, რომ ლირსი არ იყვე მისი სიძეობის. ლირსების დამცირებაა, აბა სხვა რაღაა?!... ნეტავი მართლა რითომე წინ იყვეს: ან სწავლით, ან გვარით და ან ქონებით!.... შენისთანა კაცთან ენასაც ვერ გაარყევს... ჩვენთან კი ისე მედიდურობს, თითქო თავადი იყვეს ჩვენ შორის!... თვალი მაგას დოუდგა, რომ ვერ ისარგებლა შემთხვევით, თვარა მოხარულიცა ვარ, რომ მოხდა საქმე და მისმა ნაშიერმა ჩემს ოჯახში ფეხი არ შემოადგა... შვილიც მამასავით დიდგულობას დამზუქებდა და მერე მთლად ის ოჯახი ჩემი შესანახავი გამიჩნდებოდა ყოველთვის!....

— ასე მოვკავვავთ, აი ასე, მამიდა, თუ კი შენ გესიამოვნება, იმ შენს ქველიძეს. მენდვე ამაში!... გულს გაგიმხიარულებ, მამიდა! ა!...

— აბა რისთვის მყავხარ სამეღო!... შენისთანა წარჩინებულ კაცთან იმისთვის გვიხარია დაახლოვება, რომ მტერს,

ქამუშამის გაჭირვება

რომელსაც ჩვენ ვერ მოეერევით ჩვენით,—შენით უნდა მოვე-
რიოთ და შევაშინოთ, შევაწუხოთ!...

— კი ბატონო... ჩემს თავზე იყვეს ეგ და რაც შეეხება
ქალს,—ქალი ისეთი მეგულება ერთი, რომ ქველიძის შვილი
იმისთან რად უნდა გამოჩნდეს... ისე ამან იცოცხლა! და რო-
გორც პატიოსანი კაცი, ხელიად ჩიგაბარებ ჩემს ოტიას, ოღონდ
მითხარით, თუ გსურთ!... ქალაქ ადგილას გაზრდილ ქალს ჩა-
გაბარებთ!... მიმილებთ მაშელად, აშ!.. ხა, ხა, ხა!...—გადიხარ-
ხარა პორფირიმ.

— ქალაქში გაზრდილს რას დევეძებ, შენი ჭირიმე, ოღ-
ონდ ხეირიანი კი იყვეს... მოეხუცდი, შენ გენაცვალე, წინან-
დელი ჯანი აღარ არის... კმარა ჩემთვის, რაც მე ამ ოჯახში
მიშრობია, ახლა მიგათ მოეკიდონ.... ლეთის მაღლით, სხვაზე
მეტი თუ არა, ნაკლები არაფერი გვაქვს!... მშვენიერად შეი-
ნახავენ თავს!

ეს უკანასკნელი სიტყვები განგებ დაატანა ეკვირინებ, გუ-
ნებაში მასაც და ოტიასაც ძლიერ გაუხიცინა პორფირისაგან
ნათქვამმა ქალაქ ადგილას გაზრდილი ქალის მოყვანაზე. ეკვი-
რინებს თითქო უნდოდა ეთქვა, რომ ამისთანა ქალი ოღონდ
შექხვდეს ოტიასო და ოჯახი კი შეინახავს მასო.

— აბა თუ კი ეგრეა, ეკვირინე ჩემო, ეგ ჩემი ძმა კაცი
ხეალის თხუთმეტს №-ში გამომიგზავნე, ქალსაც ვაჩვენებ და
თუ როგორნება, დანიშნულს გამოგიგზავნი უკან.... ის არ იფი-
ქროთ, ეშმაკობა რამე იქმნეს იძაში, მაშინ ღმერთმა დამსწუვ-
ლოს.... მე მხოლოდ ვერევი ამ საქმეში, რომ თქვენთვის ყო-
ველ-გვარი სიკეთე მსურს!... და მერწმუნე ისეთნაირად მოგი-
უყობს, მოვირთავს ოჯახს, რომ ქველიძის სახლ-კარი სათხე-
ბოდაც არ გამოჩნდება თქვენთან!...

— საჩვენო არ ყოფილა იგი!—გაიცინა ოტიამ.

— ეგ ჩემზედ იყვეს, ჩემო ოტია!... კი არ გეხუმრები, შე
კაცო!.... მე მართლა გეუსწები!.. შენ თღონდ ჩამოდი, სხვა
რა გინდა!...

ოტია ისევ იცინოდა.

— კი გიახლებათ, ჩემო ბატონო, კი გიახლებათ! — იძახოდა ეკვირინე, — რავა არ გიახლებათ!

— მოიტა ხელი! — გაუშვირა პორფირიმ ხელი ოტიას.

ოტიას ისევ სიცილი ერეოდა, სიცილი სიხარულისა; მას არ სჯეროდა მთლად ამნაირი უცნაური ბეღნიერება. ნეტავი მართლა ეგრე მოხდებოდეს და მაშინ უყუროს მას ქველიძემ!

— ხელი კაცო! — არ ეშვებოდა პორფირი.

— მიე, შვილო, არ გესმის! — მიაძახა ეკვირინემ ოტიას.

— კარგი მაშვალი არ იშოვა ამ დედა-ჩემშა! — სიცილით სთქვა მან.

— ხელი-მეტქი, ოტია! — იძახდა ბიაშვილი.

— რალასი სიცინია, არ მესმის! — შეუტია ეკვირინემ შვილს. — ეგ ღვთისნიერი ადამიანი საქმეს გელაპარაკება და შენ კი იცინი!

— ბატონო, სოფლის გოგომ დამიწუნა და ქალაქელი თვალებს დამათხრევინებს!...

— ხა, ხა, ხა! ძალიან არ გამფთხალებულა ევ ჩემი ოტია! ხა, ხა, ხა!.. ჩემთან ნუ გეშინია, ნუ, ოტია! — სიცილით უთხრა პორფირიმ. — პატიოსან სიტყვას გაძლევ, არაფერი სიჩუნევილი არ შეგხვდეს.... მომე ხელი!..

ამ ფიცხე დარწმუნდა ოტია და გულიანი სიცილით ხელი ჩამოართვა პორფირის.

— ე მაგრე სჯობია! ხვალის თუთხმეტს უნდა ჩამოხვიდე ჩემთან №. ში. აი ნახავ თუ მადლობა არ მითხრა მერე... ისეთ-ნაირად მოვაკვარაჭინებთ მაგ საქმეს, რომ შენი მოწონებული იქმნეს!... შენ ვერ მიცნობ კიდევ, რა კაციცა ვარ!... ღვთის მადლით, რა საქმისთვისაც ხელი შომიკიდნია, ისე წამიუვანია და დამითავებია, როგორც მდომებია!... ჯერ ღვთის მადლით არაფერში არ წამიგია და ჩემის ჭკუის იმედი მაქვს, არც წავაგებ რამეს!.. ჭკუა უნდა ყორიელს, ჭკუა! თუ იგი ხელთა გაქვს, — დარღი ნუ გაქვს, თამამად შეგიძლია იყვე!... აი ამ ჩემ ვეგილობაზე გეტყვით: რამდენი განათლებული ვექილებია, კურსოვნიკები, უნივერსიტეტ დამთავრებულები, ქვეყნები აქვთ ბოვლილი, — მარა ტყვიალია, ჩემოდენი იმათ არაფერი არც შეუძლიათ, არც ეხერხე-

ბათ, მშივრები აგდიან — კაცი არ ეკარებათ; მე კი, ამ ჩემი ორი კლასით იმდენი მესევა, რომ ბევრს უარს ვეუბნები, პურიც ბევრი შემომდის, ღვინოც და ფულიც.... ვცხოვრობ ბატონურად!...

— ღმერთმა მოგცეს, ჩემო კეთილო, ღმერთმა მოგცეს! — სიტყვას აყოლებდა ეკვირინე.

— ვერავინ ჯერ-ჯერობით ვერაფერი დაშავლო, თუმცა ეს ნასწავლები ყოველ წელიწადს ათობით და ოცობით ჩამოდიან!... ვერც მტრობით მაჯობა ვინმემ!.. მოხერხება უნდა ყორიფელში კაცს, მოხერხება ოტია ჩემთ! ხა, ხა, ხა! თუ დამჭირდა, ისეთნაირ ხრიკებს მოვსდებ, ვინც იქმნება, ისეთ ხრიკებს მოვსდებ, რომ ადამიანი კი არა, თვითონ ეშმაკიც დეიბლანდება და დეიბურდება შიგ!... — და პორფირიმ სიამოვნებით გადიხარხარა. — კაცმა მიცნოს და მომყვეს, ჩემთან ნურასფრის შიში ნუ ექმნება! დამიჯეროს ოლონდ, მოშენდოს! მარა უბედურება ის არის, რომ სანამ უკანასკნელამდის არ გაუჭირდებათ, მანამდე არ შეიძლება სულ მთლად მოგენდოს და გიწამოს ვინმემ! ვერ დაარწმუნებ, რომ სასიკეთო გზაზე აყენებს; აგერ გადაგიხვევს და ხელიდან გაგისხლტება; მერე გიხედავ და მორბის გამწარებული: ტირილით, უივილით გეხვეწება, მუხლებზე გეხვევა: „არიქა, მიშველე, შენ ხარ ჩემი მშველელი, მწყალობელი, ჩემი ღმერთი, ჩემი მაცოცხლებელიო!“ მისალები არა მისითანა კაცი, მაგრამ რაღას იზამ, გული არ გიშვება გააგდო, ნიშნი მოუგო, იბრალებ და რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება, შველი. ამის წყალობით ეხლა ისე მაქვს საქმე, რომ ყველგან, სადაც წევიდ-წიმოვიდე, ბინაცა მაქეს, საჭმლიც და სასმელიც, ყოველგან ათასი მოსიყვარულე და პატივის-მცემელი!... ამ ჩემს ხელობას თავიც რომ დავანებო და ისე ტყვილა ვიარო, იმდენი საქმე მიმიდლვის ბევრთან, რომ სიკვდილამდე თავს დავირჩენ იმათგან... ასეთი კაცი გახლავს პორფირი მაქსიმიჩი ბიაშვილი და შენ გეშინია, ჩემო ოტია, სასირცხო საქმეში ჩაგაგდო... მოგიკვდეს მაშინ ეს პორფირი, მოგი-

კვდეს, ჩემო ოტია! — და პორფირიმ მარჯვენა ხელი გულზე დაიკრა რამდენჯერმე.

— არა, არა... მაგას რატომ იფიქრებთ, — ერთხმად მიაძახეს ორივე დედაშვილმა.

— თქვენისთანა კაცი იყალრებს მაგისთანა საქმეს და უარზე გავდგებით!... ღმერთო მომქალი! — წამოიძახა ეკვირინებ.

ოტიას გული ძალზე სცემდა ამ მოულოდნელ ბეჭნიერების მიახლოვებით, რასაც ჰპირდებოდნენ მას. აქამდე მას ეგონა ბიაშელი ეხუმრებოდა, ეხლა კი დარწმუნდა, რომ ხუმრობის აქ ადგილი არა ჰქონებია. ეკვირინემ აღარ იცოდა, რითი ესიამოენებინა ამ მათვის თავ-გამოდებულ ადამიანისთვის. რომელიც უსათურად თვით განგებამ მოუვლინა, რათა გულის ჯავრი ამოელოთ ქველიძეზე.

— ღვინო დაუსხი, შეილო, — მიუბრუნდა ივი ოტიას.

— ხაჭაპურები გაგეკეთებია, კაი იყო... ასე ცოტაზე.... — წაილაპარაკა ოტიამ.

— მაგათი ბრალია, მეჩქარებაო და ველარ გავუბედე დამეგერიანებინა, თეარა, ღმერთო მომქალი, ამაზე გადავარონიებდი! — სთქვა ეკვირინემ.

— გმადლობთ, გმადლობთ! ესეც ბევრი იყო მამიდა!.... მეტი არაფერია საჭირო.... სხვა სხომის იყოს. — სიცილით დაუმატა პორფირიმ და წამოდგა. — აწი კი დროა გზას გავუდგეთ!..

— ნურას უკაცრავად, შენი ჭირიმე! — მოიბოდიშა ეკვირინებ.

— მეტად მადლობელი ვარ, მამიდა ჩემო, ყორიფელით კმაყოფილი ვარ, შენ ნუ მომიკვდები!.. გმადლობთ, — მიუგო პორფირიმ.

კი იყო კმაყოფილი ივი ამ შემთხვევით. ჯერ ერთი, რომ შიმშილი მოიკლა ამ საუზმით და ამავე დროს დაიმედა ბინა სანამ თამარ-ნაშენში ივლიდა სავეჭილობებზე, რაც უფრო საჭირო იყო მისთვის და მთავარი მიზეზი ქამუშაძეებთან დაახლოვებისა.

— აბა მე, ოტია... იცოდე, მოგელი დანიშნულ ტროზე,
— ერთხელ კიდევ განიმეორა პორფირიმ.

ოტიამ მხოლოდ სიამოვნებით გაიღიმა, ეკვირინემ კი მის
მაგიერ პასუხი მისცა.

— კი, ბატონო, კი ჩემი გამნათლებელო, კი გიახლებათ!

— აბა ახლა ჩემ საქმეს შევუდგები... — ცხენი, ჩემო ოტია.

ოტია გაიქცა ცხენის მოსაყეანად. ბიაშვილი ეკვირინეს
თანხლებით ჩავიდა ეზოში, გამოეთხოვა დედა-შვილს და „შეჯ-
და ცხენზე.

— ოტია, შვილო, ჩაჰევე ბატონს კანცელარიამდის... —
სთქვა ეკვირინემ.

— კი, კი.. შენ ერთი ჩოხა გამომირბენინე... — ფუსუტია,
ფუსუტია, ჩოხა, გოგო! — დაიძახა სახლისკენ ოტიამ.

— რატომ შერები მაგას, ოტია; შენ არ მომიკვდე, საჭირო
არ იყენი! — წამოიძახა პორფირიმ.

— რა მიჭირს... საქმეც რომ მქონდეს, მაშინაც გიახლე-
ბოდით, — ახლა თავისუფალიც ვარ!

— სიცხეა, შე კაცო.

— არაფერია, არაფერი! — უპასუხა ოტიამ.

— სიცხე რავა შეაწუხებს თქვენთან ხლებით... — უთხრა
ეკვირინემ.

დიდი ყიქინის შემდეგ პორფირი საბოლოოდ გამოეთხო-
ვა ეკვირინეს და სანიკიძის სახლიშვილის ფეხ-ფეხა თანახლე-
ბით გადვიდა ეზოდან და გზას გაუდგა სოფლის კანცელარიი-
საკენ; მას ხალხი ეგულებოდა იქ ამ შაბათ დღეს და ჰსურდა
იქ გამოცხადებულიყო და თავისი თავი გაეცნო აქაურებისათ-
ვის, რომ შემდეგ მათში სავეჭილო საქმეები ეშოვა.

xx

შაბათობით თამარ-ნაშენის სოფლის კანცელარიაში იჩ-
ჩეოდა ხოლმე სოფლელების საჩივრები და ამიტომ ამ დღეს
აქ ყოველთვის საქმიად იყრიდა თავს ხალხი.

კანცელარიის ეზოში ჯგუფ-ჯგუფებად გაბნეულ ხალხი-საგან ხმაურობა და შემატებული ლაპარაკი, ყაყანი და ყიჭი-ნი ისმოდა.

გლეხ-კაცობის გარდა ამ დღეს აქ მოსვლა შემოიღეს, ამ ბოლოს ხანს, ზოგიერთმა ამავე სოფლის აზნაურებმაც. ესენი იყვნენ გალარიბებული აზნაურები, რომელთაც ძნელად გაარჩევდით გლეხთსან, მათი ცხოვრება და ინტერესები მეტად დახლართული შეიქმნა მეზობელ გლეხების ინტერესებსა და ცხოვრებასთან. მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ აჩენილი,— იმ ცაცხეს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხი“-ს სახელიც კი დაერქვა. ისინი ყოველთვის ჯგუფად მოვიდოდნენ ხოლმე და თუ ერთი მათგანი მუქარებს დაუწყებდა რომელსამე გლეხს,— დანარჩენებიც ამას მხარს აძლევ-დნენ და საერთო მუქარითა და შეტევით ცდილობდნენ თავ-გასულ და თავ-დავიწყებულ ყაზახთა დაშინებასა და თავის კალაპოტში ჩაყენებას, როგორც ესენი იტყოდნენ ხოლმე.

დღესაც დიდი ლაპარაკი და ყაყანი გამოიწვია ამათმა დამუქრებამ, ერთი წყება გლეხების წინააღმდეგ, რომ თქენის მიწა-ადგილიდან აგურითო, რადგან ძველთაგან ეს ადგილები ეკუთვნის ერთის გვარის აზნაურებსა და ამის საბუთები და ქალალდები ამ დღეებში ყველა ხელში გვექმნებათ.

— როცა გექნებათ, მაშინ ეილაპარაკოთ, ბატონო! — შეპ-ნიშნა ერთმა იმ გლეხთაგანმა, რომელსაც აყრას უპირობდნენ და გაშორდა მათ.

აზნაურებმა იწყინეს ასეთი პასუხი და დამუქრებას შეუ-მატეს.

— ნახავენ, რაც მოუვათ, მალე ნახავენ! — წამოიძახა ერთმა ყმაწვილმა აზნაურმა.

— რას ნახავენ! თქვე დალოცვილებო, ასე იძახით და აშინებთ ამ ბალახაშვილებს, მაგრამ კაცმა ვერ დეინახა ვერა-ფერი! გირჩევნიათ ისევ მოუმდურავად იყოლიოთ მაგ კაცები... ურიგო გლეხები არ არიან და კარგი მაძლარი გლეხებიცა! — სთქვა ერთმა მოხუცებულმა იქ მდგომა გლეხმა.

— ბალახიშვილების მდურვის რა მცოდნია! — შესძახა ყმა-
წვილმა აზნაურმა.

— რატომ არა, ყმაწვილო, რატომ არა! ცოტაოდენი მა-
გათაც ესმით და თავს არაეის არ დააჩვერინებენ უბრალოდ!

— მოვატეხიებთ კისერს, ახლა რომ ზევით-ზევით სწევენ...
მაგათ კი ჩავაყენებთ თავიანთ კალაპოტში... აგერ ნახვენ! — გა-
ჯავრებით წამოიძახა მეორე აზნაურთაგანშა.

ამას სხვაც აჰყვებოდა, რასაკვირველია, და უსათუოდ დი-
დი ლაპარაკიც შესდგებოდა, რადგან ეიღამაც ამ უბრალო და-
მუქრებას „ტრაბაბაბაც“ უწოდა, მაგრამ ეზოში ბიაშვილი შე-
მოვიდა ცხენით, ოტიას თანხლებით. ყველანი მიჩუმდნენ და
კუცნობ კაცს მიაჩერდნენ. ოტიამ ცხენიც ჩამოართვა, მიაბა-
ლობესთან და ახლა აზნაურებისკენ გამოუძლვა. ყველანი ბია-
შეილის მიახლოვებაზე წამოდგნენ და თავაზიანად, თავ-დაკ-
ვრის შემდეგ, მიიპატიეს და ადგილი დაუთმეს დასაჯდომი
ცაცხვის კუნძხე.

პორფირიმ მაღლობა გადაუხადა, სთხოვა ყველის დაბრ-
ძანებულიყვნენ, თავადაც დაჯდა და ოტიას უთხრა:

— აბა, ჩემო ოტია, ერთი თვალი გადაავლე... ეგებ აქ
იყვეს სადმე, შავ-წეერა მაღალი ყაზახია, შავი ყაბალახი ახუ-
რავს თავზე, წითური სახისაა!...

— კი ბატონო, ახლავე მოვნახავ! — სთქვა ოტიამ და ხალ-
ხისაკენ გასწია.

— ვინაა, ოტია, ის კაცი? — დაუწყეს გამოკითხვა ყოველ
მხრიდან.

— ბიაშვილია, პორფირი ბიაშვილი, აფვოკატი! არ გავს
სარდიონს! — უპასუხებდა მიმავალი ოტია.

— ვინაო?

— ბიაშვილიო! აღუკანტი ყოფილა.

— ეტუბა, კაი კაცი უნდა იყვეს!

— რავა ჩეისკუპეს შუაში, მაშინათვე!... ვითამ და ჩვენი-
ანიაო!

— შენ გეტუა გაუკირდება მაგათი ლირსების შეტყობისა!

ლაპირაკობდა თავიანთ შორის ცაცვისკენ თვალ-დაკერილი გლეხ-კაცობა.

— რამ ამოგიყვანათ თქვენისთანა განათლებული და პატიოსანი პირი ამ დასაქცევარში, ბატონო? — უთხრა ბიაშვილს ხნიერმა, მეტად ღარიბულად ჩაცმულმა აზნაურმა. თეთი იმ კუთხეში ხუმარა კაცად იყო ცნობილი.

— დასაქცევარი კი არა, სწორედ შეენიერი ადგილებია!.. — მიუვო პორფირიმ. — ბევრი სოფლები მაქვს დაცლილი ამ ჩემს ვექილობაში და ამისთან სოფელი ბევრი არ შემხვდომია, თქვენ არ მომიკვდეთ! ჩინებული სოფელია, ეტყობა! ლამაზი ადგილებია!

— ლამაზი ადგილები კია, ჩემო ბატონო, მარა მისგან გულ-დაწყვეტილები გახლავართ — კუჭს არ გვიძლებს და მჭლედ ეყვართ შენახული!...

— ეგ შეიძლება იმისათვის, რომ არ დაგიმმიმდეთ ამ აღმართ-დამართებში სიარული! — სიცილით სთქვა პორფირიმ და მასთან დანარჩენებსაც გაეცინათ.

ამ დროს კანკელარიის კარებიდან გამოვიდა ერთი მაღალი ტანის, ჩამსხვილებული კაცი და მასთან ათიოდე გლეხიც, რომელიც იქვე გარს შემოერტყნენ ამას ერთი ყიჭინით და ხმა-მაღლა ლაპარაკით. ცოტა ხნის შემდეგ იმავე კარებიდან მეორე ჯგუფი გამოვიდა გლეხებისა და ამათაც, ცალკე, ხმაურიანი ლაპარაკი შეექმნათ. რამდენისამე წუთის შემდეგ ორი-ვე ჯგუფი შეერთდა და საშინელი ყაყანი მორთეს, ასე რომ ყველას ყურადღება მიიქციეს.

— აბა თუ მიხვდებით, ბატონო, რაზე ჩხებობენ ისინი ამ ლამაზ ადგილებში? — მიმართა ხუმარა აზნაურმა ბიაშვილს.

— სწორედ არ ვიცი! — მიუვო ღიმილით პორფირიმ.

— ეკალაზე, ბატონო, ეკალას გულისათვის! თქვენ ნუ მომიკვდებით!

ბიაშვილს გაეცინა; გაიცინეს სხვებმაც.

— အလွန်မျှ ဖောက်ပေါ်၊ ရှိခိုင်းများ၊ — မြတ်များ၊ မြတ်များ၊ မြတ်များ၊

— ერიძა! — წამოიძახა სერაფიონშა. — რავა უცხო კაცივით
ლაპარაკობ, ჩემი ივანე! მაგ რა დასამალავია... ვით ნეტავი
თელი წელიწადი კი არა, ნახევარ წელიწადს მქონდეს ის და-
ლოცვილი საჭმელად, გამოულეველად. ცუდი კაცი ვიყვე, თუ
სხვა რამე ვინატრო კიდევ! რას მეუნები?!... ღმერთმა ნუ გაა-
ხაროს ის, ვინც ჩემს ახლო-მახლო ეკალას ბურდი ნახოს და
მომიჩებოს!.. ამ დროებაში ოქროს ფასი დაედვა მას ყველა-
საგან, აზნაურისავანაც და გლეხისავანაც!.... მალე თავადების
სანატრელიც გახდეს, მგონია.

— კი, მარა ექალამ როგორ წაყიდა ეს კაცები? — იკითხა
სიკილით ბიაშვილმა.

— წაკიდა კი არა, გადაამტერა! — მიუვი სერაფიონმა. — მეზობელმა თავის მხრით საქართ გაჩეხა ადგილის გასაფარო-
ებლად, შესაბატად, საქორი ეკლიანი იყო; გაზაფხულზე მისი
მხრით რომ აღარ იყო, ეკლიან აქეთ დაუწყო პოტინი; მის-
დგა საქმე მისწრებაზე, ერთი თვალის დახამხამებაში გაფრქვნეს
ეკლები, კვირცებსაც აღარ აჩჩენდნენ ზედ; შეექმნათ ლაპა-
რაკი, აქეთურმა მიზეზად ის დეიდვა, რომ თხელ საქართი ლო-
რი, ქათამი, ბატი, ცხვარი დაძრებათ და ყანა ამომიგდესთ
— დაუწყო ჩეუბი კაცმაც, ქალმაც, ბავშვმაც, ყველამ. ნამ-
დვილად კი ეყალის დაკლებამ ააპილპილა ყველა... იმდენი
იჩეუბეს, იდავიდარაბეს, რომ აგერ ეს მეორე წელიწადია კაც-
მა ვერ მოარიგათ, ედავებიან ერთმანეთს; სხვა არასუერი არ
გამოდის იმის მეტი, რომ ამ ჩევნს სარდიონ ქველიძეს ხან
ერთი უწიკავის ხაჭიძურებსა და ქათებს, ხან მეორე — რომლის
ვეკილიდაც იქმნება.

— ეს უკანასკნელი სიტყვები სერაპიონშა სწორედ მაშინ
სთქია, როცა გლეხებს ვაშორებული ქველიდე ცატევთან მიერ-
დადა ფიქრი მიაკავშირდა... მაგრამ ამას მარტო და და-
მისად — ნამეტანი ჯიუტი ხალხია... მეტის-მეტი! კაცის არაფე-
რია არ სჭერათ არც ერთ მხარეს!... რას მოუხერხებ აღამიანი?!

— ხელებ გაშლირთ სთქეა სარდიონშა, რომელსაც ეტუყობოდა საკმაოდ დაღალულიყო. გლეხ-კაცებთან ლაპარაკით. მან შეპნიშნა უცხო პირი, მიუხალოვდა წამომდგარ ბიაშვილს და ერთმანერთს ხელი ჩამოართვეს, თავიანთ თავის გაცნობით.

— თავი დაანებე, შე დალოცვილო, მაგათ, რაზე იწუხებ თავს!

— უთხრა განაკიდედ მჯდომშა, დაკერებულ ჩოხიანშა აზნაურმა ქველიძეს.

— ძალიან ადვილად არ ამბობ მაგას, ნიკიფორე, — წამოიძახა ისევ სერაფიონშა. — რავარც მე ჩემს კუსიას ვერ გავშორდები, ისე ვერც სარდიონი გაშორდება მაგათ.... სასმელ-საჭმელს ჩაგვნი უწიკავენ და მაგათ მიატოვებს?

კუსიას სხენებაზე მოისმა სერთო ხარხარი.

— ახსენა თავისი კუსია! — წამოიძახა ვილამაც.

— რატომ არ ვახსენებ, შენ გენაცვალე, ღმერთმა ნუ დამავიწყოს მისი თავი, — უპასუხა სერაფიონშა.

— მონადირე ძალია, ბატონო სერაფიონ? — შეეკითხა ბიაშვილი.

— მონადირე არ გახლივს, უბრალო, შევი ნაგაზია, მარაყოველს ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელ-მოკლე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრალე და თანამგრძნობი. ერთობ რამე სულიერია, — სთქეა სერაფიონშა. — რომ იცის ეხლა, ჩემი ბატონო, ჩემი გაჭირვება, ერთობ ვეცოდები, რომ მეტი აღარ შეიძლება, და ძალიანაც მეწევა...

— რაობით მერე, თუ კი მონადირე არაა? — სიცილით უკიდ თხებოდა დაინტერესებული პორფირი.

— დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოიჩნენს სახლის ყოველ კუთხეს, ერთი წიქცეული სამზარეულო მაქვს, იქცე მისუნავს-მოსუნავს და თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არის გასაკეთებელი, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოიჩნენს მეზობლებს, სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ჭათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამონახავს,

ქამუშაძის გაჭირება

ხან და ხან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო,—გარდაც წყვეტს და ავერ, რომ გვეონია—დღეს უსაღილოდ ვრჩებით, გარდა წყვეტილი გვაქვს, ეს ლეთისნიერი სულ-დგმული ხელად ამი- გვებს ცარიელ სუფრას ათასნაირი საჭმლებით.... თითქო მეზო- ბლებისაგან ხონჩები მომსვლოდეს....

ბიაშვილი სიცილით კვდებოდა ამის გაგონებაზე; ხარხა- რობდნენ სხვებიც, თუმცა ამგვარების გაგონებას სერაფიონი- საგან შეჩვეულნი იყვნენ.

— მართლა ძვირფასი რამ ყოფილა ი თქვენი კუსია, — სი- ცილით სთქვა პორტირიმ.

— იცოცხლეთ, ღმერთი არ დააგდებს უსაშუალოდ მის- გან გაჩენილს... რამეს საღსარს აღმოუჩენს! — მიუგო სერაფი- ონმა.

— საცა იქნება, გვერდებს ჩაუმტვრევენ იმ შენს კუსიას, სერაფიონ! — უთხრა ერთმა ყმაწვილმა.

— მამა-ჩემი, აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე რომ გა- ცოცხლდეს და რამე აწყენიოს ჩემს კუსიას, იმას ჩაყაბრუნებ საფლავში, თეარა სხვა რათი გადამირჩება, რომ ჩემს მაცხოვ- რებელს რამე მოსწიოს!... ბატონო, სხვა არაფერი შემრჩენია... ძალლით ვრჩები, იმ ზომაზის მივაღწიე პატიოსანმა აზნაურმა, და ცოცხალი გადამირჩება, ვინც მას ხელს მიხლებს?!

თქვენც არ მომიკვდეთ!

სიცილი არ წყნარდებოდა და ამის მიზიდვით ხალხი თან- და-თან მატულობდა ცაცხის ქვეშ.

ამასობაში ოტია გულ-მოდგინედ დაქმებდა პორტირისა- გან ნიშნებ დასახელებულ კაცს და უველას ეკითხებოდა, ამ- გვარი კაცი ხომ არ დაგინახავთ დღეს აქაო; უველასაგან ერ- თი და იგივე პასუხი იყო — არაო. ამ სიარულში იყო მივიდა იმ გლეხებთანაც, რომელთაც საქართვე დაეთ ჰქონდათ და საქმეს ქველიდე უწარმოებდათ.

— შე კარგო კაცო! — უთხრა მან გულ-გახურებულ გლეხს— რას ჩაცივებიხარ, გასაკვირველია შენი საქმე, ამ სარდიონს!.. რომ რამე გეეგებოდეს და შეეძლებოდეს, თავის თავს ვერ უშვე-

ლიდა.... უკანასკნელ გაქირვებაში, რომ არის... შენ რა უნდა
შაგადგეს!...

— დამღვანა, მაგან დამღვანა.... დეელუპა მაგას ოჯახი!

— წამოიძა გლეხმა...

— ე, შე კაცო, თუ გინდა საქმე გაგიყეოდეს, ე, იმისთა-
ნასთან უნდა მიხვიდე...

— ადუკატია?

— აღუკატია და რანაირი მერე!... ძვირფასი რამე ადუ-
კატია?

— იცნობ შენ, ოტია?

— ძალიან ახლოს!

— მიგვიძეხი, ოტია!...

— ბატონი ბრძანდები.... თუ კი მოიცალა... ერთობ ბევ-
რი ხალხი ეხვევა... აქაც ყოლია დაპირებული, ეილაცის დავე-
ძებ, ოხრიშვილი ვერსად ვერ ვნახე!...

— მომეხმარე, ოტია! — დაელრიჯა გლეხი, — და მერე მა-
გიერ პატივს მეც გცემ!

— კარგი, კარგი! ვისაც გინდათ, ყველას გაგაცნობთ!...
ეგებ აქაც ქე დეიჭულს სიარული, თუ რიგიანი საქმეები შეხვ-
და!

— საქმეების მეტი რა არის! — წამოიძახა რამდენიმე გლეხ-
მა.

— ოლონდ შესმენილ კაცს შევხვდებოდეთ და!

— მაგაზე შესმენილი ვილაა! — სოქვა ოტიამ და გაშორ-
და, — ძებნა უნდა გეეგრძელებინა.

— რა გვარია, შენი კირიმე! — მიეჭია ერთი გლეხი.

— ბიაშეილია, პორფირი ბიაშვილი!

— სად ცხოვრობს?

— სადა და №-ში.

დიდხანს იარა ოტიამ, მაგრამ მოსანახავი გლეხი არსად
ჩინდა და სულაც არ ყოფილა. პორფირის არავინ არ ჰყოლია
აქ შეპირებული, — ეგ მხოლოდ მიზეზად ჰქონდა, ეითომ დღე-
ვანდელ დღეს ამ ყრილობაში გამოცხადებისათვის. თუმცა ოტია-

ამ გლეხი ვერ მოსძებნა, მაგრავად ბიაშეილის შესახებ ბევრი ლაპარაკი შეხედა და, რაც შეეძლო, გააცნო ამათ.

დაბოლოს იგიც მივიდა ცაცხვთან, საიდანაც ისე შეუწყვეტელი სიცილი მოისმოდა. პორფირი მალე შეეთვისა ამ უცხო ხალხს და ხუმრობაში აჲყვა სერაფიონს, მან იშვია მარჯვე შემთხვევა და მოჰყვა ითასგვარ სასაცილო შემთხვევებს, რაც მას ჰქონებია თავის სავეჭილობებში. მან მოხერხებულად გადაიტანა ლაპარაკი თავის თავზე; ხან ტყუთდა, ხან ტრაბახობდა, ხან რაღაც უცნაურს ამბავს გამოუჩევდა, რომ ყველა ეხლა იმას მისჩერებოდნენ და მთელი შეკრებილობა სმენად იყო გარდაქცეული. თვით სერაფიონიც ჩაჩურდა, ყურს უგდებდა ამ ენა-წყლიანსა და ენა-მოხერხებულ კაცს.

როცა მან ხალხში თვალი მოჰქრა ოტიას და მისგან პასუხიდ მიიღო მისაგან ნაძებნის გლეხის აქ არ ყოფნა, ოტიამ ამოილო საათი და ერთი წამოიძახა:

— მე მეტი არ შემიძლია.... ითასი საქმე მაქვს მიტოვებული.... აწი თავად ჩამოვიდეს ჩემთან... ესეც კმარა, ამდენი დრო რომ მისთვის დავკარგე! — ხალისიანი სიტყვით გამოეთხოვა ყველას და მომღიმარი სახით განშორდა ხალხს.

იგი თეოთონაც ჰერძნობდა, რომ თავი დაამახსოვნა ამ ხალხს და კარგის მხრით გააცნო თავი, ეგ მართალიც იყო.

— ძალიან კაცი ყოფილა!

— ყმაწვილი კაცია, მაგრამ ერთობ გამოცდილობა ეტყობა!....

— ნამდვილი სავეჭილო კაცია! — გაისმოდა ხალხში.

გულ-კმაყოფილი ბიაშეილი კი ამასობაში შეჯდა ცხენზე, ერთხელ კიდევ თავი დაუკრა მისკენ მიჩერებულ ხალხს და ოტიას უკან მიყოლებით გადაეიდა კიშკარ გადალმა.

— აბა ოტია, გახსოვდეს ჩვენი სიტყვა!... არ მომატყუო, იცოდე გელოდები, იცოდე!....

— კი, ბატონი, გიახლებით, — გალიმებული სახით მიუგო ოტიამ. — მარა თქვენც რომ მანამდი ამოივლიდეთ, კარგს ინე-



ბებდით.... ყაძახებს უნდათ თქვენთან მოსელა, საქმეები ეგებ მიიღოთო, იხვეწებიან.

— კეთილი, კეთილი! — სიამოენებით წამოიძახა პორტი-რიმ.—ამოვალ, მაინც ქე მაქვს ამ დღეებში აქეთ სხვა საქმეებიც!... ნულარ ირჯები ჩემო ოტია! ნუ!... ნახვამდის!

— არაფერი მიჭირს!—მიუგო ოტიამ და ისევ უკან მის-დევდა.

— კაი, კაი!... თუ გიყვარდე!... ნახვამდის!... ამ სამ დღე-ში ამოვივლი კიდევ!.. ნახვამდის, შენი ჭირიმე! და ახლად და-მეგობრებულებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანერთს და გამოეთხოვნენ.

ოტია კარგა ხანს დარჩა იმავე ადგილას და მისჩერებოდა უკან ბიაშეილს. მერე გაბრუნებულმა კანცელარისკენ ერთი წაილაპარაკა:—„თუ მე შენ მათხოვერის გუდა არ მოგკიდე ზუ-რგზე, რალა კაცი ვიქნები!... იარე შენი მწეთ-უნახავით კარ-და-კარ და ზილე ტალახა!“ და თითქო უკვე ჰერძნობდა გამა-რჯვებას, ოტია შემატებულ გულზე მყოფი შეერია ხალხს.

III

— კი საჩუქარი კი მერგება, კაი... ძალიანი... განსხვავე-ბული საჩუქარი, ბიცოლა პელაგია,—ხითხითით და წვარწნით ეუბ-ნებოდა პორტირი მაღალი ტანის, გამხმარ, ლოყებ-ჩავარდნილ ხანში შესულ ქალს, რომელიც ისეთივე ბიცოლა იყო მისი, რო-გორიც ოტია ქამუშაძის დედა, ეკვირინე — მამიდა, — სამაგა-ლითო საჩუქარი მერგება საკუთრად შენგან, ასეთი სიძე რომ გიშოვე სონიასთვის!.. აი ასეთი უნდა კაცი, როგორც მე გა-ხლავარ!... აბ, ის რა კაცია, მარტო თავის თავზე ფიქრობდეს... არა, შენი საქმეც გვიყეთ და ქვეყნისათვისაც იყავი სასარგე-ბლო... ასე არა, პელაგია ჩემო? ა!... შენი კეთილი არსოდეს არ უნდა დაივიწყო და არც მე დამიერწყებია, ხომ!... ხა, ხა, ხა, ხა!....

— ღმერთმა ნუ დაგივიწყოს, შვილო, ყოველივე სიკეთე, ღმერთმა ნუ დაგივიწყოს... შენ და ჩემი ბეგლარი, ხომ ღმერთმაც იცის, გაურჩევლად მიმართოს... ძმები მგონითართ, შვილო, ძმები... ბეგლრმა თუ იცის, შვილო, თუ გაქვს ნათქვამის

— რასაკვირველია!

— რაო, ნეტავი რა თქვა?

— რა უნდა ეთქვა!... თავისებურად, რავარც იცი მისი ამბავი, ვნახოთ, ვნახოთ... ის არაფერია, შენ თუ ფეხს არ გადადგამ!...

— მე, შვილო, მე რაღა მეთქმის... თუ კი ჩემი ბეგლარი თანაბეჭი იქნება, წინააღმდეგი არაა!...

— რატომ უნდა იქნეს წინააღმდეგი?

— მე რა გამეგება, იმდენი, შვილო!... თქვენისთანა ყმაწვილებმა უკეთ არ იცით, ვინ შეგვეფერებათ მოყვარეთ და ვინ არა! თუ კი თქვენი საყადრისია!...

— რატომ არ უნდა იქნეს საყადრისი, ბიცოლა?... ხოფლის კაცი რომაა, იმიტომ ვითომ? შე დალოცეთ, მარტო სოფლის კაცობაზედ კი არაა საჭმე!... სოფლის კაციც არის და სოფლის კაციც.... გარჩევა ყველგანაა!...

— არა, შვილო.... ისე სიტყვაზედ მოჰყეა წთვარი!... მე რა მეთქმის... თუ კი ქალს არჩენს და შეინახვს!...

— ჰმ! ქალს არჩენს?!. პირველი ხარისხის აზნაურია.... სახლი აქვს, კარი, მიწა-წყალი, მშენიერი ოჯახი.... ორი დედაშვილია, მეტი არავინ! არა, იმით დამიწუნებ, პელაკია, რომ სოფლის აზნოუშვილია! შენც არ მომიკვდე!

— უი მე!... შექკიტელა პელაგიამ.—ერთხელაც მოგახსენე, თუ კი შვილს მირჩენს, სხევას რას დავეძებ.... და ღირსეულად შემინახავს!....

— ამაში იმედი გქონდეს!... თუ გწამს ჩემი, რომ მე არ მოგატყუებ!...

— უი მე!

— ჰო, აბა ეს არის, ჩემო ბიცოლა! მეტი რაღა უნდა გინდოდეს, აღარ ვიცი!

— შენის კარგა ყოფნით ნეტავი კი მოხერხდებოდეს და!... გაძვირდა, შენ დაგენაცვლე, ქალის მთხოველიც!... ჩემს სონიაზე უკეთესები საცოდავად ბერდებიან, — კაცი ხელს არ კიდებსთ!... მაგის ასე დრჩენით ჩემი ბეგლარიც ასე უცოლოდ მირჩება!...

— ჴო და ეგ არის! — გააწყვეტინა სიტყვა პორტირიმ. — ქე გოუშეი ხელიდან, უშე დალუცვილო, ქალიშვილი!... ნუღარ გოუბრუნდებ ბედე!...

— ვინ ოხერი, შენ გენაცვალე, ვინ ოხერი!... დედა-შვილობამ დღე და ღამ ღმერჩს იმას შევთხოვ, ისე არ მომკლას, ჩემი ბეგლარის ცოლ-შვილისათვის რომ არ შემეხედოს!... რა ქნას, შენი ჭირიმე, ენაცვალა მას დედა-მისი, ჩვენც შეგვინახოს, ცოლ-შვილიც არჩინოს, სადამდი წაგა ამის საქმე, — და იმისობაში ქეთ ისე გაჩერებული, ჩვენთვის იკლავს თავს, თავთათვის კი არაფერი!.. თუ კი იმ დღეს მოვესწარი, ჩემი სონია პატრიონს ჩაგაბარიო, რათ მელირება ჩემთვის ის დღე, რათ? — ჩემი გაცოცხლების დღე იქმნება!... მაშინ ბეგლარის ბედნიერებასაც შეიძლება ერთ ორ დღეს მაინც მამწერიოს უფალმა!..

— ყორიფელი იქმნება, ჩემო ბიცოლა! — სიცილით შესძახა პორტირიმ. — ყორიფელი!

— რა გვარია, შენ გენაცვალე?

— ქმუშაძე!

— შორებელია?

— სულ ახლოს!... აგერაა, თამარ-ნაზენში!

— აზნაურშვილი!

— ჩინებული, ჩინებული აზნაური!... არა, არა, ბევრი აღებდება აქ აღარა საჭირო... ბედი კარზედაა მომღვარი!... კაცს, შენ არ მომიკვდე, სწორედ ვერ დამიწუნებ... ის კი არა, აუფრი თხილდი, გული შეიმაგრე, თავად არა შეგიყვარდეს, ღმერთი არ გაწყრეს, ბიცოლა, ამ მოხუცებულობის ხანას! ხა, ხა, ხა!

პელაგიასაც გაეცინა ამ ხუმრობაზე, ხელი დაარტყა მას ბეჭედ და უთხრა:

— უი, შე დაუწყნარებელო, შენ!

— აბა, ამდენს მაღაპარაკებ ჩემს ოტიაზე?!... შენ ნუ მომიკვდები, ის კაცი, რავარც კი არ მოგიყევი, აგერ ბედს რომ მიაგნებს ადამიანიო, ისეა!... არა, არა, ბიცოლა პელაგია, ხელიდან გასაშობი, დასაკარგავი კაცი არაა ის ადამიანი, თუ კი გულით გინდა შენი სონიას გათხოვება და მეც მირჩევია, დროც არის; ვიწ იცის, როდის მოინახება კიდევ სხვა, ეგებ მაგის-თანაც ველარ იშოვოთ... ქალიც ცოდვა იქნება და, შენი არ იყვეს, აწი ბეგლარსაც შეღავათი უნდა მიეცეს თავის თავზე იზრუნოს!...

— კი, კი! კი, ჩემო კეთილო!

— ჰო და, მეც რომ ეგ ვიფიქრე, როგორც თქვენი ოჯა-
ხის ერთგულმა და კეთილმა, იმიტომ აღარ დავკარგე ვითომ
სახელდახელო შემთხვევა. ერთი სიტყვით, შენზედაა ახლა ყო-
რიფელი, თუ უარს არა ხარ, ის ყმაწვილი ჩამომივა აქ და გა-
ნახებთ — ისურვებ ხომ კარგი, თუ არა და ლმერთმა მშვიდო-
ბით ყველა გვამყოფოს!...

— მე რა, შეილო! ყორიფელი ბეგლარმა იცის!

— არა, არა! შენ ხარ მაინც თავი! შენ ხარ დედა და
სიტყვაც შენ გვეუთვნის.

— მე გითხარი და ეს იყო, შეილო!

— ძალიან კარგი! აბა ყორიფელი რიგზე მიდის! და ესეც
იცოდე, ბიცოლა ჩემო, იმათოვის მე არც სახელი, არც გვარი
არ მითქვამს თქვენი არ ვუთხარ იმიტომ, რომ დეიწყებდა
იქითაქეთ გამოკითხვას სონიაზედ. ვინ იცის, მტერი სად გამო-
ჩნდებოდა, ქალი ვისმეს გველანძლა, — ხომ კარგად მიქნია, ა?!

ჰო, ასეთი გახლავართ!

— ყორიფელში მოხერხებულები ხართ, ლმერთმა გიშინამ-
ძლეროთ, შვილებო, და ამიტომაც სულ შემატებაში მიდიხართ
და მიდიხართ! — მიუგო პელაგიამ.

— ერთი სიტყვის მეტი კი არ დამჭირებია, მერე! შენ არ
მომიკვდე! აქ ვერ მიცნობენ, კიდევ რაც ბიჭი ვარ, თეარა
იქით რომ მიყურო, ამ სოფლებში, საღაც მე დავდივარ, ვერ

მიცნობ, თუ ეს პორფირიაო!.. ხელით დაეყავარ!.. ჩემზე უკეთესი თუ ვინმეა, ვერ ათქმევინებ, ვერას გზით... ღმერთავით, პატარა ღმერთივით მიყურებენ!.. ჩემია იქოურობა!.. ხა, ხა, ხა!.—სიამოენებით გადიხარხარა ატრაბახებულმა პორფირიმ.

— ღმერთმა მოგცეს, შვილო, ღმერთმა მოგცეს!—ჩაურთო თაეის მხრით სიტყვა ჰელაგიამაც.

— ამისდა შესატყობინებლად შემოირბინე, ჰელაგია ჩე-მო!—განაგრძო პორფირიმ.—მე ვიფიქრე, შეიძლება ბევლარი ასე დაწვრილებით არც კი მოუყვეს-თქო, იმას ხომ სახლში ბევრი და გრძელი ლაპარაკი არ უყვარს!.. ვარჩიე ისევ თავად მე მეხარებინა შენთვის...

— ღმერთმა გაგეხაროს, შენი ჭირიმე, ღმერთმა გაგახაროს!.. ამაზე უკეთესს რალას გეიგონებდა ჩემი ყურები!..

— და რაკი ყოველისფერი მომიხსენებია, ახლა კი შვიდობით ბრძანდებოდეთ!—სთქვა პორფირიმ და ქუდს დაატანა ხელი,—პატარ-პატარა საქმები მაქვს ერთ-ორ აღვილას... ისე ცოტა კრიმანჭულები ეჭივრებათ,—თვარა საღილად აღარ მოგშორდებოდით დღეს!.. შეიძლება, თუ დროზე მოვრჩი კიდევაც მოგისწროთ!...

— მოგიცდით, შენი ჭირიმე, მოგიცდით!

— არა, არა!.. ცდა საჭირო არაა—რა ვიცი სად მიმაგდებს ქარი!.. თუ მოვედი—მოვედი, თვარა ცდა არ დამიწყოთ... ნახეამდის, ნახეამდის ბიცოლა....

პორფირი გამოეთხრვა მოხუცებულ ქალს, აჩქარებულად წავიდა, ერთი შეჩერდა კარებთან, მობრუნდა უკან და სიცილით წამოიძახა:

— ღმერთმანი, ვივარებებ, მაშვლად!.. ჩინებული მაშვეალიც ვიქნებოდი და თუ, ვინიცობაა, ვექილობამ მისუსტა,—უსათუოდ მაშვალად ვივლი, სიარულს მაინც შეჩვეული ვარ!.. ვატყობ ჩემს თაეს, რომ ესეც ადვილად მომყვება ხელში... ამაშიაც გამოვდგები და ვივარებებ... ხა, ხა, ხა,—გულიანად გადაიხარხარა მან.

— ყორიფელში გამოდგები, შენი ჭირიმე, ყორიფელში გამოდგები, ისეთი მარჯვე კაცი ხარ! — მიუგო პელაგიამ.

პორფირის თითქო უნდოდა ეს ქება მისი ამ წასვლისასაც გაეგონა, უფრო ახითხითდა და ამ საამური სიკილით ოთახი-დან გავიდა, ჩირბინა პატარა კიბე, გადაირბინა ეზო და ჭიშ-კარს გადალმა ქუჩაში გამვლელ ხალხში გაერია.

პელაგია რამდენიმე ხანს შერჩა ბალკონზე ამ გაფრენილი კაცის ნათქვამისაგან გაბრუებული; მერე მიბრუნდა და ფეხ-მძიმედ შეეიდა სახლში. ბუხარის თავზე ბეგლარის სურათი იდ-გა; ის მოხვდა თვალში, მივიდა მასთან, დაუწყო მზერა, დიდ-ხანს უმზირა სასიქადულო, ძვირფასს შეიღს და შემდეგ წამო-იძახა:

— აწი განთავისუფლდები, შენ გენაცვალე, განთავისუფ-ლდები და შენი საწყალი დედის გულს გაახარებ შენი კარგი ილბლით... შენ დაგენაცვლეთ ყველანი... ყველანი!

და თითქო მოხუცებული პელაგია დღეიდანვე აპირობდა შეიღლის საბედოს დასახველრად შემზადებას, დაკვირვებული თვა-ლი შემოავლო ოთახს, მივიდა ჭრიჭინა ტახტიან და კედლის-კენ უფრო მისწია, — ჭრიჭინა ეგებ მოეშლევინებინა; დაუარა ფანჯრებს, ჩამობერტყა მტვერი ჩითის ფარდებიდან და საშინე-ლად აამტვერა; მოუნდომა გასწორება შუა ზალაში შდგარ კო-ჩიალა სტოლს, მაგრამ რადგან ვერაფერი მოუხერხა, ვერ და-ამაგრა, იმით დაკმაყოფილდა, რომ გადაბერტყა ზედ გადაფე-ნილი გამოხუნებული, ფერადიანი გადასაფარებელი, რომლის გამომყიდველსაც მუდამ წყევლა ეგზავნებოდა, მაგრამ დღეს კი გადარჩა ამას, ალბად განსხვავებული დღის წყალობით; არ და-რჩენილა ხელ-შეუხებელი არც სტოლ-ქვეშ დაფენილი ფარდა-გი, რომლის გაწევაზედაც, გაშორებულ იატაკის ფიცრებს ქვეშ დალუნულმა პელაგიამ ქათმებს მოჰკრა თვალი და ფეხის ბაქუნ-თან ერთად ოქში-ოქში დასძახა, იატაკის ქვეშიდან მათს გა-მოსადენად, თუმცა თავადაც ვერ იტყოდა, თუ რას უშლიდ-დნენ ისინი იქ ყოფნით. აქაურობას რომ მორჩა, პელაგია მე-

ორე, თავის საწოლ ოთახში გავიდა; ანგარიშ-მიუცემლად გა-
ჩერდა ხის საწოლზე აგროვებულ, ზეწარ-გადაფარებულ, ქეშ-
საგებლის წინ, ერთ-ხნაზე იღვა ასე გაშტერებული, მერე ჩა-
მოჯდა საწოლის ყურეში და ერთი კიდევე ამოიძახა გულის ხი-
ლრმიდან: — „შენ გენაცვალოს შენი დედა... შენს შვილს და-
ვინახავდე, და მერე რომ მოვკედე, ილარც კი ვინაღვლი!... შენ
გენაცვალე, შენ...“ და ფიქრებში გაერთო.

პელაგიის ქალიშვილის მაგივრიდ ისევ თავისი ეფუძნებოდა უდა თვალ-წინ; მასზე უფრო ფიქრობდა იგი, ის ავიწყებინებდა სონის კარზე მიმდევარს ბედსაც; ბეგლარს ეწირებოდა ამის გულში ყველა და ყოველისფერი.

ეს ბედნიერი არსება, ეს რჩეული შვილი იყო №-რის
მომრიგებელ მოსამართლის მდივნის უმცროსი თანაშემწე ბეგ-
ლარ ჯინჭარაძე.

ამის მამაცუ, ბიაშვილივით, წერილ აზნაურთაგანი იყო,
ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, სოფლად მოუხერხებელ
ცხოვრების გამო, ქალაქში შემოხიზნული.

— Տաճապ թյուրո ხալքու, ով թյուրագոնց յակուսատցուսաւ շոյ-
հո թյուրո Շեմտեզըցաւ համբ ո՛վուցու! — Ո՛վուղած եռլմի եռոյ-
ժոմի չէնքարածյ դա, հոգուհի մո՛վուցեցուլո թյուրու, ուսց
դաֆրուցա յալույիս յշոյեցնո, Ըստինեցնո, Տաթրեցնո, հոմ համբ
յ՛մոցա, յնախա, Բասօցումուց դա ամուտ տացո Շյենախա, ոչչախո ցա-
մոյցրան; դա ցասակցուրցեցելու ոյս մուսո Տօմարջաց ամ ցատի
Շոցնանու: Տաճ, հոգուհ Շոտուղածու յև յակու Տարիու, հու-
ցուհ աեցրեցեց ամաս — յց մուսո Տաօդումլու ոյս, ցայխուարեց-
լու Տաօդումլու. ցայխուարեց Մյուտցուկց մամուս Տանօսու լու
միմարտուղածն օծանու յալույին լուսացեցուլո, ծցցլուհ Յա-
րահանձնուանց ցասակցուրցեցելու լուսցին մամատան. յև ուսցու
թյուրագոնց ծացշու ցամուցա, ուսցու հիմու, Ցոեցրեցեցուլո, հոմ
Տաթրու Տոյուրումն արա ցրտեցը լուտյամն Տումոցնեցնուտ:

— ეს თავისას გეიტანს!... თუ ლმერთმა დაცალა — ისე-
თო გამოიწვება, რომ კაცი იქმნება!... კაცი ვერასფერს გაუ-

გებს, ისე მოიგდებს ხელში, რასაც ამოიჩემებს!... მაგარი კაცი დარჩება!

არ მოსწრებია მამას შვილის „კაცად“ დანახვა; იმას კი ეცადა, რომ ბეგლარს საქალაქო სასწავლებელი გაათავებინა და სასამართლოში გადამწერად შეარგვევინა თავი.

ბეგლარს არ გაუმტყუფნებია მამის იმედი. ყმაწვილი იყო, მაგრამ, ცხოვრებისათვის საკმაოდ შემზადებული. არავს არ ერიდებულადა; წინააღმდეგ, მუდამ ამხანაგებში იმყოფებოდა, მაგრამ ვერავის მისი ნამდეილი აზრი, შეხედულობა, ფიქრი ამათუ იმ საქმის, პირის შესახებ—ვერავის ვერ უცვნია, ვერ გაუგია მისი წადილი. იგი ვასაკვირვებელ მოხერხებით ჰუარავდა ამგვარებს და ამავე დროს ახერხებდა ეჩვენებინა თავის-თავი გულ-წრფელად. ეს იყო, რომ იტყვიან, ეშმაკი კაციო, თავით ფეხებამდე ეგოისტი, მხოლოდ პიროვნული ინტერესების მიმდევარი, რომელთ გარეშე მას არაფერი სწამდა და კიდევაც გუნებაში დასკინდდა მათ, ვინც რაღაცას ეძებდა, რაღაცებს თავს ატეხდა, ვინ იცის რისოვის ან ვისთვის, და ამასობაში თავის თავს აკლებდა.

უგულოდ ეპურობოდა ყოველისფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა თავისათვის, კაცს აფასებდა მხოლოდ მის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებლია, ან გამოელოდებოდა რამე საჩვენებლობას. მისთვის ყოველისფერი უმნიშვნელო იყო და „სისულელე“, თუ კი მის პირადად არ ასრგებლებდა, არაფერს მის თვალში ფასი არ ედებოდა. გუნებაში ათასჯერაც წინ წაუყენებია თავისი თავი იმ „ნასწავლებზე და ნაწვალებზე“, რომელთაც მასსაცით ვერ მიუგნიათ იმ გზისათვის, რომელსაც საჭიროა ცხოვრებაში კაცი იღებს, თუ უნდა თავისი თავის ბედნიერება. ამ გზამო,—ფიქრობდა ბეგლარი,—მე წარმატებაში შემიყვანა, მაშოვნინა ჩინებული ადგილი და ამ ახლო ხანში სასამართლოს „პრისტავობასაც“ მიმაღებინებს.

გვარში მას ტოლი არ ჰყავდა და თავის მეგვარებს ამაღლიდა, რომ მისი მეტადინეობით ჯინჭარაძის გვარი ჰყველასაგან

ცნობილი შეიქმნაო; თუ თავად სიტყვით არ წარმოუთქმაშ
ეს, ხსოვნით ყოველთვის ახსოვდა და დედა მისს კი პირზე
ეკერა.

ასეთი იყო ნამდვილად ბეკლარ ჯინჭარაძე, თუმცა ისე
კი სულ სხვა თვისების კაცად გაუცვნია თავისი თავი გარეშე-
თათვის. შინაურობაში კი იგი ღმერთი იყო. ალბად, თავის ალ-
მატებულობაში დარწმუნებული რომ იყო, იმიტომ არ ეხერხე-
ბოდა არც დედასთან და არც დასთან გრძელი ლაპარაკი, არც
უყვარდა მათთან თავის გულის ნადების გაზიარება და საზო-
გადოდ შინ მყოფი მარტოდ იყო, დედაცა და დაც მორიდე-
ბით იყვნენ მასთან და არიდებდნენ ყოველ უსიამოვნებას ამ
სასიქადულო და სათაყვანებელ ოჯახის წევრს.

ეს შვილი ავიწყებინებდა პელაგიას ქალიშვილს, როგორც
დავიწყებინა უფროსი ვაჟი, თერძად გამოზრდილი და დღეს
სადღაც გადაკარგული.

— გენაცვალა შენი დედა!.. აბლა კი შეიძლება მოვესწრო
შენს გვირგვინს, ჩემო ცხონებავ!... შენ გენაცვალა შენი დე-
და!... რამდენს დედას ენატრება შენისთანა შეილი, მარა ღმერ-
თმა მხოლოდ მე მაღირსა... ვენაცვალე მის მოწყალებას!...

არ დაუთავებია კიდევ ეს გულის ამონახეთქი პელაგიას,
რომ სამზარეულოდან უცნაური ხმაურობა მოესმა, პელაგიამ
მიაყურა. ხმა მისი ქალიშვილის, სონიას ხმა იყო.

პელაგია წამოვარდა და სამზარეულოს კენ გაექონა. აქ ეს
ეს არის დაბრუნებული, სხვაგან ყოფილი, სონია, ულიაპა გვე-
რდზე მოქცეული უცნაური ხმით მოქაქანე გაბრაზებით თავ-
ში უთათქუნებდა კედელზე მიკრულს ნაფლეთებში გახვეულ
პატარა ბიჭს, რომელსაც ხელები თავზედ წამოეყარა, ნაცემის
შესამსუბუქებლად და რომელიც გაუნძრევლად დღვა და ხმა-
საც კი არ იღებდა.

— შენ დაგეწვა ეს თავი!... შენ დაგეწვა ეს გვერდები,
ეს, ეს! — და ახლა ფერდებში ჩაჰკრა, სანამ ბიჭმა ფერდებზე
მიიფარა ხელები, მაგრამ საცოდავი ვერ მიუხედა, სად მოხვდე-

ბოდა სონიას ხელი, იმიტომ, რომ ამან ერთი დასჭივივლა — თეალები... თვალები რატომ არ დაგეწვა, შე დასამიწებელო! რატომ, რატომ! — და ცხვირპირში ჩაჰერა ისე უცბად, რომ ბიჭმა ვეღარ მოასწრო. თეალებზე ხელის აფარება. ახლა კი ვეღარ მოითმინა მან და კატასაერთ აკრუსუნდა.

— რა ქნა მაგ სასიკვდილებ, რა ქნა მაგ შავ დლეზე დაბადებულმა, რა? — გაფაციცებით კითხულობდა პელაგია.

— რა ქნა?!.. რა ქნა და სულ ერთიანად დაუთუთქავს ჭადები!... ერთი არ ვარგა!.. ა, ნახე, შეხედე ამას... ამას შეხედე!... ამას მიუტან ბეგლარს საღილზე?!.. ამას? უი, უი, შენ! შენ!.. შენ გაწყვი, შენ, შენ! — და სონია ისევ ბიჭისაკენ გაექანა, რომელიც ახალ ცემისათვის გამზადებული სასაკილოდ მოიკავა და თავის გაბურძგენილ თავის მუხლებ შეა ჩამალვას შეცადინეობდა.

— შენ დაგეწვა სიცოცხლე, შე წყეულის შეილა, შენ დაგეწვა სული და ხორცი! — მიაძიხა პელაგიამ. — უი მე, ამას რას ვხედავ! — შეჰქივლა პელაგიამ, დამწვარი ჭადები რომ დაინახა, — ვეღარ მიხედე, შე ცოდვილიანო?!

— რას შეხედავდა, როცა, რომ არ მომესწრო, თავად ციცხლში ის იყო ჩავარდებოდა!... მაგ შეჩეცებულს თავი მიედვა ბუხრის ქვაზე და ისე მიძინებოდა!... ვითომც ძილი აკლდეს!.. უი მე, უი მე... ეს რა არის, ღმერთო მომკალი! — შეჰქივლა ხელ-ახლად სონიამ, — ეს რა არის?... შე დალოცილო, რომ იცი ამის ამბავი, ერთხელ მიინც ჩამოვიხედავდი.... ასე რავა მიატოვე ეგ სასიკვდილე!... რას აკეთებდა, მიახარი ერთი, — მიუბრუნდა იგი დედას.

— რავა არ ჩამომიხედავს, შვილო! — წაილაპარაკა პელაგიამ.

— აბა ეს რავა ვერ დეინახე!... ეს მოუქაფავი სუფი, ღმერთო მომკალი, ამას მიუტან ბეგლარს! ამან რავა უნდა გადაგვიტანოს, ამან, ამ ლეკვმა, ამან!... რა არის, ბიჭო, ეს?.. რა არის ეს, ბიჭო?.. ამას ჭაფის მორთმევა არ უნდოდა, არ უნ-

დოდა? არა, არა? — და სონიმ ისევ წაუშინა თავში, გვერდებზე და კსერტში სახე გამურულ ფილიპიას.

— სონია, დატრიალდი, შვილო, შენ გენაცვალე, ერთ წამ-
ში დააჯინე ორიოდე ჭაღი, თვარი საცა არის ბეგლარიც მო-
ვა, ჩალე შენ გენაცვალე, სადილო არ დოუგვიანდეს, თვარი
ხომ იცი, ეწყინება.

სონამ საჩქაროდ გაიხადა კაბი, ჩაიცვა საშინაო, ჩამოვი-
ლა სამზარეულოში, გასტრა ფქვილი და ზელა დაუწყო ცომს.

— სად იყავი, შეილო ამდენს ხანს? — შეეკითხა პელაგია, რომელიც ცეცხლთან ტრიალობდა.

— სად ვიქნებოდი? — ანასტასიასთან უიყავი.

— რა ქნეს ნეტავი იმ გოგოს საქმე, ქრისტინესი... მო-
რიგებულან, თუ არა?

— ხელახლა ჩაშლიათ... სახიძო აღარ აკლებს, რაც უთ-
ქვამს... და თუ ამ ერთკვირაში ვერ მოურიგდებიან, სხვა ქალს
ნათხოვა თურმე!....

— უი, უი! ტერისას ასეთი ამბავი, ასეთი დაუთავებელი ამბავი... ვაი საწყალი მშობლის ბრალი, ამნაირ გასაჭირში რომ ჩაგარდება... ვაი მისი ბრალი, — წაიწუშუნა პელაგიამ.

— ჰო, მშობლის!... მშობელს რა უჭირს, ვინც სირცხვილ-
შია ჩავარდნილი, იმან იკითხოს თვარა!...

— არა, შვილო....

— კაი, კაი! — გააწყვეტინა სიტყვა სონიამ. — უხეირო პატ-
რონის ხელში ქალიშვილი ღმერთმა ნუ ჩააგდოს, ღმერთმა,
თვარა მშობელს რა უჭირს იმდენი....

Յշլացիս, ուս ոյս, Յանցես յասաւրեմած թոյթիօլա, հռոմ Տա-
նլուզան ճապանական տյես եմա թոյթըն. ռարուց դեղա-Շվիլիս եմա
գայթին դյես.

— გოვიდა! — წამოიძახა ცოტა ხნის დაყურების შედეგ
სონიამ.

— მალე, მალე... უჩქარე, შენ გენაცვალე; მე წავალ და
სტოლს გაეშლი მანამდი!... — უი, შე არა წმინდავ, შენ...სულ

ქამუშაძე, გაჭირვება

შენი ბრალია, შენ გაქრი ბარემცა! — წაილაპარაკა პელაგიამ, კედელთან ატუზულ ფილიპიას რომ გაუარა. — დღეს აღრე მოსულხარ, შეილო, ტკბილად მიმართა მან შვილს, რომ ამას არ სწყენოდა, მზად რომ სადილი არ უხვდებოდა.

— აღრე რამ ქნა? — მოკლედ მიუგო ბეგლარმა.

ეს იყო მაღალი ტანის ახალგაზდა კაცი, ბალნით ძალზე შემოსილი, ისე, რომ ლოყები ძლიერ უჩინდა; მისი მაღალი და ბოლოში მოკაცული ცხვირი, მბზინავ შავ თვალებთან რაღაც მოსულ შეხედულობას აძლევდა მისს სახეს. მას სერთუკი გაეხადნა და უალეტის ამარა იყო.

— არა გაქვთ მზად? — იკითხა მან.

— ახლავე იქმნება, შენ გენაცვალე... ახლავე. — მიუგო სტოლთან მოფუსფუსე პელაგიამ, — იმ შეჩენებულმა ბიჭია ჭადები დაგვიწეა... ისეთი ოხერი რამ შეიქმნა, რომ ერთი წამით თვალს ვერ მოაშორებ!...

— თქვენ სად იყავით?

— სად ვიქნებოდით, შეილო, სახლში ვიყავით... სონია გადავიდა, ის იყო, ერთი მინუტით მეზობლისას, თვარა სახლში ვიყავით!

სხვა დროს ბეგლარი უსაოურდ შესწუხდებოდა სონიას უდროო დროს სხვაგან სიარულისათვის, მაგრამ დღეს თავი შეიკავა, აღარითერი უაქვამს; ერთი-ორი გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე ტახტზე ჩამოჯდა და მუთაქას მიაწვა.

პელაგია მის მახლობლად ტრიალებდა; მოხუცებულს უნდოდა შეილს გამოლაპარაკებოდა მა მარტოდ ყოფნაში სონის შესახებ ამბავზე, მაგრამ საწყალი ვერ ბედავდა დალლილი შვილის მოსვენების დარღვევას. დაბოლოს, როგორც იქმნა, მან სძლია თავის თავს, მიუახლოვდა ბეგლარს და ხმა დაშვებით უთხრა:

— პორფირი იყო ამ დილას და....

— ჰო!

— ერთი ამბავი მითხრა ჩემი სონიას შესახებ....

— ჰმ!

— რაგა ფიქრობ, შვილო? მე რა ვიცი, და... პორტირი ძალიან აქებს...

— მერე რაი?...

— შენ არ მოგატყუუბს, ძმებსავით ხართ...

— ამისთანა კიდევ უფრო ადეილად მოგატყუუბს, არ იცი შენ!

— ეგ შენ უკედ გაგებება, შვილო... იმიტომ გეძახიან ჭყიან კაცს!... რა, შვილო, თუ კი მართლა ხეირიანი ეინმეა და შენი საქადრისი იქნება—ნუ დაუკარგავ, შენ გენაცვალე, შენს დას ბედის!... შენც განთავისუფლდები და შეიძლებ შენი ბედის მონახვასაც, ისე ნუ მომკლავ, შვილო, ერთ-ორ დღეს მაინც რომ არ მამზერიო შენის ცოლ-შვილისათვის...

პელაგია, ეტყობოდა, მოემზადა ესარგებლა დღეს იმ გარემოებით, რომ შვილისაგან ამდენი ლაპარაკის ნება ეძლეოდა, და გადაეშალა მის წინ თავის გულის დარდები. ბეგლარმაც შეპნიშნა ეს და უცბად მოუჭრა:

— კაი, კაი, ბატონო, მაგაზე მერეც გვექნება დრო ვილაპარაკოთ.... ახლა სადილი მინდა მე!

— კი, შვილო, კი, შენს სიცოცხლეს ვენაცვალე! ნუ წოუყრუებ ამ საქმეს, ნუ!—შეიმაგრა თავი და აღარ ეშვებოდა პელაგია, ვინ იცის როდის მიეცემოდა ამისთანა შემთხვევა კიდევ;—თუ სულ ურიგო კაცი არაა, ნუ დააშორებ ერთმანერთს, ისე ახლოსაც არ გდეოლება... წელიწადში შეიძლება ერთხელ, ორჯერს მეტად ვერც შემოადგამს ფეხს შენს სახლში!.. გადასწყვიტე, შვილო, შენდა სასარგებლო უფრო რომაა, იმიტომ გეხვერწები!

— ჩამოვა ის კაცი და მაშინ ვნახოთ, მაშინ!—კიდევ გააწყვეტინა სიტყვა ბეგლარმა და ამასთანავე ფილიპიაც შემოეადა ფეხების თხლაშა-თხლუშით, მაგიდაზე დადეა თეფუზე და-ლაგებული ჭალები და ის იყო უკან გაქცევას აპირობდა, რომ

ბეგლარი შეუწყრა და გაგდებას დაემუქრა. ბიჭმა ჩალუნა თავი, ხელი გამოისვა ცხვირ ქვეშ და ნელა გავიდა ოთახიდან თავ-ჩაქინდრული.

კოტა ხნის შემდეგ სამივე დედა-შვილები მაგიდას შემოუსხდნენ და საღილს შეექცეოდნენ თითქმის ხმა-ამოულებლად, რადგან ბეგლარს მაინცა-და-მაინც არ უყვარდა ამ თავისიანებთან მუსაფუში გაბმა.

ნასაღილებს პელაგრამ ისევ დააპირა ხელ-ახლად გამოეწყო შვილთან შეწყვეტილი ლაპარაკი, მაგრამ ვერ მოახერხა. ბეგლარმა ისევ განიმეორა თავისი: „მერეთაც გვექნება დრო ვილაპარაკოთო“ და—ახლა ძილი მინდაო...

— შორს გადასადები საქმე არაა, შვილო!—გაბედა თქმა პელაგრამ.

პელაგრას შიში, რომ ბეგლარი არ იკადრებდა სიძედ სოფლის აზნაურს, ანა და რამე საჭინააღმდეგოს გამონახავდა, ყოვლად უსაფუძვლო იყო. ბეგლარი არ ამხელდა, თორებ ძრიელ მოხარული იყო, რომ შემთხვევა ეძლეოდა და მოემორებინა თავიდან და მაინცა და მაინც ნამეტან ძიება-ჩხრეკით სასიძოს შესახებ თავის შეწყვება აზრადაც არ მოსდიოდა.

— მეც მინდა აწი ჩემს თავს ვერგო მოელად!—წაილა-პარაკა მან და იმედ მიცემულმა, რომ ასეთი დრო მალე დაუდგებოდა, თავი მისცა ნასაღილევის ძილს.

I V

დანიშნულ-დღეს, დაპირებისამებრ, ოტია, გამოწყობილი, ყავის ფერ ჩიხაში, სატინის წითელ წინწკლებიან ახალუხით, თმა-წვერ შეკრეპილი ნათხოვარი ცხენით ჩაეიდა №-ში ბია-შვილთან, რომლისათვის ცალკე ხურჯინით კოტაოდენი ძლვენიც გაიძლვანი.

— ახლა კი კაი კაცი ხარ, ოტია ჩემო, სიტყვა გცოდნია!— მხიარულად მიეგება მას პორფირი და რადგანაც ოტიას

სახეზე ერთნაირი ღიმილის თამაშიბა შეამჩნია, მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა სიკილით: —ჩვენი საქმე კარგად არის, კარგად, ოტია!

ოტია უფრო დაიბნა, ღიმილიც უფრო მოერია, სიტყვა ველარ მოახერხა და მხოლოდ თავი გადააქნია.

ნასაღილევს ორივემ ცოტა ხანს მოისვენეს.

— ახლა ერთი „გევიგულავოთ“, ჩემო ოტია, და მერე გამოვეცხადოთ... — უთხრა პორფირიმ.

ოტია შეიშუშნა, ერთი მიაშტერა თვალი თავის მოკეთეს და მერე დაიწყო:

— ბატონო პორფირი... — აქ სიტყვა ჩაუწყიდა ალელვების გამო.

— ჰო.... რა გინდა?

— სოფლის სასაცილოდ არ გავხდე....

— ღმერთო ჩემი! — შეჰყვირა მხიარულად პორფირიმ.

— უკაცრავად კი ვარ, მარა...

— შე კაცო, თუ კი ასე არ მენდობი, რაღაზე მოდიოდი აბა, ა?...

— არა, არა!.. ნდობა რა, — ვიღას უნდა ვენდო აბა, მარა მაინც... რა ვიცი, ისე, ჩემი სისულელით მოგახსენეთ!... თავადაც კარგა მოგეხსენება სოფლის ამბავი, ჭორი, მითქმა-მოთქმა, ახლა ჩემს თავს ვებრძვი ვითომ, როცა დარწმუნებული ხარ ყოველის მხრით კაცი!..

პორფირის გეცინა.

— რათი დაგარწმუნო, ჩემო კეთილო, რომ ქილი უნაკლულოა, მშობლებს ვიფიცავ იმაში, სხვაფერ რითი დაგაჯერო.... სიტყვას გაძლევ ეგ არის და შენც იცი ქალს არც აქ გაგასინჯვანებენ, როგორც სოფელში, მის გარევნობას თავადაც ნახავ... მეტი რა გიყო! მამიჩემის სულს ვფიცავარ, ქალი ჩინებული ქალია. შენ, ჩემის შეჯერებით, თორემ ბევრს აქაურსაც არ გიატრანს მას მისი პატრიონი, მე არ მოვკედე!... და ამასაც გეტყვი, ოტია ჩემო, — თუ შიში გაქვს, რომ შეიძლება

გატყუებდე, თავი დავანებოთ, ჩემო ძმო!.. ა? როგორც მეტ-
ყვი.

ოტიამ ისევ მოიბოდიშა და გაჩუმდა. მას ეძნელებოდა
ამგვირი ქალის დაკარგვა, როგორსაც ჰპირდებოდა პორფირი.
იგი თავ-მოსაწონად უნდოდა მას და თუმცა შიში ჰქონდა,
სირცხვილი არ ენახა, ერთხელნდელის არ იყოს, მაგრამ უკა-
ნაც აღარ იხევდა.

მეკობრებმა ქალაქის ქუჩებში გაისეირნეს, ეტლითაც ია-
რეს და დასალამოვებულზე ჭინჭარაძისას მივიღნენ.

პელაგია დიდის ამბით შეეცება სტუმარს. ბეგლარაც ახ-
ლა უფრო ხალისინად იყო უცხო კაცთან. პორფირიმ ყვე-
ლას გააცნო არეული ოტია.

— დაბრძანდით! — მიიპატიუა იგი ბეგლარმა.

— დაბრძანდით, ბატონო, დაბრძანდით! — მიმართა პელა-
გიამაც და ხელი ანიშნა სკამზე.

მაგრამ ოტიამ უკან დაიწია და ფეხებში მოხვედრილ სკამ-
ზე დაეშვა. უეცრად ოტიას შეექცა სკამი და უსათურად გაიშხ-
ლართებოდა, კედელს რომ არ მიყრდნობოდა.

— ლმეროო მომკალ! — წამოვარდა პელაგია, — რაღა თქვენ
შეეხვდათ ეს ფეხმოტებილი სკამი!.. ვინ შემოათრია ეს აქ?..
გეიტანე, შვილო, იქით!

სონია ძლიერ იკავებდა სიცილს, აილო სკამი მეორე ოთახ-
ში გასატანად.

— ხომ არაფერი გტკენიათ, ჩემო ბატონო? — მონაწილე-
ობით შეეკითხა პელაგია სტუმარს.

— არაფერია, ბატონო, არაფერი! — მიუგო ოტიამ, მარ-
დად წამოხტა და, გაწითლებული, გალიმებას ცდილობდა, თუმ-
ცა ამავე დროს გუნებაში ეგ დაცემა ცუდ ნიშნად მიიღო და
ეს ძალიან აწუხებდა.

პორფირი ცუდ შთაბეჭდილების გადასაყრელად თავისი
ცოცხალი ენით მოჰყეა ამის მსგავსს შემთხვევებს, მას რომ გა-

დახდომია და იმდენი მოახერხა, რომ ყველანი, ოტიანად ბევრი აცინა და კარგ გუნებაზე მოიყვანა.

— როდის ჩამობრძანდით სოფლიდან? — შეეკითხა ბეგლა-რი ოტიას.

— დღეს, ბატონო! — მიუგო მან.

— შორს არ არის...

— არა, ბატონო... სოშე გახლაესთ ამასთან-და!

— ვიცი... ვყოფილვარ მე თქვენსკენ!.. ერთობ ღვინო იცით... რჯულზე დავთვერით ერთხელ, გზად გამოვიარეთ...

— ასე, ბატონო!.. ავადმყოფობამ შეგვიმცირა, თვარა იყო რიგიანი და გვარიანადაც მოდიოდა...

— ახლაც ძალიანია, ბეგლარ, ახლაც ძალიანია! — წამოი-ძახა პორფირიმ — ასეთი მათრობელია, რომ ჰო, ჰო, ჰო!

ლაპარაკი სოფელზე ჩამოვარდა, სოფლურ მოლხენაზე, ქეიფებზე, ღვინის სმაზე. პელაგია ხანდახან ჩაურთავდა სიტყ-ვას, სონია კი ყურს უგდებდა ლაპარაკს, ხან მიღი-მოდიოდა თახებში. ოტია სარგებლობდა ამით და თვალი მისკენ ეჭი-რა. სონიას ერთ შემობრუნებაზე პელაგიამ თვალით მიიხმი იგი, რაღაცა წაულაპარაკა, რის შემდეგაც ყმაწვილი ქალი აჩქარე-ბით გავიდა ზალიდან.

ოტიამ თვალი გააყოლა მას.

ქალი, მართალია, ლამაზი არ ყოფილი, მაგრამ არც სულ ულამაზობა ეთქმებოდა. სუფთად ჩაცმული, თავისუფალი მიხე-რა-მოხვერით ოტიას თვალში იგი გაცილებით სჯობდა ქველი-ძის ქალიშვილს, რომელიც, მისდა უნებურად, თვალშინ ეხა-ტებოდა, და რომელსაც ადარებდა ამ ახლად გაცნობილს. ამ უკანასკნელს, მისი შეხედულობით, რომ უპირატესობა ჩჩებო-და, ეგ თუ აღონებდა ოტიას, თორემ არ ახარებდა. ტყუილა კი არ წამექცა სკამი, ფიქრობდა იგი. თუ ქველიძემ უარით გამომისტუმრა იგი, აქ რა უნდა გაეგონა, რისი მომლოდინე უნდა ყოფილიყო, ვითომ. და რაც უფრო იკვირდებოდა სო-ნია, მით უფრო სწუხდა ოტია, მით უფრო ნანობდა, აქ რომ

ფეხი შემოადგა, ამჩიტდა, არ გაფთხილდა, გამოცდილიც თუმ-ცა იყო. წაქცეული სკამი მაინც ახლა ცხადად ანიშნებდა მას, რითი გათაედებოდა დღევანზელი ამბავი. უკვე წარმოიდგინა, რომ სოფელში სასაცილოდ ამიღებენ. ერთად-ერთი იმედი ისევ ბიაშვილზე ურჩებოდა, რომლსაც შეეძლო მისი აქედან გაყვანა ისე, რომ ამბავი არ გამჟღავნებულიყო.

ამ მდგომარეობაში მყოფი ოტია ველარც სიტუაცია ახერ-ხებდა, ველარც ესმოდა კარგად, რას ეკითხებოდნენ მას; ისე რომ იძულებულ ხდიდა პელაგიასაც და ბეგლარასაც ემეო-რებინათ მასთან გიმართული კითხვები და კინალამ ჩაით ჭიქა წააქცია, როცა სონიამ სინით წინ დაუდგა და ოტიას თვალებ-ში ჩისი მსუქანი და რგვილი ტიტველა მაჯები მოხვდა.

— აჲ! ამას მე არავინ არ მომცემს... ტყვილი იმედია! — სოჭვა მან გუნდებაში და თითქო გამოსათხოვრად ერთი თვალი კიდევ შეასწრო ყმაწვილ ქალს.

პორფირიმ შენიშნა მეეგბარს მის მოუსიერნარად ყოფნა, რომ იგი სხვანაირად პერძნობდა თავის თავს და როგორც კი იშოვა დრო, მარტოდ რომ დარჩენ, მიერდა მასთან და ჰკითხა:

— აჲ, რას იტყვი, ოტია?

— დავანებოთ თავი, პორფირი!

— არ მოგეწონა?

— ჰმ! — მწარედ ჩიცუინა ოტიამ, — მოწონებაზე უნდა იყ-ვეს საქმე? თავი დავანებოთ, თვარა მე აქ სირცხვილს ვჭამ, შენ ნუ მომაკვდები!

— შენს მოწონებაზედაა, მაშ!

— ჰმ! — წამოიძახა ოტიამ, — სასაცილოდ მიგდებ და ეგ არის!.. შენი ჭირიმე, პატიოსნად გამიყენე აქედან... ამ ქალს მე არავინ არ მომცემს, ეგ კარგად ვიცი!.. ეს წყალობა მიქე-ნი, გეხვერწები, პატიოსნად გამიყენე, სხვას არაფერს დევე-ძებ!.. შენს ხელში ეარ, ბატონო პორფირი!..

— კაცო, ქალს ეინ გიკავებს! — სიცილით მიუგო პორფი-რიმ, — შენ გამაჯებინე, თანახმა ხარ თუ არა!.. შენი სიტყვით გათავდება ყორიფელი საქმე!

ოტია შეჩერდა და მაშუალს ოვალი-ოვალში გაუყარა. ზედ ემნეოდა, რომ მას რაღაც ეჭვი ეპარებოდა გუნებაში. ის სულ სხვას მოელოდა: — უარით გაისტურებდნენ ეკონა და ახლა ეუბნებიან, რომ საქმის გათავება შენზედაა დამოკიდებულიო — ეს ნამეტანი ეუცხოვა და ეჭვში შევიდა. მან ვეღარ მოითმინა თავის დარღის დამალვა.

— პორფირი... გაფიცებ ყორიფელს... წაგიწყდეს დედ-მამის სული!... ნუ დამიმალავ... გამაგებინე, რისგანაა ახლა ეს?... გაფიცებ შენს მიცვალებულ დედ-მამას, მართალი მითხარი.... ნაკი ხომ არაფერი აქვს ქალს?...

— ნაკი?!... შეჩვენებული ვიყვე... დაწყევლოს უფალმა, — მიუგო გაცხარებით პორფირი; — არ გრცხენია, ოტია... ასე მიყურებ მე!...

— აბა რავა გევიგო ეს ამბავი?

— რავა და ისე, რომ ბეგლარს უნდოდა დის გათხოვება, დედა მისსაც... მე და ის კაცი ძებივით ვართ, თითქმის!.. ვუ-ყურებლით რიგიანი კაცი შეგვხვედროდა სადმე... აჲ, შეგვხვდი, გიცანი, მიცანი, ფაგაცანი და ბასტა... რაღა ბევრი ჩიჩინი და ლაპარაკი უნდა ამას!... ჩვენ, კაცი მოგვწონხარ ყველას. თუ შენც მოგწონს ქალი, თქვი, და საქმეც გათავებული იქმნება!... ქველიძესავით, შენც მიხელები, ყაყანს არ დაგიწყებენ აქ!

ოტიას დაუჯდა ეს სიტყვა და იამა მისი კარგად ხსენებაც.

— თუ რამე ნაკი უნახო მაგ ქალს, პირში ჩამაფურთხე, ნებას გაძლევ! — უთხრა დაბოლოს პორფირიმ.

ეგ მეტიც იყო, — ოტიას კიდევაც შერცხვა ამის გაგონებაზე. იგი თანახმა იყო თავის მხრივადაც.

— ოფლი გამომადინე, შე დალოცეილო! — გაიცინა პორფირიმ. — რაღას იჭიმებოდი, თუ ლმერთი გწამს!... შენ მომით-მინე... ერთი იქ შევირჩენ. — და პორფირი გავარდა ზალიდან მეორე ოთახში.

მარტოდ დარჩენილი ოტია აქეთ-იქით იცქირებოდა დარცხვენილი, სახეზე ალმურ-მოკიდებული. მაგრამ რამდენიმე წუ-

თის შემდეგ უარესს მდგომარეობაში ჩატარდა, როცა კარი გაიღო და ზალაში მემოვიდა სონია. ოტიამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, დამჯდარიყო ქალისამებრ, თუ ისევ შეიძლებოდა ფეხზე მდგარი დარჩენილიყო; რომ მოეკლათ, ხმის ამოღება არ შეეძლო ამ ქალთან და გაჩუქრებული იყო; არც ქალი იღებდა ხმას,—ერთი კი უთხრა, „დაბრძანდითო“, რაზედაც ოტიამ მიუვი „გახლავართო“, და ამაზე შეწყდა მათი მუსაიფი. სონია უფრო თამამად იყო და გუნებაში ეცინებოდა ამ ყმაწვილის უცნაური უხერხულობა. სონიას აზრით, ეს ვიღაც მთხოვნელი უნდა ყოფილიყო, მის ძმასთან მოსული, და აღბად კარგა სამძიმო საქმე უნდა ჰქონდეს, რომ ასე დაღონებულიაო.

მეორე ოთახში კი სამთა რჩევაც დახრულდა, რასაც დიდი ხანი არ დასჭირებია. ბეგლარმა თავის მხრით სოქვა, რომ ვერაფერ წუნს ვერ ვსდებ ხასიძო ახალგაზდა ქამუშაძესო. მასთან პელაგიაც, რასაკვირველია, თანახმა შეიქმნა.

— აბა რაღაზე ვაწვალებთ იმ კაცს! — სთქვა პორფირიმ — შეგახალისოთ ახალგაზდები, ღმერთსაც იამება! და მოცინარი სახით გავიდა ზალაში.

მას მიჰყვნენ ბეგლარიც და პელიაგიაც. პორფირი სიცილით მივიღა სონიასთან და თავი დაუკრა.

— ნება მოგვეცით, ქალბატონო, მოგილოცოთ! — დაიწყო პორფირიმ.

— რას მილოცავ?!. — გულუბრყვილოდ უთხრა სონიამ.

— ხა, ხა, ხა!.. — გადიხარხარა პორფირიმ, — ხა, ხა, ხა!... შენი გაბეჭდიერება, ჩემო სონია!..

— ჰმ!

— მოგილოცავ, ოტია! ურა, ურა!.. იცოცხლეთ და იმრავლეთ! — შესძახა პორფირიმ.

— რას სულელობ! — წყენით შეუტია. მას ქალიშვილმა.

— კი, შვილო, კი გენაცეალე! — მიუახლოვდა პელაგია.

ქალი აირია; ერთი თვალი გადაავლო ყველას და ოთახიდან გავარდა. პორფირიც და პელაგიაც უკან დაედევნენ. ოტია გაშრა სირცევილისაგან.

— დედა... რა ამბავია?!. — უცნაური ხმით მიმართა ყმაწ-
ვილმა ქალმა დედას.

— შენი ბედნიერება, შვილო, შენი ბედნიერება! სხეა რა
გვენდომილება!..

სონია გაფითრდა.

— კაი კაცია, შვილო... თვალადაც, შეძლებითაც... გვა-
რითაც!.. კაი აზნოუშვილი!.. ძვირფასი ხასიათის კაცი!.. — მოჰ-
ყვა პელაგია.

— არ მინდა!.. არ მინდა, არა, არა! — გარდაწყვეტილებით
წამოიძახა სონიამ.

— ხომ ვერ დაბერდები, შილო, შენი ძმის ოჯახში... ხომ
უნდა მონახო, ერთი დღე იქნება, შენ გენაცვალე, შენი საკუ-
თარი სახლ-კარი?!.. უარს რატომ უნდა ამბობდე, როცა ამისთა-
ნა კარგი ბედი და ილბალი მოგანიჭა უფალმა!

— გავიგონიათ ასე?! გავიგონიათ ასე ჩემდა დაუკითხა-
ვალ? — გაუხარებით იძახდა სონია.

— კაა, კაი, შე ქალო!.. რატომ იცით ქალებმა გათხო-
ვებაზე ამისთანა ამბები... ვითომ და არ უნდა გათხოვება! აი
შე ეშმაკო, შენა!.. — ხუმრობა დააპირა პორფირიმ; მაგრამ ამ
უადგილო შეხუმრებამ იგი მხოლოდ მეტად გააწიწმატა.

— თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ ყველამ! — წამოიძახა
სონამ.

— თავი როგორ უნდა დაგანებოთ, რას ამბობ, შვილო! —
შეუტია პელაგიამ.

— აჲ, ღმერთო! გითხარით, არ მინდა-თქვა... არ მინდა...
არ წავკვები... არა-თქვა, არა! რით გინდა ახლა ჩემგან!... მო-
მჟალით!.... რას ჩამცივებითხართ!.... რა არის ეს, ღმერთო ჩე-
მო!...

პორფირი გაიპარა ოთახილან და ბეგლარი შემოგზავნა.
ოტია ატყობდა, რომ ქალის მხრით წინააღმდევობა უნდა ყო-
ფილიყო და შეწუხდა:

— ბატონო პორფირი! — მივიდა იგი პორფირთან. — ბატო-
ნო პორფირი... ეგებ იმას, არ ნებავდეს... და... ძალას ნუ და-
ატანთ, შენი ჭირიმე... ნუ შეაწუხებთ!...



— ეჭ, ერთი შენ კიდევ! — გულჩეილობას დამიწყებ!.. ქალის ამბავი არ იცი?!. გულით რომ უნდოდეს, ახლა მაინც არ შეიძლება ერთი-ორი არ შეიკვანტრიშოს!.. აცალე, ძმის სიტყვას უფრო გეიგონებს ის!.. ხომ ჯობია ქველიძის ქალს, თუ ღმერთი გწამს?.. ა?..

— ჰმ, რა საკადრისია! — ჩაიცინა ოტიამ და ამავე დროს ოთახიდან კარიც გაიღო და ზალაში შემოიყვანეს დედა შეილმა თვალებ-აწითლებული, თავჩაღუნული სონია.

— ასე არ ჯობია, შე ქალო! — მიირბინა მასთან პორფირიშ, — ოტია, მობძანდი! მალე შე კაცო, აწი დროულა წითელი წვენით ღონე დევიბრუნოთ, რაც ამ თქვენს დავიდარაბაში მივალიერ!..

პელაგიამ გულში ჩაიკრა სიძე და უსურვა ყოველივე ბელნიერება და დიდიხნის სიამტკბილობით სრულცხლე. მიულოცა ბეგლარამაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ რაც უნდა დამართოდა, უსათუოდ უნდა დამთერალიყო ამ სასიამოვნო შემთხვევის გულისათვის.

— შენ ახლავე ერთი რიგიანი ვახშამა გაგვიკეთე კი ხელად! — უთხრა მან დედას.

სონია კი გარეტიანებულივით იჯდა; ეერც ოტია ჰერძნობდა თავისუფლად თავს, რის გამოც პორფირი დასკინოდათ, რომ მეტად ადრე ჯდებით ნეფე-დელოფლადაო.

კარგა ღამე იყო, რომ ოტია და პორფირი სახლისკენ მიდიოდნენ რიგიანად ღვინო ნასვამები.

— ჴო, ასე ვიცი მე... კაცს რომ ვიცნობ, მისთვის თავს მოეკულავ, ჩემთ ოტია!.. თავს შევაკლავ და არც წააგებს ჩემთან მეგობრობით!..

— იცოცხლე, იცოცხლე უკუნუთი უკუნისამდი!.. ჩეენისთანა საწყალი და მართალი გზა-გოუგნებელი კაცისათვის!.. ხომ ამისთანა სიკეთე მიყავი, კაცი გამაცოცხლე. გამაცოცხლე კაცი, თვარა იმ ვირი ქველიძის გამო მცვდარი ეიყავი!.. მიწასთან გასწორებული ვიყავი!.. შენ გამაცოცხლე ახლა, სიცოცხლე დამიბრუნე ხომ და ერთს კიდევ გთხოვ, შენი ჭირიმე... ამასაც ნულარ დამაკლებ და მერე თქვენი ჭირი წამილია, თუ გინდა!

— ჰო!.. რა გინდა? — შეჩერდა პორტირი.

— რომ გული მოვუკლა იმ ოხრი შეილისაც და ზოგიერ-
თებს სხვებსაც... თქვენთვის ეგ არაფერი იქნება, ჩემთვის კი
ძირიად რაღმე ელირება, იყოს ისე თქმულობად, ცარიელ სიტყ-
ვად, რომ ვითომც ბეგლარს დისათვის ხუთასი მანეთი მიეცეს
მზითვად!.. ცარიელი სიტყვა — ქვეყნის გასაგონად, თორემ ფუ-
ლის თხოვას როგორ გოვუბედავ!.. ისიც არ კმარა ჩემს თავ-
ზე?!.. ქვეყნის გასაგონად ითქვას ოლონდ!

— კი, ბატონო! — მაგაზე ადვილი რაა!.. მე რაღაც სხვა
მეგონა, ისე გრძლად მოკუყეი!.. ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა პორ-
ტირიმ, — ექვსასი იყოს, შე კაცო! შვიდასი!..

— არა, არა! მეტი რაც იქნება, ეჭვში შეიყვანს... არ დე-
იჯერებენ! — მიუგო თტიამ.

— ხუთასი იყოს! — იყოს ხუთასი!.. — მხიარულად შესძინა
პორტირიმ. — ერთი სიტყვით ჩესტიანი ბიჭები ვართ, ჩესტიანი!..
ყორიფელს მოვახერხებთ! — და ორივე მეგობარმა ხითხითით და
სიცილით განაგრძეს გზა სახლისკენ.

დაგ. გლედიაშვილი

(შემდეგი იქნება)

სახალწლო ფიქრი

რომ შავებებთ სისარულით
 ახალსა წელს,
 რას მომიტანს ის გულისათვის
 სასისარულოს:
 ამისრულდება, რასაც გნატრობ
 სულით და გულით?
 მიგაღწევ მიზანს დანიშნულსა,
 ჩემს სატრიფიალოს?..
 გნახავ სიმართლის დროშას მადლა
 აფრიალებულს?..
 ძმობას, ერთობას ხალხთა შორის
 გამეფებულსა?..
 არ შემომეშის კენესა, გმირეა
 დამაშერალ ხალხის
 და გრეალებრ მოხრილს გნახავ წელში
 გასწორებულსა?..
 მაგრამ რას ვფიქრობ, დმიტრო ჩემთ,
 ამას უკნერი
 განა მომხდარა ეს როდესმე, ახლა
 რომ მოხდეს?
 მაშ, ახალს წელსა სისარულით
 გით მივებებო;
 დევ, გით დღემდე, დღესაც ისევ
 გული მიწეხდეს.

გ. დუხაძე

„უცნაურია, უცნაური!..“*)

(ფსხოლოგიური პრიუდი)

I

ეჭ, მეგობარო, რაი უნდა გითხოვ? — მოკლედ უპასუხა ამ-
ნონმა და ცრემლმორულდა თვალები მთაშორის მეგობარი, რომ მას
ეს სისუსტე არ შეენიშნა.

ამნონმა ჩაუინჯათ მზერა დაუწევა ჩამაჯალ მზას უპასუხებნედ
სხივებს, რომელიც მოწიწებათ ეტრფლდნენ და ეაღერსებოდნენ
დღიანის მთის მწვერვალებს და, თათქმას განშორება ექცელებათ და
თანაც თავის უფლის წეენა ერიდებათო, რომელიც თან-და-თან ის-
რუტავდა და თავისებნ იწვევდა მათ,—თრთოლით მიეღვარებდნენ
მზისებნ და მთის მწვერვალებისებნ. მაგრამ ამნონი ამნევდა-და ბუ-
ნების მოკლენის მშენერებასენ? მზე, მთვარი, მთები, ზღვა და
ხმელეთი გაერთებული იყო მისთვის. იგი კერას ჭრებადა კარც
დღე, და კერც ღმის, გარდა...

— ამნონ,—ნაზად სედი მხარზე დაადღ მეგობარმა და მომ-
ხიბლებაის ხმით ჩატანებულა: — ნუ იუგადრისებ ჩემ სიტყვებს, სე-
ფისწელო, თუ გავგადნიერდები და ცოტათდნ შენდა საწინააღმდე-
გოს ვარეკო. გასსოვს, მარწმუნებდი: «ერთად ერთი მეგობარი შენა
სარ, რომელთანაც დაფარული არა მაქს-რაო»... ესლა კა რას კე-
დავ?!. აქა, გულ-ჩათხოვანილი მეგობარის წინაშე სდგესარ და სდეგმ!..
ნუ იტევი, ჩემთ ამნონ, გითომ არავითარი საიდუმლო გჟღში და-

*) ღაბადება. მეფეთა წიგნი ბ, თავი 18.

შარხული არა გქონდეს... რაც უნდა თავი იმართდო, შენი სახის
გამომეტურება მაინც გაგამტურებს...

— იონადაბ, მიყვარს, მიუკანს, იონადაბ!.. — უცრივ მოტ-
რიალდა ამნონი მეგობრისკენ და ამ სიტუებით, თითქას დედის
შეკრდი უფორნიაო, ისე ჩაეკრა იონადაბს გულში, და ჩუმა ქვითი-
ნი აუგაოდა...

— ვან?.. — რამოდენისამე წამის სიჩუმის შემდეგ დაეკითხა იო-
ნადაბი.

ძლიერად გაუკვირდა იონადაბს, რომ სეფისწული ასეთ ჭერნ-
ებას მისცემია ამ მცირე მიზეზის გამო. იონადაბს კერძოშოდ გერ-
ნა, თუ ვანმე ისეთი ასეული მოიპოვებოდა ესრაელთა შორის, რო-
მელიც სიხარულით არ მიეკებოდა ამნონის სიუკარულს, და ამი-
სათვის განცვალებით მიჰმართა იონადამბა: დეგობარო, ჭმუჩა
შენი მაკვირვებს. ესრაელთა შორის რომელი ასეული არ აცნებობს
შენს გამო?!. სიზმარშიაც კა რომ ეზმარო, მაშინაც აღტაცებით
უამბობენ თავისებს და შენ კა...

— არის, არის ისეთი ასეული ესრაელთა შორის, ჩემთა იო-
ნადაბ, რომელიც ზიზღათ შექსედას ჩემს სიუკარულს! — უცრივ
სიტუება გაწუკეტიანა ამნონმა იონადაბს და გაშტრებათ მზენა და-
უწერ იონადაბს...

— ვინაა მაგეთი შტერი, არ მეტყვიო?!

— არა!.. არა!.. — მწარის ღიმალით გრძელი სუკუჭი თმა ოდ-
ნავ შეარსია და განაგრძო: — იყი შტერი არაა!.. იყი თამართა — დაჭ-
აბესალომისა... — ხმის კანკალათ წამოაძახა უკანასკნელი სატესტი
და თავი ჩაღუნა...

თამართის სსენებაზე იონადაბის მოსაზრებამ იცემა.

რამოდენისამე წუთს იონადაბი თავს ძალას ატანდა, მაგრამ თავი
არ ემორჩილებოდა. არც ავა, და არც კარგი მის გონიერას არ მიე-
კარა, ისე ძალერად იმოქმედა ამნონის უკანასკნელმა სიტუებმა.

იონადაბის სიჩემე გავიცხვის ნაშნად მიაღო ამნონმა, და ამის
გამო მისთვის ეს წუთები აუტანელ წუთებად გარდიქნენ: ტანმა

წვა დაუწუო, სხეული ღდნავ შეუსკელდა, და სუნთქვა თან-და-თან გაუმჯდედა. რცხენოდა თავი მაღლა აეღო და ორნადაბისთვის შეესტყდნა. თან ემდურებოდა კიდევაც ორნადაბის, რომ თამარის სასელი წამოათქმევინა. აკი გადასწუვიტა, საფლავმდის თავის სიუკარული არავისთვის გაუმჯდავნიანა, თამარის სახელი საფლავში ჩატანა, და ეხლა კი ორნადაბმა, საუკეთესო მეგობარმა წააცდინა და ათქმევინა: — «ორნადაბ, ორნადაბ!» — იძახდა უსატევოდ გულ-ჩაჭდული ამნონი: «რისთვის გამომტეხე?.. განა იძისთვის, რომ გაგევიცხე?!.»

— ამნონ,— დაინჯად მიქმართა ორნადაბმა, — თამარის სახელმა სულ თავრეტი დამსკია. შენი სიუკარული უნუგაშოა...

— ეგ მე გარგად ვიცოდი და აძისთვის არ მინდოდა გამომუღავნება!.. — ცოტა არ იუს წყრომით გააწევეტინა სიტყეა იონა-დაბს ამნონმა.

— ცოტა მომითმინე, სეფის-წულო!.. — საუკედურის კილოთი გააჩეუმა ამნონი: — უნუგაშოდ, — განაგრძო ორნადაბმა, — მეზენა შირ-გელ სეუნებაზე; მაგრამ საქმეს მოკელება.

— როგორ, ორნადაბ, როგორ?! — უეცრივ სახე გაუბრწყინდა და აღტაცებით მოეხვია იონადაბს ამნონი... .

— მამა-შენს და გერცარავის სხეას ერთ გაუმჯდავნებ შენს სიუკარულის. უკელა უგუნურებად ჩასთვლის შენს გრძნობას. რაც უნდა იყოს თამარი, თუმცა დედით სხეა-და-სხეანი სართ, შენი დაა...

— აკი მაგისთვის კიუავ გაჩუმებული!.. — დაღვრემით წამოი-
ჟახა ამნონმა.

— ჴრ, კიდევაც სკობია არავის გაუმჯდავნო და ასე მოიშცე: მოაგადმუოვე თავი.

— მერე?!

— მეივე რომ მოვა შენს სანახავად, უთხარი: «მოვიდენ აწ დაქ ჩემი თამარ, რათამცა მომცეს მე ჰქმადი და მიქმნეს წინაშე თვებლია საჭმელი, რათა კისილო და კრემი სელისაგან მისისა...»

ამნონი, როდესაც იონადაბი ამას ამბობდა, კანკალმა აიტანა, და კეღარ მოითმინა, რომ არ დაჭერითხებოდა:

— მერე?..

— მერე, ჩემთ მეგობარო, თამარი შენ ხელი იქმნება. თუ ნებით არ დაგუვა, ძალა იხმარე. შემდეგ, იქმნება უკულამაც გაგეოცხას, მაგრამ ძალა-უნებურად უკულა შეურიგდება ამას, და თამარი სამუდამოდ შენი იქმნება...

— ოს, მეგობარო!.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა ამნონმა და იონადაბი მსურვალედ გულში ჩაიგრა...

II

... — «განსდევენებით უოველი გაცნი ჩემგან!.. — დაიძახა ამნონმა, როდესაც მეუე დავითის ბრძანებით თამარი მოვიდა მმასთან, და მეისეე სურვილი შეუსრულეს ამნონს...

— თამარ!.. — მიქმართა მოლად გრძნობად გარდაჭმნილება ამნონმა თამარს, როდესაც იგინი მარტოდ დარჩნენ თოასში: «მომიღე მე ჭიმადი შინაგან საწოლსა და გვამო სელისაგან შენისა».

«და აღიღო თამარ შერთული, რომელია შეწევა და მიართვა ამნონს — მმას თვისისა — შინაგან საწოლსა. და წინა დაუღევა მას, რათა ჭამოსა მან...»

ამნონი ფერ-მისდილი გაშტერდა და შებლის ჭმუნვით რამოდენისამე წუთის სიჩუმის შემდეგ მიესკენა სარეცელზე...

— თამარ, — ხმის კანკალით ძლივის მიყმართა თამარს: «მოკედ და დაწევ ჩემთან!..»

— დარა, მმაო ჩემო, — წენარად მიუგო თამარმა: წეუ გამქიცხავ მე. ვინაიდან არა ქმნილა ას ესრედ ესრაელთა შორის. ნუ ჟულუ უგუნურობასა მას... მე სად დავითარო უპარიობა ჩემია...

— თამარ!.. — ტანის ურეოლით წამოიძახა ამნონმა და მკლავში ხელი წააკლო...

— ნუ, ნუ, ჩემო ამნონ!.. — დმობიერად შეკვედრა თამარის — თუ ძალას იხმარ 『შენ იქმნები გითარცა ერთი უგუნურთაგანი ეს-

რაკლთა შორისა... სჭობდა, «ეტულდე მეტისა მიმართ, რათა არა-განმეოს მე შენგან»...

თამარის სიტყვებმა ზეგავლენა იქონიეს. ამნოთა შეტორმან-და, ზეწამოდგა და ერთ წამს ფაქტობდა და მოქმედდა კიდევაც მის წინ მუხლი მოედრიყა და პატიება ეთხოება, პავრამ იონადაბის სიტყვები უცრიც უკრძა ჩაეწეონ: «ისა სჭობია, არავის კაუმედრავო... თუ ნებით არ დაგვა, ძაღლი იხმარე...» ამ სიტყვებმა ამნონს გონება დაუბინდეს. თამარის წარმტაცმა სახემ, მისმა უმანკოებამ ცეცხლი წაუკიდეს და...

მთლად შემოაფრიქნა ჭრელი სამოსი, რასაც მეფის ასულია,
«მუღლი ქველებასა შინა», იციამდნენ...

III

განთიადია. მაღლებმა მოუქმირეს ყიფილსა. აქა-იქა მამდების
გარდა სხვა სულდგმულნიც, უფრორე სასახლის კარის მცველნი და
დარაჯნი, ოდნავ, მორიდებით სმაურდნენ, რომ დიდებულთათვის
ძილი არ გაეფრთხოთ. მაგრამ სასახლეში დიდებულთ ტებილად ეძი-
ნათ და არავითარი ხმაურობა სასახლის გარედ არ გამოარცვებდა
ძილისაგან. მხოლოდ ამნონს არ სიძინავს. მამდებისაც არ ეყავლნათ,
რომ იმან გამოივია და მხართუმაზე წამოუადგით გატარებით
დაჭურებს ვის?. ვის და თამარს, რომელსაც მოუკრთის ჭრაქის
შეზე ოდნავ თავის თმით წაფერფლილი გულ-მეული, დროვაძო-
შებით მოდიომარი საგენი და...

— ღმერთი, ღმერთი!.. — მაღა-მაღა გაიძახის ამნონი და
დაბალს კრის აშორებს ტბილებად მიძინებულ თამარს...

გუმინ ამ დროს — შორიდან — ძალ-გამკრთალი აცნებობდა, გარს
უგვიდა თამარის თახასს მოწიწებით და ოხვრით... შორით თაყ-
კანს სცემდა, მის ფეხის მტკერს კამბორებოდა, მისი სიმშეგნიერე-
ბელში ჭროდა ჩასახედი სატაცვანებლად და უავეჯ წევს
მასთან იყო განუშორებლივ...

ეხლა?!

ეხლა კი, იო, თამარი გიგრდით უწეს, მას სულ რამოდენიმე უამის წინ ჭისრესდა, ძალას ჭიმარობდა მასზე... იგი დაჭმორჩილდა თავის სკედრის ისე, ოფერო სხვანიც დაჭმორჩილდებოდნენ; მასაც უდარდებად მიიძინა, ოფერო სხვაზიც მიიძინებდნენ... სხვებიც, ორმეტოც ამნონი არც კი შექმნავს, თორემ მათთვის ხომ დამეტს არ ათევს, ოფერო თამარისათვის...

დაჭმერის ამნონი და გონის გერ მოსულა, თუ ის თამარი, ორმეტიც მის სათეუჯერებელ ასებად გარდაქმნილიყო, გვერდით როგორ უწეს უკვედ უბრალო მომავადავით... ან ის თამარი კი არის?!.—უერთივ დატებითსა თავის თავს და უფრო ჩეუინებით დაუწეო მზერა მიიძინებულ თამარს...

თამარი ამ დროს ოდნავ შეინძრა, გულზე დასკენებული ხელი ასწია, და მოწევტით გიერდზე ამნონის ხელს დაეცა... თამარის სელის მოხვედრაზე ელვასავით ურუქტელმა დაურბინა, ტახი შეუთოთოლდა და თვალის ბაიები დაუგანირდნენ...

უერთივ თამარს მაგრად წააღლო ხელი მკლაბში და, თითქას უნდოდა თავისი ტვინის ტეივილი ამით გაექარწედებინა, რამდენ-ჯერმე შეარყა.

— რაა, რაა?!.—სიმწევით წამოაკვნესა, ძიღში თამარმა:

— კაა... ჭაჭაჭა!..— მოუდენდა ამნონის ძარღვებია, და ჭკითინი აუკარდა.

ამნონი ჭკითინებდა, ჭკითინებდა და თან თავის უნებურად თა-მარის გერდში თვალების ჭმალავდა... ჭკითინებდა ამნონი, რომ ასე-თი მოუდოლნელი შედეგი მოჰქენა მის საქციოებს. თამარის სამედი-მოდ შეერთება უნდოდა და ამის მაგივრად კი, სამედამოდ დაჭკარ-გა... გულიდანაც კი ამოეგლიფა მისი სატად ჩახატელი სასე და სადღაც, ჭარში გაიძნა... ჭკითინებს, რომ ის სატაც კედარ უზოკ-ნია, თორემ თითონ დედანი ხომ...

— ეს, ეს!..—გაიძახას ამნონი უნუკშიდ: — ეს თამარი... არა, არა!.. ეს მჩვარია, მჩვარი, ორმეტსაც გსრესავ, გთედავ!... ის

თამარი მშენიერება იუო, უმანგობა, მას თაუკანს ჭრიდა, მას წინ მუხლს გიღრებდა და...

— ახ!... ჟავა!... — გიდევ უფრო მწარედ მორთო ქვითინი და თავი მაგრად დააჭირა თამარის მეტდა...

— ამნონ, ამნონ! — დაივეოიანებული თამარი შეეკითხა ამნონს.

თამარის სმა ისარივათ მოქსვდა ამნონს. მან შეცრივ შესუევიტა ქვითინი და უცნაურად დაუწეო მზერა თამარს...

თამარი შეგრთა, შეეშინდა მასი თვალებისა და დაბნევით დაკითხა:

— ამნონ, რა მოგიყიდა?!

— შენ აქ რას აკეთებ, ან კინა ხარ?..

— ამნონ, გონის მოდი!...

— გეკითხები: კინა ხარ?..

— ღმერთო ჩემო, კედარა მცნობ, ამნონ, მე თამარი კარ!...

— თამარია!.. — დაღრევით წამოიძახა და თავი გაარხდა.

— ამნონ?...

— გაჩუმდი!.. შენ მჩეარი ხარ, რომლის დაივლეთა, დაჭვცმაცება შემიძლიან!.. — დაიღრიალა ამნონმა და თბაში სედი წაგლო...

— ამნონ, რას კშერება?! — უცრივ მუხლზე წამოჩოქიდა შეეგდრა თამარი...

— დაიგარგე, დაიგარგე აქედან!.. — უუგირა ამნონმა და ზიზ-დით სედი კერა... — მმუხლსარ, მმუხლსარ!.. გიღაც მჩეარი დაჭვდებულსარ აქ!...

— ნუ, ამნონ, რამე თუ სიბოროტე უფროს უკანასკნელი უფროს პირებისა, რომელი ჰქმენ ჩემთანა, რომელ განმიტოვებ მე... ცრემლით შეეგდრა თამარი, მაგრამ ამნონი ისე აღიგსო სიმულგალითა, რომ მისმა ცრემლებმა უფრო გააბრაზეს.

„უცნაურია, უცნაური!..“

570
სიმაგრეები

«....სიმშენიერე უმანკოებასთან შეერთებული ცრემლს არ და-
ჭრის... მას უნდა ეგედრებოდნენ და მუხლს უდრევდნენ და არა
იგი სხვას... ეს»....

— დაიგრძე!..

— ამნონ!..

— ერმანო, «განაძე აწ ესე ჩემგან გარე და დახშ კარი უგანა
მისსაა.—მაუწოდა ურმათა და უბრძანა ამნონმა.

ურმათ სწრაფად შეასრულეს სეფის-წელის ბრძანება და თან
უსიმტევოდ გაგვირკებით გაიძახოდნენ: «უცნაურია, უცნაური!»-ო...

შ. გრაგგისპარელი

— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი

— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი

— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი
— მარტინი მიუღია მარტინი მარტინი

ესამდე

თუნდა დამადგან ეკლის გვირგვინი,
ამგიდონ ზურგზე ჭვარი წამების,
მტანჭონ, მაწვალონ შეუბრალებლად,
გამსადონ მსხვერპლი შერის და მტრობის,—

არ ვუდალატებ მა ინც სიმართლეს—
იმ ერთად-ერთსა ჩემსა სიმძიდრეს!
და არ ვაკისრებ ფარისეველბას—
იმ სისაძლეს, იმ სიღუწეირეს!

რაც სათქმელი მაქუს, პირდაპირ ვიტევი,
დაუფარავად, მოურიდებლად;
უსმიართდობას შევებრძოლები...
თავსა შევაგლავ დაუნაწებლად.

Յ Կ Ե Ց Ե Ե Ե

6170/० ८६६१८

五*)

და მომ ეს მიზანი თუნდა არა ას გელვანიზითი მიზანი არა
დანარჩენი ხუთი კვირა გემმამ და კრაზანამ შფოთსა და
საქმეებში გაატარეს, რის გამოც ცოტა დრო-ლა რჩებოდათ
თავიანთ კერძო საქმეებზე ეფიქრათ. იარაღი მშვიდობიანად
იქმნა მიტანილი პაპის ტერრიტორიაში, მაგრამ კიდევ რჩებო-
დად უფრო საძნელო საქმე. უნდა შეუმჩნევლად გადევატანათ
იარაღი საიდუმლო საწყობებიდან მთებსა და ხეობებში, უნდა
გაენაწილებიათ სხვა-და-სხვა ადგილობრივ ცენტრებისათვის და
იქიდან დაერჩივებიათ სოფლებში. მთელი უბნი სავსე იყო ჯა-
შუშებით და დომინიკელმა, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა
ამშენიცის გადატანა, გაგზავნა ფლორენციაში კაცი, რომლის
პირითაც ითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ მიშველებოდნენ ან და
სხვა დროს სოების გადედოთ საქმე. კრაზანა იმ აზრისა იყო, რომ
ყოველივე უნდა გათავებულიყო შეს ივნისამდე. დომინიკელი კი
სასოჭარკვეთილებაში იყო გზების უვარვისობით და სხვა უარესი
ხელის შემსლელი გარემოებებით. „სცილლასა და ხარიბდას
შეს ვიმყოფები—იწერებოდა ის—არ შემიძლიან ავჩერდე ში-

შის გამო, რომ ყველაფერი არ გამოაშვარავდეს; და დაგვიანებაც არ შეიძლება, რადგან დანიშნულ დროს უნდა მოუხსწროთ. ან დამეტარეთ, ანდა გადაეცით ვენეციელებს, რომ ვერ ვიქმნებით მზად ივლისის პირველ კვირამდის.

კრაზანამ მიუტანა წერილი გემმას და მანამ ის კითხულობდა, კრაზანა იჯდა წარბ-შექმუხვნილი და ხელს უსვამდა კატას.

— ეს სამწუხაროა, — სოქვა გემმამ, — ძნელად თუ შეიძლება ვენეციელების შეჩერება ორის კვირით.

— დიალაც არა, ეს სრული სისულელეა. დომინიკელს უნდა ესმოდეს ეს. ჩვენ უნდა ვეზორჩილებოდეთ ვენეციელებს და არა ისინი ჩვენ.

— გამტყუნებაც არ შეიძლება დომინიკელისა, იმან შეასრულა ის, რაც შეეძლო და ვერ შეასრულებს იმას, რაც არ შეუძლიან.

— საქმე დომინიკელზე არ არის, არამედ იმაზე, რომ ის მარტოა და მეორე არავინა ჰყავს თან. აუცილებლად უნდა ჰყავდეს საიმედო კაცი, რომ საწყობ აღვილებს უდარაჯებდეს, და მეორეც, გადატანას თვალს აღვევნებდეს. უნდა გავუგზავნოთ სანდო კაცი მოსახმარებლად.

— ვის გავგზავნით, რომ აქ, ფლორენციაში არავინა გვყავს?

— მაშ, მე წავალ თითონ.

გემმამ გადიწია სავარქელში და შეხედა კრაზანას.

— არა, ეს შეუძლებელია. მეტის-მეტი თავის გამომეტებაა.

— და მაინც კი მე მომიხდება წასელა, თუ სხვა რამ საშუალება არ მოვიგონეთ.

— მოიგონეთ სხვა საშუალება და ის იქმნება.

თქვენ წასვლაზე ახლა ხმის ამოლებაც არ შეიძლება.

— არ მესმის, თუ რატომ არ შეიძლება.

— მიხვდებით თვითონვე, თუ მცირე ხანს დაფიქრდებით. მხოლოდ ხუთი კვირა გაეიდა მას აქეთ, რაც მე იქიდან

დაგბრუნდი და მთელი პოლიცია ფეხზე დგას იმ ამბის გამოისობით, რაც პალომნიკის შესახებ შეგნიშნეს. სჩერეკენ გარშემო ყოველ ადგილებს, რომ გამოიკვლიონ, რაში მდგომარეობს საქმე. ვიცი, როგორ საოცრად იცით შეცვლა თქვენის გარეგნობისა, მაგრამ გაიხსენეთ, რამდენმა აუარებელმა ხალხმა გნახა თქვენ დიეგოს სახით და გლეხეაცის ტანისამოსით. ამასთანავე არ შეგიძლიანთ დამალოთ სიკულე და არც ჭრილობა თქვენს სახეზე.

— ბევრნი არიან კოკლნი ქვეყანაზე.

— დიალ, მაგრამ ბევრნი არ არიან რუმინიაში კოკლნი, რომლებსაც ამასთანავე ჭრილობაც ჰქონდეთ სახეზე, დამახინჯებული ხელიც და შავგვერემანი სახე ლურჯის თვალებით.

— თვალების ფერის შეცვლა შეიძლება ბელადონის შემწეობით.

— მაგრამ დანარჩენი ნიშნების შეცვლა ძნელია. არა, ეს შეუძლებელია. მაგდენი განსაკუთრებითი ნიშნებით თქვენი წასვლა, ეხლა პირდაპირ მახეში გაბმა იქმნებოდა, უეპველად შეგიპყრობდნენ.

— ხომ საჭიროა, რომ უნდა ვინმე მიეშეელოს დომინიკელს.

— რა შველა იქმნება იმისთვის, რომ თქვენ შეგიპყრონ ამ კრიტიკულ წუთებში? თქვენი შეპყრობა მთელს საქმეს დალუპავდა.—ასე ეუბნებოდა გემმა, მაგრამ კრაზანას გარდაწყვეტილების შერყევა ადვილი არ იყო. დავა იმით გათავდა, რომ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მიეიღნენ. გემმა მიხვდა, თუ რამდენად ჯიუტი ხასიათის იყო კრაზანა და რომ იგი ბეჯითად დარწმუნებული არ ყოფილიყო თავის აზრის სიმართლეში, უეპველად დაუთმობდა კრაზანას იმისთვის მხოლოდ, რომ დავას რითიმე ბოლო მოპლებოდა. პრაქტიკული სარგებლობა განზრახულის მგზავრობისა არ ეჩვენებოდა გემმას იმდენად თვალსაჩინო, რომ იმისთვის კრაზანას თავისი თავი განსაცდელში ჩაეგდო. გარდა ამისა, ის ეჭვში იყო, რომ კრაზანას გარდაწყვეტილება იმით იმდენად არ იყო გამოწვეული, რომ პოლი-

ტიკური აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა, რამდენიმდე იმით, რომ სწყუროდა რაიმე საშიშროებასა და შფოთს გადა-ჰკიდებოდა. ჩვეულებად გარდაექცა წყურფილი ხიფათში გაბ-მისა. გემთა დარწმუნდა, რომ ყოველივე ცდა ამათ იყო და იხმარა უკანასკნელი საშუალება.

— ფილაპარაკოთ გულ-ახდით, — უთხრა იმან, — სრულე-ბითაც დომინიკელის გულისივის არ მიღიხარ ეხლა; თქვენ აქ გამოქმედებთ სურვილი.

— ეგ არ არის მართალი, — გააწყვეტინა სიტყვა კრაზა-ნამ, — მე იმაზე აღარა ვფიქრობ, აღარ მინდა იმისი ნახეა. — ის გაჩუმდა და დაინახა გემმას სახეზე, რომ გასცა თავისი-თავი. იმათი თვალები შეხედნენ ერთმანეთს, უეცრივ ორივემ ისევ დაბლა დაუშვეს და არც ერთმა არ წარმოსთქვეს სახელი, ვის-ზედაც ჭიდები გადასახდენ.

— საქმე დომინიკელზე არ არის, — გაიღაპარა კრაზა-ნამ ბოლოს. — მე ვვრძნობ, რომ საქმე დიდ საფრთხეში იქმნება, თუ არ გავუგზავნით ვისმე მისაშველებლად.

გემმამ, თითქო ვერ გაიგონაო, ჩატარა ეს სიტყვები უპა-სუხოდ და განაგრძო:

— თქვენ იქ მიჰყევხართ ჩვეულებრივს წადილს საშიშ-როებასთან შებმისას. როცა თქვენ გულს აწუხებს რაიმე, გწყურისთ და მიისწრაფით საშიშროებისაკენ, როგორც ოპი-უმისაკენ, იმ დროს, როცა ივად იყავთ.

— ოპიუმს მე კი არ ვითხოვდი, — სთქვა კრაზანამ, — მთხოვ-დნენ, რომ მიშელო.

— რასაკვირველია, თქვენ ამაყობთ თქვენის ხასიათის სიმ-ტკიცით და თხოვნა ფიზიკურ ტკიცილებისაგან განთავისუფ-ლებისა შეურაცხყოფდა თქვენს სიამაყეს. მაგრამ ვიცი, რომ გესიამოვნებათ სიცოცხლის განსაკლელში მოქცევა, რომ დაი-მშვიდოთ ამით ნერვები...

კრაზანამ გადუწია კატას თაერ და დახედა იმის ნაცრის-ფერ თვალებს.

— მართალია ეს, პაშტ? — დაუწყო ლაპარაკი კატას, — მოე-
ლი ეს ბრალდება შენი ქალბატონისა სამართლიანია? მიბრძა-
ნებ, შევინანო ჩემი შეცოდება? შენ ხომ ბრძენი ცხოველი ხარ
და არც არაოდეს ოპიუმს ითხოვ, განა? შენი წინაპარნი ღქერ-
თები იყვნენ ევეიპტეში და არც არაენ ფეხს აღდამდა იმათ
კუდზე. მაგრამ არ ვიცი კი, რა მოუვიდოდა შენს მეტადურ
მშვიდობიანობას, თუ რომ ამეღო შენი თათი და დამეჭირა ან-
თებულ სანთელზე. მოითხოვდი მაშინ ოპიუმს, არა? ან იქნე-
ბა სიკვდილსაც ინდომებდი? არა, კატუნიავ, ჩვენ არა გვაჭის
უფლება ჩვენვე მოვისპოთ სიცოცხლე. შეიძლება, რომ ვილანძ-
ლებოდეთ ხანდახან, მაგრამ თათის უკან დაწევა კი არ შეიძ-
ლება.

გემმამ აიყვანა კატა კრაზანას კალთიდან, და სავარძელზე
გადასვა.

— კიდევ გვექმნება დრო ამაზე მუსაიფისთვის, ეხლა
იმაზე ვიფქროთ, თუ დომინიკელს როგორ გამოვიყვანთ გაჭი-
რებულ მდგომარეობიდან.

— რა გინდა, კეტტ, მოყიდა ვინმე? უთხარ, რომ არა მცა-
ლიან.

— ბარათი არის მისს რაიტიდან, ქალბატონო. გულმოდ-
გინედ დაბეჭდილ კონვერტში იდო წერილი მისს რაიტის სა-
ხელზე, მაგრამ გახსნილი კი არ იყო. მარკა პაპის სამფლობე-
ლოსი ეკრა. რამოდენიმე ამხანაგი გემმასი სცხოვრობდნენ
ფლორენციაში და ბევრჯერ კონსპირატორული წერილები მო-
დიოდნენ გემმასთან, რაიტების სახელზე, უშიშრობის გამო.

— ეს წერილი მიკელლესაგან არის, — სთქვა გემმამ და
საჩქაროდ გადიკითხა წერილი, რომელშიაც იყო საუბარი სა-
ზაფხულო პანსიონზე აპენინის მთებში. წერილის ბოლოში ემჩ-
ნია ორი ლაქა.

— ეს ქიმიური მელანია. ამოილეთ მაგიდის უჯრიდან მე-
სამე შუშა, იმაში არის სითხე, რომელიც აღმოაჩენს მანდ რა-
ცა სწერია. დიალ, ეგ შუშა.

კრაზანამ გაშალა წერილი და სითხე ბეჭვის კალმით წა-
უსე-წამოუსვა სტრიქონებს. როცა ნამდვილი შინაარსი გამოჩნ-
და ქალალდზე, მზბინავ ლურჯ ასოებით, ის გადაწვა საფარძელ-
ში ხარხარით.

— რა მოგივიღათ? — ჰყითხა გემმამ სიჩქარით.

კრაზანამ გადასცა ქალალდი, რომელშიაც ეწერა: „დომი-
ნიკელი შეპყრობილია. მოდით ამ საათშივე“.

გემმა იჯდა წერილით ხელში და უცქეროდა უიმედო სა-
ხის გამომეტყველებით კრაზანას.

— აბა, — დაეკითხა კრაზანა ჩვეულებრივის დამცინავის კი-
ლოთი, — თანახმა ხართ ეხლა ჩემს წასკლაზე?

— დიალ. უნდა წახვიდეთ, მაგრამ მარტო თქვენ კი არა,
მეც.

კრაზანამ შეხედა ცოტა გაოცებით.

— თქვენც მაგრამ.....

— დიალ, სასიამოვნო არ არის, რომ არავის არ ვტოვებთ
ფლორენციაში, მაგრამ ეხლა ფიქრი იმაზეა საჭირო, რომ მო-
ვიპოვოთ ორი მეტი ხელი.

— იქ მრავალია ხალხი.

— მაგრამ მინდობა მათი ადვილი არ არის. თქვენ თვი-
თონეე ამბობდით ეხლა, რომ საჭიროა ორი სანდო, პასუხის
გამცემ ადამიანის ყოლაო, და თუ არ შეიძლებოდა, რომ დო-
მინიკინოს მარტო ემოქმედნა, მაშ, ცხადია, არც თქვენ შეგვ-
ძლებათ. იმ კაცისთვის მაინც, რომელიც მავნე პირად არის
ყველასგან ცნობილი, როგორც თქვენ, უფრო ძნელია მოქ-
მედება და უმეტესად საჭიროებს დახმარებას. თქვენ და დომი-
ნიკელის მაგიერ საჭიროა, რომ ვიყვნეთ თქვენ დ მე.

— დიალ, თქვენ მართალი ხართ, — უთხრა კრაზანამ, — და
რაც მალე წავალთ, ის აჯობებს.

მაგრამ ერთად წასკლა ჩვენი კი არ ივარგებს. თუ მე დღეს
საღამოს წავალ, თქვენ შეგვეძლებათ წასკლა ხვალ.

— სად?

— ეს ჯერ უნდა მოვისაზროთ ეფიქტობ, ყველას ის ემ-ჯობენება, რომ პირდაპირ ფავნცაში წახვიდოდეთ. მე წავალ დღეს ბორგო სან-ლორენცოში, იქ ვიშვენი რაიმე ტანსაც-მელს და გავემგზავრები კიდევ იქით.

— მართლაც-და, სხვა გვარად არ მოხერხდება,— თქვა ქალმა და ხმაზე შეწუხება დაეტყო, — მაგრამ ძალიან გაბედუ-ლობა კი არის, რომ ასე საჩქაროდ მიედივართ და კონტრაბან-დისტებს ვანდობთ ტანისმოსის შოვნის. თქვენ უნდა სამი დღე მაინც გქონოდათ თავისუფალი, მანამ მესამე საზღვარს გას-ცილდებოდით.

— ნუ სწუხართ, — უპასუხა კრაზანამ ლიმილით, — შემდეგში შეუძლიანთ დამიკირონ, მაგრამ საზღვარზე კი არა. მთებში ასევე უშიშრად ვიქმნები, როგორც აქ. არც ერთი კონტრა-ბანდისტი აპენინის მთებისა არ გამცემს მე. მაგრამ თქვენ რომ უნდა გაიაროთ საზღვარი, აი, ამის შესახებ კი ვერა ვარ მოს-ვენებით.

— ეს არათქერია. შოწმობას ლუიზა რაიტს გამოვართმევ და წავალ ვითომც მთებში დასასვენებლად. რომანიაში მე არა-ვინ მიცნობს და თქვენ კი თვითეული ჯაშუში გიცნობთ.

— საბედნიეროდ თვითეული კონტრაბანდისტიც, — დაუ-მარა კრაზანამ.

გემმამ საათს დახედა: — ეხლა ნახევარია სამისა.

— მაშ მე წავალ ეხლა სახლში და ყველაფერს მოვაგვა-რებ. ერთ კარგ ცხენსაც ვიშვენი, და წავალ სან-ლორენცო-ში. ცხენით წასელა უფრო არ არის საშიში.

— მაგრამ არც ცხენის ქირაობა არის ადვილი, შესაძ-ლოა იმისი პატრონი...

— მე არც ვიქირავებ. ვიცნობ ერთ კაცს, რომელიც მათ-ხოვებს ცხენს. მინდობა მასზე შეიძლება, ბევრჯელ დამხმარე-ბია წინადაც. ვინმე მეცხვარეთაგანი დააბრუნებს ცხენს ორი კვირის შემდეგ. მაშ, ასე, დაებრუნდები აქ ხუთს საათზე ან ექვსის ნახევარზე. და მანამ მოვიდოდე, ვისურვებდი, რომ თქვენ მარტინთან წასულიყავით და აგეხსნათ, საქმე როგორც არის.

— მარტინი? — ქალმა გაოცებით შეხედა.

— დიალ, უნდა გავუშედავნოთ იმას ჩვენი განზრახვა, თუ სხვა არაერთ გეგულებათ.

— საესებით არ მესმის, თუ რისი თქმა სურთ.

— ჩვენთვის საჭიროა გვყვანდეს ეინშე სანდო კაცი ყოველ შემთხვევისათვის. აქაურ სახოგადოებაში ყველაზე უფრო მარტინს ვენდობი. რიკარდო რასაც კი შეიძლება, ყველაფერს შეასრულებდა ჩვენთვის, მაგრამ მგონი რომ მარტინი უფრო სანდო კაცია. თუმცა თქვენ უკედ იცნობთ იმას, სჯობს როგორც თქვენ გერჩიოთ, ისე მოიქცეთ.

— ეჭვი არ არის, რომ მარტინი საიმედო კაცია, დარწმუნებულიც ვარ, რომ ყოველთვის დათანხმდება რითიმე დაგვეხმაროს, მაგრამ... — კრაზანა უეცრავ მიუხვდა, რასაც ამბობდა, და უპასუხა:

— გემმა, რას იფიქრებდით, რომ ახლო ამხანაგს არ მოემართნა თქვენთვის ოხოენით, იმის მორიდებით, რომ არ შეეწყობით, როდესაც თქვენ შეგძლოთ მისთვის დახმარება აღმოგებინათ. განა ეს დამტკიცება იქმნებოდა გულ-წრფელ მეგობრობისა.

— კარგი, — უთხრა გემმამ მცირე სიჩუმის შემდეგ. — ეხლავ გავგზავნი იმასთან კეტტის და ვთხოვ მინახულოს. მანამ მოვიდოდეს კი, მე ლუიზასთან წავალ მოწმობისათვის; შემპირდა — მათხოვოს, თუ საჭიროება მოითხოვს. და ფულის შესახებ რას იტყვით, გამოვიტანო ბან კიდან?

— არა, არა ლირს. ჯერ-ჯერობით მე მაქვს ორივესათვის. როცა მე გამომელევა, თქვენი ფული მაშინ გამოგვადება. მაშასე, ექვსის ნახევარ საათზე აქ ვიქმნები. დამხვდებით სახლში?

— რასაკეირველია, უფრო ადრეც დავბრუნდები.

კრაზანა დანიშნულ დროზე უფრო გვიან დაბრუნდა, გემმა და მარტინი აივანზე დახვდნენ. კრაზანამ მაშინვე შეატყო, რომ იმათ სამძიმო ლაპარაკი ჰქონდათ. ორივეს აღშფოთება



ეტყობოდათ სახეზე და მარტინი ჩვეულებრივზე უფრო მოღუ-

შული და გაჩუმებული იყო.

— ყველაფრის გაკეთება მოასწარით? — ჰქითხა გემმამ კრა-

ზანას.

— დიალ და ფულიც მოგიტანეთ გზისათვის. ცხენი მზად

იქმნება პირველ საათისთვის.

— ძალიან გვიან არ არის? მანამ ხალხი ადგებოდეს, თქვენ

მისულიც უნდა იყვეთ სან-ლორენცოში.

— აგრეც იქმნება, ძალიან ჩქარი მოსიარულე ცხენი მყავს. მინდა ისე წავიდე, რომ აქ შიშვი არ ვიყო. სახლში იღარ

დავბრუნდები. კარებთან ჯაშუში მიღარაჯებს და ჰგონია, რომ

შინა ვარ.

— როგორ წამოხვედით სახლიდან ისე, რომ ვერ შეგ-

ნიშნეს?

— სამზარეულოს სარკმლიდან ბაღში გადავხტო და გად-
მოეჭყე მეზობლის ბოსტნის კედელს, ამიტომაც დავიგვიანე
მოსვლა. უნდა როგორმე ჯაშუში მომეტულებია, დავსტოვე
ჩემს ოთახში ცხენის პატრონი მთელის ღამით; ლამპარიც გა-
თენებამდის ენთება. ჯაშუში რომ ოთახში სინათლეს დაინა-
ხავს და ფარდებზე ჩრდილს, დარწმუნებული იქმნება, რომ ში-
ნა ვარ.

— ასე რომ წასკლამდის აქ დარჩებით?

— დიალ, არ მინდა ამაღიმ ქუჩაში დამინახოს ეინშემ. მარ-
ტინ, გაქვთ სიგარა? ვიცი სინიორა ბოლოთ ნებას გვაძლევს
სიგარის მოწევისას.

— სულ ერთია, მე ოთახში არც ვიქმნები, უნდა წავიდე,
კეტტს საფილის პომზადებაში მოვებმარო.

როცა გემმა გავიდა ოთახიდან, მარტინი წამოდგა სავარ-
ქელიდან და დაიწყო ოთახში სიარული ხელებუკან შემოწყო-
ბილი. კრაზანა სარკმლიდან შარას გასცემოდა და უუფუნა
წვიმის თვალს ადევნებდა.

— რიგარესს, — მისმართა კრაზანას მარტინმა და გაჩერდა
იმის წინ, თვალები კი დაბლა ჰქონდა დახრილი,

— რა საქმეში ახვევთ თქვენ იმას?

კრაზანამ გამოილო სიგარა პირიდან და ბოლი გამოუშვა—

— ის მოქმედობს თავის საკუთარის სურვილით, მე სრულიადაც არ ვცდილობ, ჩემსკენ მოვიმხრო.

— დიალ, დიალ, ვიცი. მაგრამ მითხარით....— მარტინი შექრდა.

— ყველაფერს გეტუვით, რის თქმაც შემიძლიან.

— ვისურვებდი გამეგო დაწვრილებით თქვენი განზრახვანი მთებში წასვლისა. მოელის იმას საშიშროება?

— გინდათ მართალი იცოდეთ?

— დიალ.

— მაშ, ჰო, არის საშიშროება.

მარტინი მიბრუნდა, დაიწყო ისევ სიარული და მერე შექრდა.

— საჭიროდ მიმაჩნია გკითხოთ კიდევ ერთი რამ და, რა-საკვირველია, თუ არა გსურთ, შეგიძლიანთ არც მიპასუხოთ. მაგრამ თუ მიპასუხებთ, სრული მართალი მითხარით: თქვენ გი-კვართ ჭის?

კრაზანამ ფრთხილად მოაცილა ფერფლი სიგარას და ხმა-ამოულებლივ განაგრძო იმისი წევა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ არა გსურთ მიპასუხოთ ამ კი-თხვაზე.

— არა, მე მხოლოდ ეფიქრობ, რომ მაქვს ნება ვიცოდე, თუ რისათვის მკითხავთ მაგას.

— რისთვის? ღმერთო დიდებულო! განა თქვენ თვითონ ვერ ხედავთ?

— ა!— კრაზანამ სიგარა გვერდზე გადასდო და პირდაპირ შეხედა მარტინს.— დიალ,— უთხრა იმან ბოლოს ნელა და ჩუ-მად,— მე ის მიყვარს. მაგრამ არ ითვიქროთ, რომ სიყვარულზე დავუწყებ ლაპარაკს, ან და შევაწუხებ ჩემი ცნობების გამომე-ლავნებით, მე მხოლოდ მსურს....

ხმა მისი დადუნდა, თანდათან მისუსტდა და გასაოცარ ჩურჩულად გარდაიქმნა.

მარტინი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა და ჰკითხა: — მხოლოდ გსურთ რა?

— სიკედილი.

კრიზანა პირდაპირ თავის წინ იცქირებოდა გაციებულ-გაშემცირებულის სახით, თითქო. უკვე მომკვდარიყვეს. როცა ისევ დაილაპარაკა, ხმა მისი შეიქმნა წყნარი და უსიცოცხლო.

— ის წინადვე არ უნდა შევაშინოთ ამით, მაგრამ ბეჯითად დარწმუნებული კი ვირ, რომ ეხლა აღარ გადავრჩები. საშიშროება, რასაკეირველია არის ყველასთვის. იმანაც იცის ეს აგრეთვე, როგორც მე, მავრამ კონტრაბანდისტები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ გემმა გადაარჩინონ. ისინი ცოტა მოუხეშავები არიან, მაგრამ ამასთანავე მამაცნიც. რაიცა შემეტება მე, თოკი უკვე მობმული მაქვს კისგრზე და როცა გავცილდები საზღვარს იქით, მხოლოდ მაშინ მოვსწევ ნახკვეს.

— რივარესს, რას ლაპარაკობთ? დიალაც არის საშიშროება და უმეტესად თქვენთვის, მაგრამ თქვენ ხშირად გადაგვლიათ საზღვარი და ყოველთვის მშვიდობიანად.

— დიალ, და ეხლა კი ველარ. უეჭველად დავიღუპები.

— რადა? საიდან იცით თქვენ ეგ?

კრიზანამ ჩაიცინა.

— გახსოვს გერმანული ლეგენდა იმ კაცზე, რომელიც მოკვდა, როცა თავის აჩრდილს შეხვდა. ის მოველინა ლამე, უდაბნო ადგილას, აღშფოთებულის ხელების მტვრევით. მეც შევხდი ჩემს აჩრდილს ამ ბოლო ხანში, როცა მთებში ვიყავი და ვიცი აღარ დაებრუნდები. — მარტინი მიუახლოვდა და დაეყრდო ხელით სახარძელს.

— გამიგონეთ, რივარესს, მე არ მესმის ყველა ეს შეტაფიზიკური ბოდეა მაგრამ ვიცი ერთი რამ; თუ მაგვარი წინადგრძნობა გაქვსთ, არ უნდა წახვიდეთ. ნამდვილი საშუალება ზიფათში გაბმისა ის არის, როდესაც წინადვე დარწმუნებულია კაცი, რომ დამარცხდება. თქვენ უეჭველად ავი და ან რითომე შეშფოთებულე ხართ, რომ მაგვარ რამებს ფიქრობთ. ან და რატომ მე არ უნდა წავიდე თქვენს მაგივრად? მე შემძლიან

შეგისრულო ყოველივე, რაც კი საჭიროა. თქვენ შეგიძლიათ გაუგზავნოთ წერილი თქვენ ხალხს და აუხსნათ...

— იმისთვის, რომ თქვენ მოგქლან ჩემს მაგივრად? როგორი მახვილ გონიერება იქმნებოდა.

— ოჲ, მე კი ვერ მომკლავენ, მე ეგრე არ იცნობენ, როგორც თქვენ. და ამას გარდა, თუნდაც რომ... — ის შეჩერდა, კრაზანამ წყნარად და გამომცდელის თვალით შეხედა. მარტინის ხელი დაბლა დამტვა.

— გემმასათვის ჩემი დაკარგვა უთუოდ ისე ძნელი არ იქმნებოდა, როგორც თქვენი, და ამასთანავე, რივარესს, ეს საქმე საზოგადოა და საზოგადოების ინტერესების მიხედვით მოვიქცეთ, თქვენი „საბაზრო ფასი“, მგონია ასე ეძახიან ამას ეკონომისტები — მაღლა სდგას ჩემსაზე, ეს ცხადად მესმის, თუმცა განსაკუთრებითი მიზეზები არა მაქვს, რომ მიყვარდეთ თქვენ. თქვენ უფრო თვალსაჩინო კაცი ხართ; ეს არ ვიცი, უკეთესი ხართ თუ არა ჩემზე. მაგრამ თქვენ უფრო დიდი ჭმიშვილობა გაქვსთ და თქვენი სიკვდილი ბევრად უფრო დანაკლისი იქმნება ჩემსაზე.

მარტინის ხმის კილო ისეთი შეიქმნა, რომ გეგონებოდათ ბირების ფასებზე მსჯელობსო. კრაზანამ შეხედა მთელის სხეულით აკანკალებულმა.

— მაშინ ისა გსურთ, ვიცადო, ვიდრე საფლავი თავისით გაითხრება, რომ შთანმთქას? მე შევეგებები სიკვდილს, როგორც სახლოს, თუ რომ უნდა მოვკედე. გამიგონეთ, მარტინ, ჩვენ აქ სისულელეს ვლაპარაკობთ.

— თქვენ მაინც, დიალ, — უთხრა მარტინმა პირქუშად.

— დიალ, მაგრამ თქვენც აგრეთვე ღვთის გულისათვის თავი დაანებეთ რომანტიულ თავის გაწირვას, დონკარლოსებისა და მარკიზ პიზების მიბაძვას. ჩეენა ვცხოვრობთ მეცხრამეტე საუკუნეში და თუ რომ მომელის სიკვდილი, უნდა ეს შესრულდეს.

— და მე თუ ცოცხლად დარჩენა მომელის, მაშ ცხადია, უნდა ამას დავემორჩილო, არა? თქვენ ბედნიერი ხართ, რიგა-რეს?

— დიალ,—დაეთანხმა კრაზანა,—მე ბედნიერ ვარსკვლავ-ზე ვარ დაბადებული.

რამოდენიმე ხანს ისინი გაჩუმებულნი სიგარს ეწეოდნენ. შემდეგ დაიწყეს თვითეულად გარჩევა საქმეებისა. როცა გემმა მოვიდა, რომ ისინი საღილზე მიეწვია, არც ერთ იმათგანს სახეზე არ ემჩნეოდა, რომ მუსაიფის საგანი მათი ჩვეულებრივი არ იყო. საღილის შემდეგ დაიწყეს ხელ-ახლავ სხვა-და სხვა გაემტის გარჩევა და ახდენდენ საჭირო განკარგულებებს. თერ-თმეტ საათზე მარტინი წამოდგა და აიღო ქული.

— წაეალ სახლში და მოვიტან ჩემ მოსახურავს თქვენ-თვის, რიგარესს, მგონი იმაში უფრო ძნელი საცნობი იქმნებით, ვიდრე თქვენს ლია ფერ ტანისამოსში. და სწორე ამბავ-საც მოვიტან, აქ ახლო-მახლო ჯაშუშნი ხომ არ იმყოფებიან.

— განა თქვენ წამოხვალთ ჩემთან ერთად ქალაქის ჭის-კრამდე?

— დიალ, ოთხი თვალი უმჯობესია ორზე, იმ შემთხვევაში, თუ დაგვედევნენ. დავბრუნდები შუალამისას. თუ შეიძლებოდეს, ჩემს მოსვლამდის ნუ წახვალთ. მომეცით გასაღები, გემმა, რომ ზარის დაწყარუნება არ იყოს საჭირო, როცა დავ-ბრუნდები.

გემმამ შეხედა პირდაპირ, როცა მარტინმა გასაღები გამო-ართეა, მიხვდა, რომ ეს მიზეზი იყო გემმას და კრაზანას მარ-ტო დატოვებისა.

— ჩვენ ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ,—უთხრა გემმამ.— დილით გვექმნება დრო, როცა ბარების ჩალაგებას მოვრჩებით.

— რასაკვირველია, დრო საქმაო გვაქვს. რიგარესს, კიდევ მინდოდა რამე მეკითხნა თქვენთვის, მაგრამ მაზე შეიძლება გზაში ვილაპარაკოთ. თქვენ, გემმავ, სჯობს კეტტი დასაძინებ-ლად გაგზავნოთ და ილაპარაკეთ ორნივემ ჩუმად. მშვიდობით თორმეტი საათის ნახევრამდე.

ოდნავ დაუკრა თავი ღიმილით, გაეიდა ოთახიდან, გაიხურა კარი და ხმაურობით გაიარა, რომ მეზობლებს გაეგონათ და ეფიქტია, რომ ს—რა ბოლლას სტუმრები წავიდნენ. გემშა წავიდა სამხარეულოში, უთხრა კეტტს ძილი ნებისა და დაბრუნდა თავის ოთახში, თანაც ჭიქით ყავა წამოილო.

— არ გინდათ ცოტა ხანს დაიძინოთ? — უთხრა გემშა კრაზანას. — ხომ მთელი ღამის უძილობა მოგელით.

— ოხ, არა, სენ-ლორენციუში გამოვიძინებ, მანამ ტანსაცმელს მომიმზადებენ.

— მაშ ყავა დალიეთ. მოითმინეთ, შაქრის პურს მოგცემთ.

როცა გემშა დაიხარა და გამოსწია განჯინის ქვეითა უჯრა, რომ შაქრის პურები ამოელო, კრაზანა უეცრად დიხარა იმის მხარისაკენ.

— რა გაქვთ მანდ ჰენახული? შოკოლადი და კარამელის კამფეტები? აჲა, ეგ ხომ ხელმწიფის საჭმელია.

გემშამ შეხედა და ოდნავ გაეღიმა იმის აღტაცებაზე.

— გიყვარო კამფეტები? მე ამათ ყოველთვის ვუნახავ ჩეზარეს, იმას ბავშვივით უყავარს ტკბილეულობა.

— მართლაა? მაშ სხვა კამფეტები უშოვნეთ იმას და ესენი კი, მე მ... მეცით. ეს მე დამაჯილდოვებს, იმის მაგიერს გადამიხდის, რაც ცხოვრებაში სიხარული დამიკარგავს. იმედი მაქვს, რომ ნებას მომცემენ კამფეტები ვკვნიტო, როცა საწამებლად წამიყენენ.

— მოითმინეთ, კოლოფს გიშოვნით მაგისთვის, შოკოლადიც ჩავაწყო?

— არა, მხოლოდ კარამელი, შოკოლადი ეხლა მინდა თქვენთან ერთად ვსჭამო.

— მე არ მიყვარს შოკოლადი, მაგრამ მანდა კი, რომ თქვენა სჭამოთ და ამასთანავე ვილაპარაკოთ ერთად სერიოზულად, — უთხრა გემშამ, — საეჭია, რომ კიდევ შეგვხედეს ერთმანეთთან ლაპარაკი, ვიდრე ერთ-ერთი ჩვენგანი მოკვდებოდეს და...

— ამას არ უყვარს შოკოლადი!.. — ჩურჩულებდა კრაზანა. — შაშ ჭარტო მე შევექცევი. ეს ხომ გამოსათხოვარ გახშამს მი-ედრება წამების წინა დღით. გემმა, თქვენ უნდა შეისრულოთ ყოველი ჩემი უინი. პირველად ისა მსურს, რომ თქვენ დაბრძანდეთ აი ამ სავარძელში და რადგანაც მირჩევდით, რომ წა-მოწოლილიყავ და დამებინა, მე აქ სრულიად თავისუფლად წიმოვწვები. ის დაეშვა ხალიჩაზე გემმას ფეხთით, მკლავით სა-ვარძელს დაეყრდო და დააცქერდა გემმას სახეს.

— როგორი ფერმკრთალი ხართ, გემმა! ეს იმიტომ, რომ ეგრე დალერემით უცქერით ცხოვრებას და არ გიყვართ შო-კოლადი.

— ხუთ წუთს მაინც დაანებეთ თავი ბავშვობას; რაც უნ-და იყოს, ხომ სიკვდილსა და სიცოცხლეზეა აქ საქმე.

— ორ წუთსაც არა, ძვირფასო! ამად არ ღირან არც სიკვდილი და არც სიცოცხლე. — იმან გამოართვა გემმას ორივ ხელები და ნელა ზედ თითებს ათამაშებდა. — ახ, ნუ ხართ დინჯი, როგორც მინევრა! თორემ ერთ წუთს შემდეგ ავ-ტირდები და თქვენვე შეგეცოდებით. მე ვისურევდი, რომ გა-გელიმათ, თქვენ ისეთი მოულოდნელი ლიმილი გაქვთ. გთხოვ, ნუ მიჯავრდებით, ძვირფასო, მოდით, ვეამოთ ერთად ჩვენი შაქრის პურები და, როგორც გაწერანილი ბავშვები, ნუ წაე-ჩიუბებით ამაზე; ხვალ ხომ სიკვდილი მოვცელის.

კრაზანამ აიღო შაქრის პური, ფრთხილად გადასტეხა შუა-ზე და კიდევ მოაყარა ზედ შაქარი.

— დაე ეს იყოს. ზიარება ჩვენი, როგორც ეკლესიაში. მი-იღეთ და სჭამეთ — ესე არს ხორცი ჩემი. შემდეგ ჩვენ და — დავლიოთ ლვინო ერთის ჭიქიდან. ახეა წესი. შეისრულეთ ეს ხსოვნისთვის...

გემმამ დასდგა ჭიქა მავიდაზე.

— გაანებეთ თავი, — უთხრა იმან თითქმის ტირილით. კრა-ზანამ შეხედა პირდაპირ, ისევ გამოართვა ორივ ხელები და გა-ნაგრძო: — დავივიწყოთ ეხლა ყოველი საზრუნავი დროებით.



როცა ერთ-ერთი ჩვენგანი მოკვდება, მეორე გაიხსენებს ამ საათს... დავივიწყოთ ეს შფოთიერი, მოუსვენარი ლალი ქვეყნიერება, რომელიც ღრიალებს გაშემაგებით ჩვენს გარშემო, წავიდეთ ერთად, ხელი-ხელ, სიკვდილის იღუმალ ჯურლმულში და განვისევნოთ იქ წითელ ყაყაჩოებს შორის. ჩუ! გავყუჩდეთ ცოტა ხანს.

იმან დასდოთ თავი გემმის კალთაზე და დაიფარა ხელი თვალებზე. გემმა წყნარად დაიხარა მისკენ და ხელი დაადო თავზე. ასე გადიოდა დრო და ორც ერთი მათგანი არ იძროდა, ხმას არ იღებდა.

— ძეირფასო, ეხლა კიდევაც სრულდება თორმეტის ნახევარი.—უთხრა ბოლოს გემმამ. კრაზანამ აიხედა. გემმამ განაკრძო.

— ჩვენ დაგვრჩა კიდევ მხოლოდ რამდენიმე წუთი, მარტინი დაბრუნდება საცაა და იქმნება ჩვენ ერთმანეთს მეტად ველარც ვნახავთ. არაფერი გაქვსთ ჩემთან სათქმელი?

კრაზანა წყნარად წამოდგა, გაიარა და გაჩერდა სარკმელთან. ჩამოვარდა ერთ წუთს სიჩუმე.

— მე უნდა გითხრათ თქვენ ერთი რამ,—უთხრა კრაზანამ ძლივს გასაგონის ხმით,—ერთი რამ უნდა გითხრათ თქვენ..... ის გაჩუმდა და ორივ ხელები თვალებზე დაიფარა.

— რა დიდხანს აგეიანებდით და ორ გინდოდათ შეგბრალებოდით,—მიუგო ჩუმის ხმით გემმამ.

— არ მინახაეს შებრალება ჩემდამი მთელს ჩემ სიცოცხლეში და ვფიქრობდი—წინად—რომ თქვენთვისაც სულ ერთი იყო.....

— ეხლა ამას აღარ ფიქრობთ? ერთ წუთს გაჩუმებული იდგა გემმა და პასუხს ელოდა, შემდეგ გაიარა, მიუახლოვდა და გაჩერდა კრაზანას გვერდით.

— მითხარით სრული სიმართლე, —წასჩურჩულა იმან,—დაფიქრდით, თქვენ რომ მოგელან და მე არა, ხომ უნდა მთელი ჩემი სიცოცხლე ისე გავატარო, რომ არ ვიცოდე ამაოდეს

მართალი.... კრაზანამ იმის ხელები მძლავრად ჩიბლუჯა თავისაში.

— თუ მე მომჟღეს.... იცით რა, როდესაც მე გავემზ. ზაგრე სამხრეთ ამერიკაში.... ა... მარტინი!... — ის შექერდა და მთვლის სხეულით გააერეოლა. მარტინმა განიერად გააღო შემოსავალი კარები და ჩემის ძირებს ისუფთავებდა.

— ერთი წამიც არ გადაგიცილებით, როგორც ყოველთვის. თქვენ ნამდვილი ხრონომეტრი ხართ, — უთხრა კრაზანამ, — ეს არის თქვენი საგზაო წამოსასხამი?

— დიალ, სხვა რამ ნიეთებიც წამოვიდე და ვცდილობდი გზაში არ დასველებულიყვნენ, მაგრამ წვიმა კოკის პირულად მოდის. ვერაფერი სასიამოენო მგზაერობა მოველით.

— ეს სულ ერთია. გზებზე მშეიღობიანობა არის?

— ყველა ჯაშუშნი წასულან დასაძინებლად. ასეც უნდა მომხდარიყო ამნაირ აედრიან საღამოს. გემმა, ეს ყავაა? უნდა რაიმე თბილი სასმელი დავალევინოთ, მანამ ამ ციცა და ნოტიო ტაროსში გაეისტუმრებდეთ, თორემ გაცეცება.

— შვი ყავაა და ძალიან მაგარიც. რძესაც ახლავ ავადულებ.

გემმა წაეიდა სამზარეულოში მაგრად მოკუმულ ტუჩებით და ცდილობდა მღელვარება დაეძლია. რთუა დაბრუნდა რძით ხელში, კრაზანამ მოისხა მარტინის მოტანილი მოსახურიავი. დალია ყავა ზეზე მდგომმა და აიღო ფართო საგზაო მრგვალი ქუდი.

— მგონია დროა წასვლისა. მარტინ, საჭიროა კიდევ გარ შემოვლა და დათვალიერება, ვიდრე ქალაქ გარედ გავიდოდეთ. მშეიღობით სინიორავ, მე გნახავთ თქვენ ფლორაში პარასკევს, თუ რაიმე შესანიშნავი არა შემემთხვა-რა. მომითმინეთ ცოტა, აი ადრესი.

ამოხია ფურცელი თავის საწერად სახმარ პატარა წიგნა-კებიდან და დასწერა რამდენიმე სიტყვა ყარანდაშით.

— მაქვს კიდევაც თქვენი ადრესი, — უთხრა გემმამ დაბალის ხმით და მშეიღობიანად.

— გააქვთ? მაინც დაესწერე ყოველ შემთხვევისათვის. წა-
ვიდეთ, მარტინ, ჩუმად, ნუ აჭრაჭუნებო კარებს. ის სიფრთხი-
ლით დაეშვა კიბეზე. როცა ჭიშკარი მიიხურა, გემმა შებრუნ-
და ოთახში და გაშალა ქალალდი, რომელიც კრაზანამ გადას-
ცა. ადრესის ქვემოდ ეწერა:

„მე თქვენ ყველაფერს გეტყვით, როცა გნახავთ“.

II

ბრიზგელაში ბაზრობა იყო. გარეშე სოფლის მცხოვრებ-
ლებს იქ მოეყარათ თავი. მოეტანათ თან რძე, კვერცხი, ცხვა-
რი, გოჭი, შინაური ფრინველები, მთის ცხოველები და სხვა.

საბაზრო მოედანი გაჭედილი იყო მყიდველთა და გამყი-
დევლთაგან, რომლებიც იკინოდნენ და ოხურჯობდნენ. შიშ-
ველა ბიჭ-ბუჭები მზისაგან დაცხუნებულნი თავდალუნული მი-
მორბოდნენ და მიმათი დედები კა ჩამსხდარიყვნენ ხის ძირებ-
ში კვერცხებითა და ერბოებით სავსე კალათებით. მონსინიორ
მონტანნელლიც გამობრძანდა ხალხთა ყრილობაში, ყმაწვი-
ლების გროვა გარს შემოეხვია და სთავაზობდნენ წიეთელ ყა-
ყაჩიოებს, ნაზ თეთრ ნარცისებს და სხვა-და-სხვა გვარ მცენა-
რებს, რომლებიც ქედებზე დაეკრიფათ. მონტანელლის სიყვა-
რული ტყის ყვავილებისა ყველამ იცოდა, მონტანელის მაგი-
ერ რომ სხვას ვისმე აევსო სახლი მცენარეებით, უკეცველად
დასკინებდნენ, მაგრამ „წმინდა კარდინალს“ მიეტყვებოდა რა-
მოდენიმე უმანკუ ახირებულებანი.

— ა, მარო,—უთხრა მონტანელიმ ერთ პატარა ქალს და
თავზე ხელი გადუსვა,—როგორ გაზრდილხარ მას აქეთ, რაც
უკანასკნელად გნახე. ქარები ისევ აქვს შენ დიდებას?

— ეხლა უკეთ არის, მაგრამ დედა არის ცუდად.

— ძალიან საწყენია, უთხარ დედას, როგორმე აქ მოვი-
დეს, იქნება ექიმმა ჯიორდანომ მოარჩინოს. სადმე აქ უშოვ-
ნი ბინას, ეგება ადგილის გამოცვლამ არგოს კიდეც. შე-

ნა, ლუიძი,— მიუბრუნდა მეორე ბავშვს,— როგორ გაქვს თვალები?

მონტანელლიმ განაგრძო გზა და თანაც ხალხს ელაპარაკებოდა. იმას ყოველთვის ახსოვდა სახელები და წლოვანება ბავშვებისა, მათი მშობლების ჯაფა და ზრუნვა. ეკითხებოდა ყველას, მოურჩათ თუ არა ძროხა, რომელიც საშობაოდ ავიდ გაუხდათ და ან რა მოუვიდა ტიკინას, რომელიც ბავშვს წარსულ ბაზრობის დროს ურმის თვალში ჩაუვარდა.

როცა ის დაბრუნდა სასახლეში, დაიწყეს ვაჭრობა. კოჭლი კაცი ლურჯის ხალათით, სახეზე ქრილობით და შავი თმით, რომელიც თვალებზე ჩამოფხატოდა, ზარმაცად მიუახლოვდა წამოფარებულ ფიცრულს და დამტვრეულ იტალიანურს ენაზე ლიმონადი მოითხოვა.

— თქვენ აქაური არა ხართ? — ჰკითხა ქალმა და მიაწოდა ლიმონადი.

— არა, კორსიკიდნ ვარ.

— სამუშაოს ეძებთ?

— დიალ, მალე მკა დაიწყება, ერთი კაცი, რომელსაც ფერმა რავენნის სიახლოვეს აქვს, ეხლა ხანს იყო ბასტიაში და მითხრა, რომ აქ ბევრი რამ სამუშაო მოიძებნებაო.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მაგრამ აქ ცუდი დროებაა.

— კორსიკაში უარესიც არის, დედი; სწორედ არ ვიცი, რა ეშველება ჩვენისთანა საწყლებს.

— მარტო როგორ მოხვედით აქ.

— ამხანაგიც არის ჩემთან. აი, ის, წითელი ხალათი რომ აცვია. ეი, პალმ!

მიკელლე ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი ზარმაცად წამოვიდა ამ დაძახებაზე. ის კარგად მიემგვანებოდა კორსიკელს, მიუხედავად, წითურ პარიკისა, რომელიც იმიტომ ჩამოეცეა თავზე, რომ არ ეცნოთ. რაც შეეხება კრაზანას, ის საუცხოვოდ მიაგავდა იმას, ვის როლსაც ასრულებდ. დაიწყეს ორივემ ხე-

ტიალი მოედანზე, მიკელლე სტევნით მიღიოდა და კრაზანა უკან მისდევდა მხარეზე ბოხჩა მოკიდებული, თანაც ფეხებს მიახოხებდა მიწაზე, რომ ცოტად მაინც დაეფარა სიკოჭლე. ისინი ელოულნენ ერთ კაცს, რომელსაც უნდა შესანიშნავი რამ ამბები მოეტანა.

— ია, ეგერ მოსახვევთან მოდის მარჯონე ცხენით,—წახჩურჩულა მიკელლემ. კრაზანა გაემართა ისევ ისე ნელ-ნელა ჩოჩიალით იმ მხედრისაკენ.

— ბატონო, მუშა ხომ არ გენებებათ მკისათვის? — ჰკითხა კრაზანამ და ხელი დახეულ ჭუდზე მოივლო, მერე ცხენს აღვარზე მოჰკიდა. ეს იყო აღთქმული ნიშანი და მხედარი, რომელიც შეხედულობით სოფლის გამგეს მიაგავდა, ჩამოხდა ცხენიდან და აღვირი ცხენს კისერზე მიაგდო.

— რისი გაკეთება შეგიძლიან?

კრაზანა განაგრძნობდა ჭუდის ჭუჭკვნას.

— შემიძლიან პურის მკა, ბატონო, შესრების გაკეთება, — ერთნაირის ხმით განაგრძობდა; — შუა ლამის პირველ საათზე სარდაფის შესავალთან გელოდებით, წამოიყვანეთ თან ორი კარგი ცხენი და ურემი. ამას გარდა შემიძლიან მიწის ხენაც, ბატონო, და...

— კარგი, მე მხოლოდ პურის მოსამკელად მინდოდა მუშა. ამ ადგილებში ვიმუშავნია ჯერ?

— ერთხელ მხოლოდ, ბატონო. გახსოვდეთ, რომ უნდა კარგად შეიარაღებული მოხვიდეთ. მთის ბილიკებით ნუ წამოხვალთ, თორემ შესაძლოა პოლიციელებს შეხვდეთ. მეორე მხარე უფრო უშიშარია. თუ შეგხვდეთ ჯაშუში, არ გამოელა-ზარაკოთ, მაშინვე თოტი იხმარეთ. დიდად მოხარული ვიქმნები, რომ თქვენთვის ვიმუშაო, ბატონო.

— ვა, მაგრამ მე კარგ დახელოვნებულ მუშას დაევეძებ, წვრილმანი საქმე არა მაქვს-რა.

ამ ლაპარაკის დროს იმათ მიუახლოვდათ მთხოვარია დაფლე-თილის ტანისამოსით და დაიწყო შესაბრალისი ხმით ლაპარა-

კი:—განიკითხეთ საწყალი ბრძა ღვთის მშობლის სახელით... ჩქარა წადით. აქეთ ახლოვდებიან ამხელებული პოლიციელი, აგრძელ შეგეწევათ დელფილი ზეცის, ქალწული მარიამი. თქვენ დაგეძებენ, რივარესს, ორი წუთის განმავლობაში აქ გაჩნდებიან... გვარეიდეთ თქვენ ყველა წმინდანნი... აბა, ებლავ გაეშურენით. ყოველ კუთხეში ჯაშუშნი იმყოფებიან, შეუმნევლად გაპარვა შეუძლებელია.—მარკონემ გადასცა აღვირი კრაზანას.

— არა, არ მინდა, რომ თქვენ აქ შეგიძყჩან. ჩამწკრივ-დით ჩემს გვერდით ყველა და ჩემს შემდეგ რიგზე დაცალეთ დამბახები. ეხლა ცხენებს მივუახლოვდეთ, რომლებიც სასახლის კიბესთან არიან მიბმულნი. მოიმარჯვეთ დანები, ჩვენ უნდა მათ შეეცავოთ. და როცა მე ქუდი ძირს დავაგდებ, მოხსენით ცხენები და შეჯექით სწრაფად. ამგვარად ჩვენ ტყესთან მივასწრობთ.

ყველა ამაებს ისინი ისე მშვიდად და დაწყნარებულად ლაპარაკობდნენ, რომ იქვე ახლოს მდგომი ხალხი ვერ წარმოიდგენდა, თუ იმათი ლაპარაკი მკის გარდა, რაიმე სხვა საქმეს შეეხებოდა. მარკონემ წავლო ხელი ცხენს აღვირში და წავიდა დაბმულ ცხენებისაკენ. კრაზანა მისდევდა კოჭლობით, მოხოვარაც იმათ უკან მიჰყვებოდა, ხელი გაეწვდინა და თანაც საცოდავის ხმით ფულის თხოვნას განაგრძობდა. მიკელლე მიუახლოვდა სტვენით. მათხოვარმა წინაღვე გააგებინა საქმის მიმართულება, როცა გვერდით მიჰყვებოდა; ისიც საჩქაროდ წავიდა და გადასცა ეს ცნობა სამ ამხანავს, რომლებიც ხის ძირში მსხდომნი ახალ ხახვს შეექცეოდნენ. ისინი იმ წამსვე ადგნენ და გამოჰყენენ ამას. და მანამ ვინშე ყურადღებას მიაქცევდა, ყველა ეს შვიდნი კაცნი უკვე მოგროვდნენ სასახლის კიბესთან, სადაც ცხენები იდგნენ. თვითეულ მათგანს დამალული დამბახები ჰქონდათ.

— არ შეანიშნინოთ თავი: მანამ მე ადგილიდან არ დავიძრი, — ამბობდა კრაზანა მშვიდად.—იქნება იმათ ვერც გვიცნონ. როცა დამბახას დავკლი, თქვენც მომყევით, მაგრამ ხალხს

ნუ კი ესვრით, მხოლოდ ცხენები დაუჭერით, რომ ვეღარ დაგვედევნონ. სამმა დამბაჩები ცალეთ და სამმაც ხელისხლავ ამზადეთ; თუ ვინმე გაჩნდა ჩვენსა და ჩვენ ცხენებ შორის, მოჰკალით. ასე, როცა ქუდს ძირს დაუშვებ, ყველამ თავს უშველეთ.

— აი, ისინიც! — სთქვა მიკელელემ.

კრაზანამ მიიხედა ვულუბრუვილო და სულელური გაოცებით თხუთმეტი ცხენოსანი დაიარალებული ჯარის-კაცნი უახლოვდებოდნენ ნელა-ნელა ბაზრის მოედანს. ძლიეს იკვლევდნენ გზას ხალხთა ყრილობაში და თუ ჯაშუშნი არ ყოფილი ყვნენ, ამ შვიდსავე ამხანაგს აღვილად შეეძლოთ დამალვა, მანმ ხალხს ჯარის-კაცებისაკენ ჰქონდათ ყურადღება მიქცეული.

მიკელელე მიუახლოვდა კრაზანას.

— არ გავიქცეო?

— არა, ჩვენს გარშემო ჯაშუშნი იმყოფებიან და ერთმა იმათგანმა მიუნო მე. ეს არის ეხლა გაგზავნა კაცი კაპიტან-თან, რომ შეატყობინოს ვინცა ვარ. ერთად-ერთი ჩვენი საშველი ის არის, რომ უნდა ცხენები დაუჭერათ.

— რომელია მათში ჯაშუში?

— ვისაც პირველად დავსცემ დამბაჩას. მზად ხართ ყველა? დახეთ, გზა დაგვიცალეს, ეხლა გვიპირებენ პირდაპირ თავს დასხმას.

— გაგვეცალენით გზიდან, მათი უსამლვდელოესობის სახელით! — შესძახა კაპიტანმა.

შეშინებულმა და გაოცებულმა ხალხმა გზა მისცა მათ, და ჯარის-კაცნი სიჩქარით გაემართნენ სასახლესთან მდგომ პატარა კრებისაკენ.

კრაზანამ სწრაფად გამოილო ხალათის უბიდან დამბაჩა და დასცა მოახლოვებულ ჯარის-კაცს კი არა, ჯაშუშს, რომელიც ცხენებისაკენ მიიპარებოდა და რომელიც ეხლა თავ-გატეხილი მიწაზე ფართხალებდა. მეორედ კიდევ დასცალა კრაზანამ დამბაჩა და მიჰყვნენ დანარჩენი ექვსნიც. ასტყდა საშინელი ხმა დამბაჩებისა. შეთქმულებმა საჩქაროდ მიირბინეს დაბმულ ცხენებთან. ერთი კავალერიის ჯარის კაცის ცხენი დაეცა მიწაზე

დაჭრილი და იმას მიჰყვა მეორეც შემზარავის კიხვინით. შემ-
დევ მოისმა შეშინებული ხალხის ყვირილი და ამ ხმაურობა-
ში, მაღალი და მტკიცე ხმა უფროსი ჯარის კაცისა, მათი წი-
ნამძღოლისა, რომელიც თითის წვერებზე იდგა უზანგებზე და
ამოღებული ხმალი მაღლა ეჭირა.

— მომყევით! — დასჭიველა ამან თავის ჯარს და ამ სიტყ-
ვებთან ერთად შეტორტმანდა უნაგირზე და წელში გადიზნი-
ქა. კრაზანამ მოაწვედრა ტყვია იმ მიზნით, რომ უნდა იმავ
ადგილზე მოეკლა. სისხლი წურწურით სდიოდა ტანისამოსზე,
უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რომ თავი შეემაგრებინა, წავ-
ლო ხელი ცხენს ფაფარში და დაიყვირა:

— მოჰყალით ეგ კოჭლი ეშმაყი, თუ ცოცხლად წაყვანა
არა ხერხდება. არ გაუშვათ ცოცხალი, ეგ რიგარესსია!

— ჩქარა, ერთი ტყვია კიდევ მომაშველე, — დასძახა ამხა-
ნაგებს კრაზანამ, — და გაუდექით თქვენ გზას. იმან დააგდო ძირს
ქუდი.

ხმლებმა, გააფირებულ ჯარის-კაცებისამ იქვე მათ ახლოს
იელვეს.

— იარაღს ხელი უშვით! — კარდინალი მონტანელლი უე-
უეცრივ გაჩნდა მოჩხუბართა შორის და ერთმა ჯარის-კაცმა
შეშინებულის ხმით დაუყვირა:

— თქვენო უსამღვდელოესობაც, მოგკლიერენ!

მონტანელლამ გადასდგა ნაბიჯი და წარსდგა კრაზანას
დამბაჩის პირდაპირ.

ხუთი მეამბოხენი ცხენებს მოაქროლებდნენ ბორცვები-
ან ქედებზე. მარკონემ, როდესაც დაპირა გაქცევა, კრაზანას
მოხედა და დაინახა, რომ იმას ცხენი ხელთა ჰყენებდა და შე-
ეძლო გადარჩენა, მაგრამ როგორც კი წარსდგა ფიგურა იასა-
მანის ფერ ანაფორით, კრაზანა დატორტმანდა და ხელი, რო-
მლითაც დამბაჩა ეჭირა, ძირს დაეშვა. ამ დროს განძვინებული
ხალხი მისცევიდნენ მას და წააქციეს. იარაღი ხელში დაუმტვ-
რია ჯარის-კაცმა ხმლის დაკვრით. მარკონემ დაჭკრა თავისს
ცხენს მათრახი. იმას ესმოდა მდევართა ცხენის ფეხის ხმა და



რადგან ხედავდა, რომ რიგარესს ველარას უშველიდა, სიჩქარით ცხენს მიაჭენებდა. როდესაც უკანასკნელად მოიხედა, რომ ერთ-ერთ მდევართაგანისთვის დამბაჩა დაეცა, დაინახა, რომ კრაზანა სულ-ერთიან სისხლში მოსვრილი ეგდო ცხენების ფე-ხებ ქვეშ, ჯარის კაცთა და ჯაშუშებს შორის.

იმან გაიგონა გაშმაგებული ლანძღვა და თანაც სიხარუ-ლის ქრიმული გამარჯვებულებისა. მონტანელლიმ ვერ შენი-შნა, რა მოხდა, ის მოსცილდა სასახლის კიბეს და ოლელვებულ ხალხს აშვიდებდა. როცა დაიხარა დაჭრილ ჯაშუშისაკენ, ხა-ლხის ყვირილზე ისევ აიხედა. ჯარის-კაცნი მიღიოდნენ. მოე-დანზე და მიათრევდნენ თავიანთ ტყვეს თოვით, რომლისთვი-საც ხელები შეებოჭათ. კრაზანას სახე თითქმის უსიცოცხლო იყო, დატანჯულობისა და დაქანცულობის გამო ძლივს ახერ-ხებდა სულის ამოთქმას, მაგრამ კარლინალს კი შეხედა გაყი-ნულ-გაფიორებულს ტუჩებზე ოდნავის ღიმილით და წაიჩურ-ჩულა:

— მო...მი...ლოცავს, თქვენო უ...სამღვდელოესობავ!

ხუთი დღის შემდეგ მარტინი მივიდა ფორელში და მიიღო გემმასაგან დაბეჭდილი ცირკულიარები ფოსტით. ეს იყო ნი-შანი, თუ ვინიცობაა, რაიმე გასაჭირი მოხდებოდა. მარტინმა გაიხსენა აივანზე ნალაპარაკევი და მიხდა მაშინვე, რაც მოხ-დებოდა. გზაში ცდილობდა დაერწმუნებია თაეისი თაეი, რომ არავითარი ცუდი არ შეიძლებოდა კრაზანას შეხვედროდა. სი-სულელეაო,—ფიქრობდა ის,—რომ მნიშვნელობას ვაძლევდეთ ნერვებ-აშლილ კრაზანას ბავშვურ ცრუ-მორწმუნოებასათ. მაგ-რამ რამდენიც ებრძოდა ამ ფიქრს, იმდენად უფრო ვერ დარ-წმუნებულიყო.

— მივხვდი, რაში მდგომარეობს საქმე. რიგარესი შეპყ-რობილია.—სთქეა იმან როცა შევიდა გემმის თახში.

— შეიპყრეს წარსულ ხუთშაბათს ბრიზიგელაში. გაშმაგე-ბით იბრძოდა და დასჭრა კაპიტანი და ჯაშუში.

— იარაღით წინააღმდეგობის გაწევა ცუდია.

— ეს სულ ერთია. ის იმდენად შენიშნულია, რომ დამ-
ბაჩის ერთ გასროლას არ შეუძლია შეცვლა იმის მდგომარეო-
ბისა.

— რას უზამენ, თქვენის ფიქრით?

გემმა უფრო გაფირდა.

— ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა ვუცადოთ იმათ გარდა-
შევეტილებას.

— თქვენის ფიქრით, შევიძლიან მოვახდოთ, რომ გავა-
ვაროთ საპყრობილიდან იგი?

— მოვალენი გართ.

მარტინი მიბრუნდა ხელებ უკან შემოწყობილი და დაი-
წყო სტვენა. გემმა არ უშლიდა ფიქრს, ის დაუნძრეულია იჯდა
სავარდელში, თავი უკან გადეხარა და ტრაგიკულის გამომეტ-
ყველებით თვალები გაეტერებინა. როცა გემმას სახე ამ გვარ
გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე, ის მიემგვანებოდა დიურე-
რის „მელანქოლიას!“

— ნახეთ თქვენ ის? — ჰერთა მარტინმა.

— არა, მეორე დილით უნდა აქ შევხედროდით.

— დიალ, მახსოვეს. სად არის ეხლა?

— ციხეში. გარს ბცველები იხვევია და ამბობენ ჯაჭვებით
არის შებოჭილიო! — მარტინმა ხელი ჩაიქნია.

— ეს სულ ერთია, კარგი ხერხი ყოველ ნაირ ჯაჭვს გა-
ხერხავს. მხოლოდ დაჭრალი თუ არ არის.

— მეონი ძალიან არ დაშავებულია შეპყრობის დროს. მა-
გრამ დაწვრილებით კი არა ვიცი-რა. სჯობს მიკელლეს გა-
მოვეკითხოთ, იმ დროს ის იქ იყო.

— როგორ მოხდა, რომ ისიც არ შეიძყრეს? ნუ თუ გა-
იქცა და რივარეესი საშიშ მდგომარეობაში დასტოვა?

— ეს იმისი ბრალი არ არის. სხვებთან ერთად ისიც იბრ-
ძოდა და ყველანიც ისე მოცეულან, როგორც პირობა ჰქო-
ნიათ. მხოლოდ ერთმა დაივიწყა და შეშალა პირობა უკანასკ-
ნელ წუთს. ეს იყო თვით რივარეესი, აქ ჩალაც გაუგებრობაა.
მოითმინეთ, მიკელლეს დაეუძახებ.

გემბა გავიდა ოთახიდან და მალე ისევ დაბრუნდა მიკელ-ლესთან ერთად. განიერ ბეჭებიანი მთიულიც თან შემოჰყვათ.

— ეს მარკოა, — უთხრა გემბამ მარტინს, — გავიგონიათ რაიმე ამ კაცზე? ერთი კონტრაბანდისტთაგანია, ეხლა მოვიდა და ეგება რაიმე ახალი შეგვატყობინოს. მიკელე, — მიმართა გემბამ, — აი, ეს არის მარტინი, რომელზედაც ვლაპარაკობდით. უამბეთ, რაც მოჰქმდა თქვენ თვალ-წინ.

— ვერ გამიგია, რა მოხდა, — სთქვა იმან, — არც ერთი ჩენებ-განი არ დაესტოვებდით იმას, თუ გვცოლნოდა, რამ შეიძყ-რობდნენ. მაგრამ ბრძანება მისი კი წმინდად შეეასრულეთ. არც ერთს არ გვიფიქრია, რომ, როცა იმან ქული ძირს დაგდო, რომელიმე ჯარის-კაცს თავისთან ახლოს მიუშვებდა. იქავ ახლოს იდგა ცხენთან, ვხედავდი როგორ მოხსნა აღვირი-ბოძდან; გატენილი დამბაჩაც ხელში მივეცი, მანამ მე ცხენზე შევჯდებოდი. ესლა დამტჩენია ვიფიქრო, რომ სიკოჭლემ და-უშალა და სწრაფად ვერ შეჯდა ცხენზე. მაგრამ მაინც ხომ შეეძლო დამბაჩა ეხმარა.

— არა, საქმე მაგაში არ მდგომარეობს, — სთქვა მარკო-ნემ, — ის არ შემჯდარა ცხენზე. თქვენ შემდეგ უკანასენელი მე ავმხედრდი, რადგან დამბაჩის ხმისა ეშინიან ჩემ ცხენს და მოვხედე რიგარესს, რომ დავწმუნებულიყავ, უშველა თუ არა თავს. იმას ადვილად შეეძლო გადარჩენა თუ არ კარდინალი.

— ახ, — შეპყირა გემბამ და მარტინმაც იმასთან ერთად გაიმეორა გაოცებით. — კარდინალი?

— დიალ, ის წარსდგა კრაზანას დამბაჩის პირდაპირ, რომ ის.... მე მეონია, რიგარესსი შეკრთა; იმან დაბლა დაუშვა ხე-ლი, რომლითაც დამბაჩა ეჭირა და მეორე ხელი თვალებზე მიითვარა, აი ასე... რასაკვირველია, ამ დროს მისცემდნენ ყვე-ლანი და წააქციეს.

— ვერა გამიგია-რა, — სთქვა მიკელლემ, გასაოცარია, რომ რიგარესსი დაბნეულიყვეს კრიტიკულს წუთებში.

— ალბად იმიტომ დაუშვა დამბაჩა, რომ არ მოეკლა უი-არალო კაცი.

მიკელოლემ მხრები ასწია. სადაც ომია, არაფერი საჭიროა. შეთში უიარალოდ ჩარევა. თუ რიგარესს დამბაზა ესროლნა იმის უსამღვდელოესობისათვის, იმის მაგიერ, რომ თავის თავი კურდელივით წააქცევინა იმ ხალხს, ამ ქვეყანაზე ერთი პატიოსანი კაცით მეტი იქმნებოდა და ერთი მღვდლით ნაკლები.

ის მიბრუნდა გვერდზე, გააფორმებული ტუჩებს იკანეტდა და თვალები ცრემლებით ექსებოდა.

— როგორც უნდა ყოფილიყოს და ასე კი მომხდარა, —
სთქვა მარტინმა, — ეხლა არაფერი საჭიროა დროს დაკარგვა წარ-
სულზე მსჯელობისათვის. კითხვა იმაშია, როგორ მოვახდე-
ბოთ, რომ ის გავაპაროთ. მცონი თქვენ ყველანი თანახმა ხართ,
ეს სცადოთ.

მიკელოლებმ არც კი უპასუხა ამ სრულიდად უსაფუძლო
კითხვაზე და მხოლოდ კონტრაბანდისტმა შეჩიშნა დაცინვით.

— საკუთარს ძმას დავხვრეტდი, რომ ამაზე აჩ დათანხმე-
ბულიყო.

— ძალიან კარგი. მაშ... გაქვთ გეგმა ციხისა?

გემმამ გამოალო უჯრა და ძმოილო რამოდენიმე ქაღალდის ფურცელი.

— შევისწავლე ყველა გეგმები. აი, ქვემო სართული ცი-
ხისა, აი ზეპი და ქვემო სართული კაშკებისა. აი, სიმაგრის
გეგმაც, გზებიც ღელეებთან მისაყვანი; შემდეგ, სიღდუმლო ად-
გილები და მოების ბილიკები, აგრეთვე მიწის ქვეშ სასიარუ-
ლონი.

— იცით, რომელ ციხეშია დაპატიმრებული?

— დასავლეთისაკენ რომ ციხეა, რკინებიან სარკმელით.

— საიდან შეიტყოთ ეს?

— ერთი კაცისაგან, რომელსაც ჭრიჭრას ეძახიან. ჯარის-კაცია, საპატიმროში ყოფილა მოსამსახურედ. ნათესავია ერთი ჩვენი მეგობართაგანის — ჯიონისა.

— როგორ მალე შეგიტყვეიათ ყოველივე.

— დროს დაკარგვა არა ლირს. ჯინო მაშინვე წავიდა ბრიზიგელაში და რამოდენიმე გეგმა კიდევაცა გვქონდა. ისაი დუმლო თავ შესაცარნი თვით რივარესსისაგან არის აწერილი, ხელზე კეტყობის.

— როგორი ხალხი არიან ციხის მცველები?

— ეს ჯერ არ ვიცით. ჭრიკინა ეხლახანს შესულა ხამსახურში და კარგად ვერ იცნობს თავის ამხანავებს.

— უნდა შევიტყოთ ჯიონისაგან, თუ ვინ არის თვით ის ჭრიკინა. არის რაიმე ცნობები, თუ მთავრობა რას აპირობს? ბრიზიგელაში გასამართლებენ კრაზანას, თუ რავენნაში გაღაიყვანენ?

— არ ვიცით. რავენნა, რასაკვირველია, თავი და თავი ქალაქია პაპის სამფლობელოში და კანონის ძალით, ხერიონული ხაქმენი უნდა გაირჩეს მხოლოდ იქ, პირეელ-ხარისხოვან უფლების სამსჯავროში. მაგრამ კანონებს მაინცა და მაინც არ მისდევენ. ყოველივე დამოკიდებულია იმ პირთა ხეირებულობაზე, ანუ სურვილზე, ეინც შემთხვევეით, უფლებით სარგებლობს.

— რავენნაში იმას არ გადაიყვანენ, — სთქვა მიკელლემ.

— რად ჰეთიქრობთ ეგრე?

— დარწმუნებული ვარ ამაში, პოლკოვნიკი ფერრარი სამხედრო გუბერნატორია ბრიზიგელაში და ბიძად ეკუთვნის იმ ჯარის უფროსს, რომელიც რივარესსმა დასჭრა. ის ძალიან შურის მაძიებელია და არ გაუშებს შემთხვევას, რომ მტერს სამაკიერო არ გადაუხადოს და ამით დასტკბდეს.

— თქვენის ფიქრით გუბერნატორი ეცდება, რომ რივარესსი აქ დასტკოვოს?

— მე მგონია, ის ეცდება რივარესსი ჩამოახრინობით.

მარტინმა საჩქოროდ გემმას გადახედა. გამმა გადაფითრებული, ქანდაკებას მიაგავდა, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებზე

მისი სახე არ შეცვლილა, ცხადია, ეს აზრი ახალი არ იყო იმ-ისთვის.

— ამას ვერ მოახერხებს, — სოქვა ქალმა მშეიღად, — მაგრამ შეუძლიან მიიყვანოს საქმე სამხედრო სასამართლომდის და იმართლებს თავს იმით, რომ ამას ქალაქის მშვიდობიანობა თხოულობს.

— და კარდინალი? ის დათანხმდება ამაზე?

— იმას არა აქვს უფლება სამხედრო სამსახურის საქმეებზე.

— მაგრამ გავლენა მისი ძლიერია. გუბერნატორი სომის დაუთანხმებლად ვერ გადასწყვეტს ასეთი ნაბიჯის გადადგმას.

— ის არასოდეს არ დათანხმდება. — ჩერია ლაპარაკში მარკონე. — მონტანელლი ყოველთვის წინააღმდეგი იყო სამხედრო სამართალისა. მანამ რივარესსი ბრიზიგელაში იქმნება, არაფერი შესანიშნავი არა მოხდება-რა; კარდინალი ყოველთვის შეპყრობილის მხარეზე იქმნება. მხოლოდ ვშიშობ, რომ რავენ-ნაში არ გადაიყვანონ. იქ ის დაიღუპება.

— ჩვენ შეგვიძლიან ამას ივაცდინოთ, — სოქვა მიკელ-ლემ, — უნდა როგორმე ისე მოვახერხოთ, რომ გავაქციოთ. იგი, როდესაც რავენნის გზას გაუყენებენ. მაგრამ, მანამ ციხეში იმყოფება ძნელიდ თუ რაიმეს მოვახერხებთ.

— მეონი უსარგებლოა ცდა, თუ როდეს გაამგზავრებენ რავენნაში, — სოქვა გემმამ. — უნდა ბრიზიგელაში ვცადოთ რაიმე, დროს დაკარგვა აღარა ღირს. ჩეზარე, დახელე ციხის გეგმას, რა შეიძლება მოვახერხოთ? მე მოვიფიქრე ცოტა არა, მაგრამ ერთ მუხლში ვერა გავაწყე-რა.

— წავიდეთ, მარკანე, — უთხრა მიკელლემ და წამოდგა. — შეადგინონ აქ ამათ რაიმე მოსაზრებანი. მე კი უნდა წავიდე ფოლინიანოში დღეს; ვისურვები, რომ თქვენც წამომყოლოდით. ბონჩეცუომ არ გამოგვიგზავნა პატრიონები და უნდა კი აქა გვქონოდა ჯერ კიდევ ხამი დღის წინედ.



როცა ისინი ორნებ წავიდნენ, მარტინი მიეიღა გემბა-
სთან და ხმა-ამოულებლივ ხელი გაუწოდა.

କ୍ରେମିଆମ ଦ୍ୱାରିବାରିତର୍ଫା ଲା ଖୁବିଶରଂ:

— თქვენ ყოველთვის კეთილი მეგობარი იყავით ჩემთვის, ჩეზარე, და ყოველთვისაც მშველოდით სამძიმო დროებში. მაშებლაც საქმეს შევუდგეთ.

ନେତ୍ରକଳୀଙ୍କ ର. ପଂଚମୀ

“*திரு-காம்பூலை நிலங்களை எப்போல் விட சொல்லுதல்*”

(შემდეგი იქნება)

(ప్రశ్నల వ్యవస్థ)

—

Թ Ա Յ Ա Թ Ե Շ Ե Ր Ե Բ Ո

ნავთონი მეცნიერება

xx *) ს ი ღ ა ბ მ ე რ ე დ ლ ე ს გ ი ნ კ ა ს ხ ა ყ ა ვ ო ნ ხ ა ლ ხ ი თ ა გ ა ი ს ლ ა . დ ა ტ ე რ ი ნ გ ა მ ე რ ა თ ა შ ა რ ი ს ს ტ ე ფ ტ ი ვ ი ც ა ქ ი უ . ა ქ ი უ . ა ქ ი უ .

სტეფანევი საყავლში იმიტომ მივიდა, რომ სიკედილს გა-
დაურჩა.

სტეფანევმა ორც კი გაამხილა, თუ მისი მოკვლა უნდო-
დათ. ხმა გაავრცელა, რომ დამბაჩა მარტხად გამივარდათ. ეს
ტყუილი იმიტომ მოიგონა, რომ იყალმყოფი ცოლი არ შეშინ-
დესო, და, გარდა ამისა, რამე ჭორები არ მომიგონონ, ქვეყნის
ყბად-ასალები არ გავხდეთ. ოგნიანოვის წერილი არ უნახავს,
მაგრამ მიხედია კი, ვინც გაიმეტებდა სასიკვდილოდ.

რაჩომ სტეფანესაც და სხვებსაც უმშო: — ვხელავდი, რომ
სოკოლოვი უკან მიზროდია. მაგრამ აჩავინ უჯერებდა, იმი-

*) ob. 23. März 1899 V. № XII.

ტომ რომ დასძინა: — სოკოლოვთან ერთად მისი დათვიც მირჩოდა. საწყალს რაჩენას ეგონა, რომ დაოთხებული ბროშ-ბეგუნიოკი ის დათვი იყო, რომელმაც იმაზე წინად ტალახში ჩააგდო.

ყველანი ხარხარებდნენ. არ იცინოდა მხოლოდ კანდოვი, რომელიც ჩუმად კუთხეში იღვა. მისი აზრი და გონება, ალბად, სხვა სამეფოში იყო ამ უამაღ. მისი ჩაყვითლებული და დადარდინებული სახე სრულებით არა ჰგავდა უდარდელსა და სიცილისაგან გაბრტყელებულს სახეს დანარჩენთა.

ხარხარი გათავდა. ყველა იქ მყოფნი სარკმელს მიაჩერდნენ და ეკულესიდან მომავალს დართულ-დაკაზმულ ქალსა და კაცს დაუწყეს ყურება.

ქალებში რაღაც ერთი.

შევი და ღარიბული ტანისამოსი ეცვა. ღაწევები ვარდსა-ვით უღვივოდა. ყველამ იმას დაუწყო ცქერა; მაგრამ სიყვა-რულით ყველანი არ უყურებდნენ; ზოგთ ზიზღი ეხარებოდათ თვალებში, ამიტომ რომ ამ უკანასკნელ დროს რაღას შესა-ხებ მეტად ცუდი ხმები დადიოდა.

ეს ცუდი ხმები ჰაჯი-როვანამ დაუყარა.

მონასტრიდან ქალაქს მოედონ ჭორები.

ჭორიკანებმა და ბოიჩოს მტრებმა რაღას, ვინ იცის, რა არ მოუგონეს, რა არის, როგორიანოვის სახელს ამით შევბრა-ლეთ და ჩირქს მოვსცებთო.

რადამ კი არა იცოდა-რა ამ ჭორებისა.

მისის ფიქრის საგანი როგორიანოვი იყო, თავი მედნიერად მოჰქონდა და ვერ ამჩნევდა ცნობის მოყვარე თვალებს ნაც-ნობ ქალებისას, ან კიდევ გესლიან ღიმილს გამვლელ-გამომვ-ლელისას.

კანდოვი საშინლიდ იყო ღიმილოთებული.

რადამ, ის-ის იყო, რაყავოს წინ გაიარა. სტეფანევი დაი-ხარა და გესლიანის ღიმილით რაღაც უწურჩული მერდვენჯი-ევს. სხვებმაც შეჰქმნეს ჩურჩული; დაუწყეს დაცინვა და ნიშ-ნის მოგება. სტეფანემა სულ ფრთხები შეისხა და მარტო ეს

როდი იკმარა: დაცინვით წარმოსთქვა სარევოლუციო ლექსის შემდეგი ტაქტი: ეს დონის მიზანი არა ... აუმჯობესობის იღების ძირი არადა ხარ, ხადა, ვისაც რომ გოყვარს ფინანსურული შე მცირებული „ტანჯულა“ გვემული ეს ჩეენი ხალხი?“ ამ ამოცაცემის-ეთ ესა სთქვა და კადნიერიდ ჩახველა.

კანდოვი ძეამდე იომენდა, ახლა კი თავი ეერ შეიმაგრა.

— ვის დასტინით, ბატონო სტეფანი, რადა გოსპოვინისა? — ჰერიონის კეითხა სტუდენტმა.

ყველანი გაჩუმდნენ.

— სწორედ, რადა გოსპოვინისას დავცინი, მერე შენ რა გინდა?

— რაკი ასე უშვერად იხსენიებ ამ ქალს, ჭორიქანა და საზიზლარი კაცი ყოფილხარ! — დაუყვირა სტუდენტმა ქშენით.

— საზიზლარი მე ეარ, თუ შენა ბრძანდები — ეს დეე, საზოგადოებამ განსაჯოს. რაიცა შეეხება რადა გოსპოვინისას, იმის აშშავი, უკაცრავად კი რარ ვიყვედა... ძალლებმაც ეკი იციან...

— შე სასიზლარო, ტყუილად ცილსა სწამებ უპატრონო ქილს... ბოდიში მოიხადე! — დაუყვირა კანდოვმა.

— ჯერ დამიტკიცე, რომ ამ ქალთან წასულ კვირას ჩუმად ვიღაც სტუმარი არა ყოფილა...

სტეფანმა ვეღარ გაათავა ლაპარაკი.

— ეს სტუმარი ბოიჩო თვინიანოვი, მისი დანიშნული იყო, შე ქოფაკო, შენა! — დაუყვირა კანდოვმა და ისე ღონივრად გააწნა სილა, რომ ყველამ გაიგონა.

გაბრუებული სტეფანი პირველში დაბარბაცდა, მაგრამ მე-რე სტუდენტისაკენ მიიწია. კანდოვმა ჯოხი მოიმარჯვა.

ხალხმა მაშინათვე გააშველა ორივე. საყავიში ჩოჩქოლი ასტყდა

სტეფანი ლოყა-გაშითლებული გამოვარდა საყავოდან, ბრაზისაგან გაალმასებული. მაშინათვე ყონალში წავიდა, — ეხ-ლავე ჯავრს ვიყრი კანდოვისას და რადასას, ორისავ ერთადაო.

გადასწყვიტა — ბეი დაეჯერებინა, — ორივე აწამე და ოგნიანო-
ების ამბავი ათქმევინეო... ადრე ეშინოდა და თავ-დასხმის ამ-
ბავს არ ამეღავნებდა, ეხლა კი ეს შიში გაუქრა; ეხლა მისი
თავ-მოყვარეობა საშინლად იყო შებლალული და მხოლოდ
ერთმა გრძნობაში შეიცყრო: შური ეძია თეისთა შეურაცხ-
მყოფთა.

ყონიალს ჩქარის ნაბიჯით უახლოვდებოდა.

უცბად ვიღამიც დაუძახა უკანიდან:

— კირიკ-ეფენდი, შენგან ტომბახი გვირგება.

სტეფანოვი მიბრუნდა და ონბაში დაინახა. იმ წამსვე მაში-
ნალურად ხელი მიითარა ლოკაზე, თითქოს სილის კვალი მა-
უნდა გამოიჩინოსო.

— მომილოცნია, — ალექსიანის ღიმილით უთხრა შერიფ
აღამ, როცა მიუახლოვდა.

სილისაგან გაბრუებული სტეფანოვი ერთბაშად ვერ მიხვდა,
რას ეუბნებოდნენ, ევონა, ონბაში დამკინისო.

— ვერ მიხვდი? ბრძანება გამოვიდა.... ეს-ეს არის, ბეის
ქალალი მოუვიდა...

მიწასან გასწორებული სტეფანოვი წელში გასწარდა, ერთ-
ბაშად ალიტაცა სიხარულმა.

— გამოვიდა? — შესძახა ონბაშის.

— გამოვიდა. გუბერნატორად დაგნიშნეს გიუმიურჯინ-
ში... გამარჯვებით გამყოფოს, მეფე თავისს დღეში არ ივიწ-
ყებს თავისს ერთგულსა და ლირსეულს ქეშევრდომებს...

ფილიპოპოლში ვინც კი შემწე-მფარველი ჰყავდა სტეფ-
ანოვს, ყველანი დოდი ხანია ცდილობდნენ მისოვის ეს იდგი-
ლი ეშვენებინათ.... ახლა, როგორც იყო, იშვინა. სახე სიხა-
რულისაგან უბრწყინავდა.

სტეფანოვი მაშინათვე უკან გამობრუნდა, — წაეალ ავად-
მყოფს ლალკას ვახარებ ჩემ გაბედნიერებასაო.

ლალკა დღით-დღე უარესადა ხდებოდა. გაციცების შექმნა და დღის დასრულება არა არა უარესადა. ლალკას ნაზს ავტომატურად გადასაცემი არა არა უარესადა. რამდენისამე დღის განმავლობაში საშინ-ლად გაძოიცვალა, ისე ჩატანა, რომ კაცი ვეღარ იცნობდა. გაყვითლებული ლოყები ჩატანადა. ჩატანილისავე თვალების გარშემო ორი მოშავო რგოლები გამოიხახა. გამშრალი და უსისხლო ტუჩები გახშირებულისა გახურებულის სულთქმისა-გან ნერვიულად შეტოვდებოდა ხოლმე, საამო და მშვიდობი-ან სახეს ტანჯვის ციფი და მკაცრი ბეჭედი დააჩნდა. ხანდას-ხან, როცა სულ წაერთმევოდა გრძნობა, მისი უმოძრაო და უფერო სახე მკედრის სახეს მოაგონებდა ადამიანს. მხოლოდ ღრმად ჩაცენილი თვალები მოუსვენრად ბრწყინავდა და შიგ ეხატებოდა ანთება, რომელიც სწერდა და სიცოცხლის წვენს უშრობდა ამ ნორჩის სხეულს. ხანდისხან გახურებული სისხლი გამშრალს ლოყებზე არა ბუნებრივს ფერს მოჰვერიდა, რომე-ლიც, ხელ-ახლა სიყვითლედ შეეცვლებოდა.

ლალკა ახლა მზისაგან დამწერ ყველილსა ჰგავდა. კიდევ
იმედი ჰქონდათ, იქმნება, აეადმყოფობას როგორმე სძლიოსო
და გადარჩესო. მაგრამ გუშინდელს აქეთია ლალკას ხმა
ჩაუწყდა; მისი გამშრალი ტუჩები მხოლოდ იშვიათად და
ისიც რის წვალებით გაიღებდა რაღაც გამოურკვეველს
ხმას; ლამით კი სულ აბოდებდა ან და უმოძრაოს და
გავარეალებულ თვალებს კერძი მიაშრერებდა და დიდს ხანს
იყო ხოლმე ასე გარინდებული. დედა და ჰაჯი როგორმა მისს
ლოგინთან ისხდნენ და მთელი ლამე თეთრად გაათენეს... მხო-
ლოდ განთიადისას დამშვიდდა ცოტათი და გულიანად ჩაეძინა.
მაჯამ ზომიერად დაუწყო ცემა და სულისთვის თავისუფლად

დაიწყო... ეგონათ, მოიხედაო და გაეხარდათ. დედამ მონაზ-ნებსა სთხოვა, კიდევ შეავეღრეთ ჩემი ქალი უფალსაო.

როცა კარგად ამოიწერა მზე, ლალკამ გამოიღვიძა; სულ ოფლში იყო გაწურული და საშინელი სიცხეცა ჰქონდა. ლო-უბი უხურდა. მთელი ტანი სიციეისაგან უკანკალებდა. ივად-მყოფს ისევ დაეკარგა გრძნობა; მხოლოდ ეამ-და ეამ მოუსვენ-რად ხელს ჩაიქნევდა, თითქო რილახიც თქმა უნდოდაო.

კარი გაიღო და ოთახში სტეფანი შემოვიდა. სიხარული-საგან გალავლაუბულს სახეზე ბეჭნიერება ეხატებოდა,— კი არა ჰევდა შეწუხებულს და დადარღიანებულს მომვლელებს მისის ცოლისას. მაგრამ ლალკა რომ დაინახა, სახე გამოეცვალა, ცი-ვად დაიწყო ყურება, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა ხოლმე; მხოლოდ შუბლი ოდნავ და მწარედ შეეკრა, სტეფანი ცოლს მიუახლოედ დაგამოეხმაურა:

— ლალკე!

ლალკა უცბად შეკრთა, თვალები ნახევრად გააღო, ქმარს შეხედა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

— საწყალს რა გაუხარდა შენი ნახვა... შენის საცოდა-ვობით დაიწვა და იმიტომ ვერ გაგისწორა თვალები... — ჩურ-ჩულით უთხრა ჰაჯი როვოამამ სტეფანეს.

ლალკა ხელ-ახლა მოტრიალდა, თითქო ვინმე ძალას ატანდაო. აცრემლებულის თვალებით სტეფანი დაინახა და ისევ კედლისაკენ მოტრიალდა.

— კირიაკ, ვერა ჰქინდავ, შენ რომ გხედავს, სწუხდება, გადი აქედან,— მაცრად უთხრა სიდედრმა.

სტეფანი თავ-ჩაქინდრული გავიდა ოთახიდან.

შინაურები ლალკას ვერ მიუხვანენ: ქმარი კი არ ებრა-ლებოდა, საშინლადა სძულდა და ეზიზლებოდა...

ქმარი მაშინ შეეზიზდა, რა დღესაც ავალ გახდა; იქმდე ამ გრძნობას ზიზლისას თეისს დატანჯულს გულში ინახავდა და არ ამჟღავნებდა, ეხლა კი, სულისა და ხორცის გაყრის წამს, შეგუბებულმა გრძნობამ გარედ გამოხეთქა. სტეფანის ნახვამ მთელი არსება აღუშფოთა და ტანჯვა-წეალება გაუძ-

ლიერა... სიყვარულით არც წინადა ჰყვარებია როდისმე, მაგრამ ახლა შეეზიზდა კიდევა... რომ შესძლებოდა ლაპარაკი, უკველად ეტყოდა, რაც გულში ედო: სიკვდილის მთაბლოვება აღამიანს სიამოვნებას უმატებს, მაგრამ ენას კი ართმევს...

სტეფანეის შემოსვლამ ბურანიდან გამოიყვანა და ყველაფერს შეგნებით დაუწყო ყურება. თავისიანებს დატანჯულის თვალებით დაუწყო ცქერა, თითქო ეთხოვებაო... ტანჯვამა და სიყვარულმა თვალებზე ცრემლები მოჰვარა. სტებაც წამოასხდათ ცრემლები; დედამ თავი ვერ შეიკავა და ჩუმად ქვითინი ამოუშვა. უფროსმა ქალმა გინკამ ხელი მოჰკიდა, გაჩუმდიო, თვითონ კი ცხვირსახოცი თვალებთან ჰქონდა მიფარებული... ლალკას ისევ დააწყებინა ბოდვა. ცრემლები გაუშრა, თვალები სადღაც სიერცეში მიაშრერა გაუნძრევლად.

ამ დროს ვინც კი იყო ავადმყოფთან, ყველამ უნებურად მოიხედა,—ოჯახში ვინ შემოვიდაო. შემოვიდა რადა. ლალკის ავადმყოფობა მხოლოდ დღეს გაიგო.

დიდი ხანი იყო, რაც იურდანის სახლში რადას არ უშვებდნენ. მაგრამ ახლა მისი მისვლა არავისე გაჰკვირვებია, არც არავისა სწყენია,—რადა ლალკას მეგობარი იყო. და უფლებაც არავისა ჰქონდა, მომაკვდავისათვის აღეკრძალა, რომ შტერსაც და მოყვარესაც გამოსთხოვებოდა.

იქ, სადაც სიკვდილი შედის, კარებს ურდული ჩამოეცლება ხოლმე. შინაურებმა გზა უტიეს რადას და ლალკას ლოგინთან გაატარეს. შავად ჩატმულმა, დაძმარებულის სახისამ და თვალ-ცრემლიანმა რადამ ჩუმად ჩაუარა ყველას და ლალკას სასტუმალთან დაიჩოქა. აიღო მისი გამშრალი ხელი და მხურვალედ აკოცა. ლალკა შეჭკრთა სხეის მიკარებისაგან, ჭერს თვალები მოარიდა და რადას შეჭხდა... თვალთავან ბინდი გადაეყარა... გული აუჩქროლდა და უსიცოცხლო საჩეს კვლავ სიცოცხლე დაუბრუნდა... ტუჩები უმწეოდ დააცმაცუნა, მაგრამ რადა მიხვდა, რის თქმაც სწადდა... ერთბაშად ორი მარგალიტი ლაწვებზე ჩამოუგორდა ავადმყოფს. რადამ იგრძნო,

რომ ლალკამ ხელზე მოუჭირა. რადამ თავი ახლოს მიიტანა და აკანკალებულის ხმით უჩურჩულა: — დაიკო, გვნაცვალე!.. როგორა ხარ, ლალკე? ნუ გვ-შინიან...

ლალკამ გაიგონი. თავი დააქნია უარის თქმის ნიშნად და ისევ მოუჭირა ხელი, რომელიც მეტე არ გაუშეია. უმოძრაო თვალები მეგობარს დააშტერა. ამ თვალებში მთელი ზღვა ეხატებოდა სიხარულისა, ნეტარებისა, უსაზღვრო სიყვარულისა და გამოსამშვიდობელ სიტყვებისა!.. ლალკა სააქაოს ეთხოვებოდა. სახეზე აშკარად ეტყობოდა ყოველივე. სიკვდილი თავზე ადგებოდა და თავისს ორდაგს აფარებდა.

გულის ამაღლულებელი იყო ყურება, როგორ უსიტყვოდ, ეთხოვებოდა ერთმანერთს ორი მეგობარი ქალი...

xxii

შ ა ნ დ რ გ ი

საყავოში მყოფთ ყველას უკეირდა კანდოვის სიტყვები და სტეფანოვის გალანძლვა. ყველაზე მეტად სტეფანოვს უკეირდა, — ერა მიქნა ამ კაცმაო! თითქო მოულოდნელად მეხი დაეცა თავზედაო. სტუდენტს ჯერ-ჯერობით შერჩა სტეფანოვის გალანძლვა.

ზოგმა, უფრო შორსმეტრელმა, სთქვა, მარტო იმიტომ არ გაცხარდა კანდოვი, რომ ქალის დაფარვის სურვილი ჰქონდაო.

მართლაც, მარტო ეს არი იყო მიზეზი.

ახალგაზდა სტუდენტი იმ ჯურა ხალხს ეკუთხნოდა, ვინც სიამეს ცხოვრებისას თვის იდეალის თაყვანისცემაში ჰპოვებს. ასეთებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ იცხოვრონ, თუ რაიმე თავ-დავიწბით უყვართ.

მაგრამ სანამ ბოლგარეთს შეიყვარებდა კანდოვი, მის გულში მეორე ლვთაებამ დაისადგურა: ეს იყო რადა.



ეს ქალი ბელაგარერკოვიდან ოგნიანოვის გაქცევის შემდეგ შეუყვარდა. რადა ჯერ ოდნავ შეუყვარდა, მერე სიყვარულის გრძნობა უფრო გაუცხოებოდა და თავტანი დაპყრიგა. კანდოვი ცოტ-ცოტათი განშორდა თავისს ნაცნობებს, განზე გაუდგა მათს ინტერესებსა, მარტოდ რჩებოდა და ოცნებობდა. ოცნებისაგან მხოლოდ მაშინ გამოერკვევოდ, როცა რადას ნახავდა. ასე მიღიოდა საქმე გაზაფხულიამდე. მაშინ კი გონის მოვიდა კანდოვი, გამოერკვა და თავის თავს გაუწყრა. მე ნება არა მაქვს რადა შეეიყვარო და უსინდისოდ ვულალატო ჩემს მევობარს ბოიჩისაო, გარდა ამისა, ნება არა მაქვს შეეიყვარო სხვა ვინმე იმ დროს, როცა მოველი ჩემი სიცოცხლე ბოლგარეთს უნდა ვანაცვალოვო.

თავის თავისა თვითონვე შეეშინდა და იფიქრა—სხვა, უფრო ძლიერი სიყვარული თუ მიხსნის და ერთიანად გამაცოცხლებსო. გადასწყვიტა—მთლად შეეწირა თავისი თავი მომავალ ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა ყველაფერს დამავიწყებს, სარევოლუციო მოქმედება დამათრობს და გამაკეთილშობილებსო.

აი, სწორედ მაშინ მივიდა, როგორც დავინახეთ, მოულოდნელად სოკოლოვთან და სთხოვა—კომიტეტში მიმიღეთ და სტეფანივის მოკვლის ნებაც მომეციოო...

საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, სტეფანივის მოკვლის ხევდრი სოკოლოვს ერგო და კანდოვის დაწყობილი გეგმა ქალალდის ხუსულასავით ჩაითუშა. სტუდენტს სასოწარეკვეთა... მაგრამ ნუგეშად ისა ჰქონდა, რომ რევოლუცია ჯერ არ ყოფილა და რისამე გაქეთება კიდევ შემიძლიანო... თუმცა ცდილობდა მარტო სარევოლუციო ბრძოლისათვის ეფიქრნა და რადას სიყვარული დაევიწყნა, მაგრამ ეს გრძნობა მოსევნებას არ ძლევდა. ქალის სახე მაცდურად ეფარებოდა სამშობლოს სახეს; რადას სახე უფრო თამამად გამოიყურებოდა და ეცოდებოდა ღრიებითი სტუმარი, რომელიც იქ შევიდა, სადაც უკვე სხვა იყო სახლის პატრონად...

დღეს, იმის შემდეგ, რაც სტეფანივს სილა გაარტყა, კანდოვმა იგრძნო, რომ რაღაც უცნაურს მდგომარეობაში იყო.

გადავსწყვიტე ბოლგარეთს თავი შევსწირო და რადა კი შე-
მიყვარდაო ამ მხრით, ბოლგარეთის დღეგრძელობა ავალებდა
ოგნიანოვი მისი მეგობარი ყოფილიყო, ხოლო რადას სიყვა-
რული ეუბნებოდა — ბოიჩო შენი მეტოქეაო იდეა აკაცშირებ-
და, ოგნიანოვთან, ხოლო სიყვარული აშორებდა... ცხმის ცხმის
ორუა სტეფანოვი დასაჯარადას შეურაცხყოფისათვის, კან-
ლოვმა იმავე დროს შური იძია აგრეთვე ოგნიანოვის მაგივრა-
დაც ცხმის ცხმის არა არა არა არა არა არა არა არა არა
მისს გულში არმა გრძნობამ დაისადგურა და ბრძოლა გა-
იმართა, მაგრამ დრდხანს არ გასტანა ამ ბრძოლამ, გულმა აჯო-
ბა, ესე იგი, ადამიანის ბუნებამ იდეაზე გაიმარჯვა.

კანდოვს ეხლა თვინიერ რადას სიყვარულისა არა ახსოვ-
და-რა.

იმანაც კარგად იცოდა, რომ რადას სხვა უყვარდა, მაგ-
რამ არ უნდოდა ეს დაენახა და ცეცხლში იწვოდა. სიყვარუ-
ლი—ბრძაა. ბერძენთა ხელორნება სიყვარულის ფრთიან ღმერთს
ტყუილად კი არ წარმოგვიდგენს ხოლმე თვალ-ახვეულად!....

ოგნიანოვი რაც მოკლულად მიაჩნდა რადას, იმ ხნის გა-
ნმავლობაში მისს გულს არ გაუხარნია. ისე იყო შეწუხებუ-
ლი უბედურებისაგან, რომ კანდოვს საეჭვოს არაფერს ამჩნევ-
და. სტუდენტი რადასთან დადიოდა ეხლა, მაგრამ წინანდელზე
ძვირად ნახულობდა ქალს; თან-და-თან სიარულს მოუხშირა,
თან ცდილობდა, ვითომ-და შემთხვევით, ხშირად შეხვედრო-
და სხეაგანაც.... დრო გადიოდა და რადამ, ქალურის მიხვე-
დრილობით, შეამჩნია, რომ სტუდენტს, ცოტა არ იყოს, შევუ-
ყვარდიო.

რაც უფრო უცხოველდებოდა კანდოვს სიყვარული, უფ-
რო აშკარად ატყობდა ქალი ამ გრძნობას.

ქალი ყოველთვის ალერსიანად ეგებებოდა კანდოვს, რო-
გორც ბოიჩოს და მეგობარს კეთილ-შობილს კაცს, ეგონა
საცოდავს, რომ თუ ალერსიანად შევხვდი და ჩემის შავის თვა-
ლებით მივესიყვარულე, ტანჯვას დაეუამებო და ეჭვიც კი არა

ჰქონდა იმისი, თუ რა ძლიერი იყო ეს ტანჯვა სტუდენტისა. ფლონდა ცურომ სუსტი წამალია!... 】 მოუბანი დეინტერი ისახა
იჩინ დაფრინი შევძირდეთ ეს ერთ ერთ და დამატებით და დამატებით
— ცავი მიმდევა მცოდნელი და მცოდნელი იმძიდები ცავი
— და მძიდ ცავი მცოდნელი მცოდნელი და მცოდნელი შეი მიმდებულ იძიდებ
— ცავი ფარებ და მცოდნელი წერილის წერილის იყვნი
— ამინდ მარტინ

ამინდ სტეფანივის გალანძლის შემდეგ კანდოვი სახლში დაბ-
რუნდა, მეტად აღელვებული იყო, ოთახის კარები ჩივეტი
და კარგა დაღამებამდე ერთსა და იმავე წიგნსა ჰქითხულობ-
და. დრო—გამოშვებით წიგნის ზოგიერთ ადგილებს ფანქირით
ხაზს უსეამდა ხოლმე. ჩამი-ჩუმი რომ მისწყდა, მაგიდას მოუჯ-
და დაწერილის წერა დაწყო. შუალამებდე სწერდა. მერე ზელ-
ახლა დაწვა მერხზე. მაგრამ დასაძინებლად კი არა, საოცნე-
ბოდ. სანთელს განთიადამდე ეკიდა. მზის პირველმა სწიებმა
ოთახში შეატანა და ოცნებით გატაცებულ სტუდენტს სალა-
მი მისცა. კანდოვი გამოერკვა და შფოთიან ძილისაგან დაღ-
ლილი და დასივებული თვალები გაახილა. მივიდა მაგიდასთან,
აღელვებულის სახით ხელახლა წაიკითხა წერილი, ოთხად გა-
კეცა, ჩალათას ძებნა დაუწყო, მაგრამ ველაზ იპოვა, წერილი
ხელ-იხლა გაშალა, წაიკითხა პირველი ბწყარები და მაგიდაზე
დასდევა.

— ახლა თუ მერე? — ჩურჩულით ჰქითხა თავის თავს.

ერთ წუთს დაფიქრებული იდგა.

— არა, მერე; რომ ენახავ, მერე მიუვიდეს...

საჩეაროზე ჩაიცვა და გარედ გავიდა.

ქუჩაზე რომ გამოეიდა, დაინახა, რომ ჯერ ძალიან აღრე
იყო. მზე ცისკიდურს მარტო ერთ მხარზე დაშორებოდა; ჩრდი-
ლი იმ სახლისა, სადაც რაღა იდგა, ქუჩასა და ქუჩის მხარეს
მდგარ სახლს ეფარებოდა. კანდოვმა რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა
ქუჩაზე, ყოველ ჩამოელაზე ლილოების სახლის უკანა კედელს
აცერდებოდა (რაღა იმ ოთახში იდგა, რომლის სარკმლები
ეზოს გასცემროდა).

მზემ უკვე გამართა ძველი პლანინაცა, ქალაქზე გადმომდგრა სერებიცა, სახლის სახურავებიცა, თეთრი ბუხრები და სარკმლებიცა, რომელთაც აღმოსავლეთისაკენ ჰქონდათ პირი. აღრე ამდგარნი მეყავენი თავიანთს საყავოებს აღებდნენ, მედუქნები დუქნების წინ კერძებსა ჰყრიდნენ, ქუჩებზე ხალხმა დაიწყო სიარული; ქალაქი ახმიანდა სხეა-და-სხვა, ერთად შერეულის ხმებითა.

მაგრამ კანდოვი ვერაფერს ამჩნევდა. სიარულს მოუჩარა და რადას პინის ჭიშკრისაკენ გასჭია. რომ მივიდა, ჯუჯრუტანაში შეიხდა.

ჭიშკარიდან ორი ქალი გამოვიდა: რადა და ლილოვიჩის ცოლი. ორივე ქაბას ზევით აცყარა. მხოლოდ ამ დროს გაიგონა კანდოვმა თუჯის ფიცრების ხმა. *) „ალბად, უქმეა რამე, — იფიქრა კანდოვმა, — და ერთად ეკალესიაში მიდიან“. გა-ქვავებულსავით იდგა ერთს აღვილას და თვალს არ აშორებდა. მიმავალს რადას. ქალს არ უნახავს სტუდენტი, როცა ჭიშკარიდან გამოვიუა და ზევით აუხვია, ამიტომ რომ ძირს იკირებოდა. ეაემა უნებურად შეამჩნია, რომ რადას თავისი შავი ტანისამოსი ეცვა.

— ნეტავ, სად მიდის ამ საშინელ დედაბერთან ერთად? ე თუჯის ფიცრები რაღა მოსავონებელი იყო! ან-და ეს დაუსრულებელი უქმეები ვინ დააწესა? რა უქმეებისა სცხელა ეხლა ხალხს? ან ამ კერპთაყვანისმცემლებს უქმეები რაში ეჭირებათ?

ამ თვალით შემსედველს წარმოუდგება ჩვენი მწერლობა წადმართ გზაზე დამდგარი და არა მიმდევარი უკუდმართ აზრებისა და მსებულობისა. მას დროშაზე აწერია წინსველა და არა უკუსივლა. დაწინაურებულის რესის მწერლობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ჩვენი მოზარდი თავისი. უნიკვერსიტეტის სტუდენტობა შექმნა მას წინამდებარებულ 1860 წლიდან მოყოლებული და იმ დროს გამოღიმებული აზრები დაეცა საფუძვლად ჩვენს მწერლობის. ამან მასცა ღონიერების მწერლობას და ბეჭდებას. ამან გააიგაროვა უწადაშე-გაზეობის პირობებით წრე, რომელიც მანამდე შეტანილი და უმნიშვნელო იყო. მკაფიოებელი ესმოდა ეკრანშეული აზრი და მსებულობა, რომელიც გამოისული იყო ნაწერებში, რა საკანიაც კი შესტოდა. სადამდისაც მწერლის სედი მიუწვდებოდა, რა გვარი წერაც კი მოუსდებოდა, დექსი, მოთხოვთა, სათავო წერილი, მიმსილება, ფეხურონი, გვერდისი და გარემონტი გარებული იყო წარმართი კერძობიერის აზრი, თუმცა თეორიული მისი ასესია და მოძღვრებითი ტრაქტატები საკუთარ წერილებად არ შეგვხვდება. იოქნან შერრის სილუეტი შეგვიძლიან კოქისთ (როდესაც სტილზე და ადგისონზე დამარაგობისა): ემათმა გამოცემაში დიდი ნაყოფიერი ურთიერთობა წარმოშობა ცხოვრებასა და დაიტერატურას შეა განათლების იფრასი გაიფართოებით და ცოდნის ზოდების წერილ ფულად გადადნობითა. რასაცვირებელია დაიტერატურული და ნივთიერი ღონიერი ნაგებები იყო, რომ მას მომატებული ფართო გავლენა ჰქონოდა. მარკმ მაინც იქმდის მიაღწია მწერლობამ, რომ იგი შეიქნა საზოგადოებას და ხალხის თვალში, როგორც მისი კრონული მომსმენი, მის სიმართლის და წარმატების მცველი, მისი მსახური და გზას მაჩვენებელი.

რაც უნდა ნაგლულეკანება ჰქონდეს ჩვენს მწერლობის, ეს დადი ნაბიჯია და მოძავალისათვის სამეცნ დახმარება, როდესაც ხალხში მწერლობა ამისთან ნდობას მოიპოვებს. უში დამარაგება

რომ არ ჩამოგვართებნ ნათ ქვამი, ამის დასამტკიცებული საბუთი ეკა-
ლას თვალწინა აქვს. ჩენ რედაქციებს სშირად მამართავებს, როგორც
უძაღლეს სამსჯავროს. მეორე საბუთია: ისე არა მოღვაწეს სახელი
არ არის ცნობილი საფხო, როგორც მწერლისა; საცა კი წიგნის
გათხვა გარეულებული, გათვალისწილების სახელებია. ზენო-
ნიათის მხრით ამისთანა ნდობის განმტკაცება დატერმინირების წად-
მართ ძალის და ღონის საქმეა და მის მსახურობა ზენონიას. დღეს
ჩენიში მწერლის ისე უკარების საფხო, როგორც მისის ჭეშმარიტ
ინტერესების მცველს, განათლების და სიმრთლის მომსრეს. კა
მას, განც ამას უმტკაცების. ის შეიქმნა თრგული ჯერ თავის თა-
ვისა, მერე საჯხისა და დატერმინირებისა.

ჩენი მწერლის სატურა რაკი საფხოს წინაკლის გზას და-
ადგა და მეოთხეულ საზოგადოებაში ფეხი მაიგვადა, ქართველობის
ერთობის აზრი გაიფართოვდა. რასაკიარებელია, მის მისკლა-მოსკლის
საშეაღება, რეანის და შარა გზების გაგეოება, გაჭრობის გაძლიე-
რება დაესმარა, მაგრამ დატერმინირულ მუშაობამ თავისი მოიქ-
მედა. ერთობის აზრის უკანლობა წარსულ საუკუნეობიდანაც და-
დადგებდა ჩენის დატერმინირაში, მაგრამ ისე მკაფიათად და ნაერ-
ყიფრად არ გამოიქმენა, როგორც ამ ნახევარ საუკუნეში. გაზე-
თებში ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, მოხევა,
ფშავე და თუში ერთმანერთს გამოედაპარავნენ, აცნობეს თავისი
აკა და გარება, სურვილი და მეცადინება, ერთმანერთს აცოდინეს
თავისი აზრი და შეატყეს დაშორებულ მმების აზრი.

უკანაზე წინ ამ საერთო გამოლაპარაკებაში სწავლა-განათლე-
ბის მოფენის სურვილია. გადაათვალიერეთ გაზეთები. რა რიგად
დოტექნიკას ხალხი უმეტესობაზე, უსკოლობაზე, საცა არ არის, და ნა-
გლულეკანებაზე, საცა არის; როგორ დაზადებს ამათდ მორწმუნება-
ზე და მაკნე ადათებზე, ცარცება-გლევაზე და უზნებაზე, უგანო-
ნონიაზე და უსამართლობაზე. რა ეჭია, რომ ეს ჩივილი შეგ-
ნება ნაგლულეკანებისა და მის მოსპობის სურვილის გამოთქმაა.

თუ ჩენი საზოგადოების განათლებული ნაწილი იმ სარის-
ხამდე მისულა, რომ საფხოს მდგრამარების ზრუნვა საქუთარ ზრუნ-

ქართული თეატრი და ლიტერატურა

კად მასწავლა, რასაც გარეულია გასაგონ ენას იარაღად ჩასთვლის საფეხის დასიხმარედ და საფხის ენის ლიტერატურას მოასმარებს თავის ცოდნის, ნიჭის და შრომის. რავი დაინისა ამისთვის ნაწილმა, რომ საფხის მონაწილეობას იღებს მწერლობაში და თავის საქუთრებად მიაჩნა, ლიტერატურის მოთავსების გვერდით მოუდგა. ეს იყო ერთი ვიზუალური წინ წადგმა ბიჯისა. მოქმედია მწერლობას დონე მსოფლიოთა ახალ და ძველ ქანცხისაგან. ამ საუკუნეში ისე არას დროს ამოღენა მწერლები არ ყოფილიან, როგორც ამ ნახევარ საუკუნეში. გამოჩენენ მუელი რაზმები სელლეტი რისტებისა, პოეტებისა, რომელთა სახელი ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ჩაიძებულია: ქაუა-ფშაველა (დეგა რაზიკაშვილი), რაფიელ კრისთავი, ილია ჭავჭავაძე, აგაკი წერეთელი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე უაზბეგი, გრიგოლ და ვასტანგ ლომელიანი, (ეს უკინესებნელი თრია ახალ მწერლობაში უნდა ჩავთვალოთ, თორები ისინი, როგორც სხვები 1850 წლამდე გაქცებოდნენ).) შესანიშნავია რომ ამავე სანსა გამოჩენენ მწერლიან ქადები, რომელთაგან თავი იჩინეს კატერინე გაბაშვილმა, რედაქტორმა ანასტასიან წერეთელმა და ლექსიებით დომინიკა მდივანმა (განდევნილმა). ამ კანცელის და ქალების ახვევის სხვა მწერლები და მთარგმნელები, რომელთაგან ბერის ლიტერატურული მომზადება, ხალისი და საპატიო შრომა მაუძვიას. უკინესლისტია გაშა აკემასსენებულ მწერლთა გარდა შესამჩნევი ადგილი შექრიათ: გიორგი წერეთელს, ნიკოლოზ ნიკოლაძეს, ალექსანდრე სანეაშვილს და განსაკუთრებით განსკენებულ სერგი მესხს, როგორც მუდამ დღიურის გაზეთის შემწევების. სხვა რედაქტორთ და მოღვაწეთ დაწერილებით არ მოვისწერიათ, რადგან ჩვენ სრულებით განხილება არა გვაქმის ლიტერატურის ისტორიის წერა.

ამ მწერლების შრომით შექმუდებ შრომის ენა, რომელიც 1850 წლებში, როგორც კოქით, მეტად აჭრელებული იყო. შოუზიას ენა დაუახლოებით სახალხო სასაუბრო ენას და რაფიელ კრისთავის და დუეტა რაზაკაშვილის ლექსებში მოგვესმა ნამდვილი ქართული სახალხო სიტყვა. მხებუქა ლექსი აკავის შოუზიას შეიქნა მეთსკელისათვის სახალისო საკითხებად. შრომის ენა შემუშავდა ილია ჭავჭავაძის მთხოვობების გავლენით, რომლის წინად ჩეკნის

დატერატურაში არ მოიშოვება იმ ცოცხალის სასაუბრო ენით ნაწერი. საუკრნალა-გაზეთო შებდიცისტური წერილები, ფელეტონები იმავე კვალის მიქნება და დღეს სასაუბრო ენაში სრული უფლება დამტკიცდა.

თეტრის დამტკიცდულებასთან დატერატურაში კვრისძის ენების დიდი განძი შეიძინა თარგმანებით. მთარგმნელებში საჩენი ადგილი უჭირავთ ივანე მაჩაბელის და დიმიტრი ევიცანს შექსპირის, მარადიერის და სხვა თხზულებათა გადმოთარგმნით. ზოგიერთ რამდენთამე მთარგმნელთა გამოკლებით საზოგადოდ ნათარგმნი წიგნებს შესამჩნევა ქართულის ენის უცოდნელობა და სიმასინჯერ ეტელის, რომელიც წარმოსდგება მოუმზადებლობისაგან, ან უთავო შრომისაგან.

შედაგოვარებ და შობულარებ სამეცნიერო დატერატურაში ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ისეთი ადგილი კერ დაიჭირა, როგორც უკრნალ-გაზეთობაში. შედაგოვარებ დატერატურა მსოდლოდ ქართულის ენის სწავლებას ეკუთვნის, მცირეოდენს წიგნებს გარდა. შობულარები სამეცნიერო წიგნები მეტად ნაკლებია და თუ ქართულებმა სხვა გვრცხიული ან რუსული ენა არ იცის, ან სკოლაში არ ეთვითა, ღონისძიება არა აქვს ბირევლდაწყებითი სწავლა მოიპოვოს შინაურულად, წიგნის გათხვით. ეს ფრთად დიდი ნაკლება და ამის შესება ერთი დიდი საჭირო საგანია მომავალის შრომისათვის.

შობულარებ სამეცნიერო დატერატურის ადგილი უჭირავს სახადო საკითხები წიგნებს, რომელიც უფრო ბელლეტრისტიკას ეპულენის. მრავალ რიცხვით იბეჭდება ურკველგრამი წიგნები სსკადა-ს-სხვა უწავლელ კაცებისაცან. რამდენადც ამ სსკად საუკუნის წინად სტამბის დაზგა მიუწოდებული იყო, ასდა სასისარულოა, რომ იგი უკველასათვის მისაწილი შეიქნა. მაგრამ სამწუხარო მსარე ას არას, რომ ამ ადგილ იარაღის კარგი შემარტებელი არა ჰყავს.

ნახევარ საუკუნის წინად სტამბა მარტო ტევილისში იყო. 1860 წელში ითვლებოდა სულ სამართლის სტამბა, მარტო ერთში შეიძლებოდა ქართული წიგნის ბეჭდება. ასდა ტევილისში თხუთმე-

ტამდე, რომელშიაც შეიძლება ქართული წიგნების და გაზეთების ბეჭდება, (ამითში თხის ქართულების); ტეილის გარეთ თციოდე წლის წინად ქვთასის გარდა არსად არ იყო; ახლა არის რამდენიმე ქვთასის, პათემს, ოზურგეთის, ახალ-სენაკის, გორს, თელავს და უკელგან იღებდება ქართული წიგნები.

ნახევარ საუკენის ლიტერატურის შრომის ჩვენს მშედრო ცხოვრებაში უნაყოფოდ არ ჩაუკლია და უიმედობის საზღვრი შეუკუპა, თუ კერ არ შეუნიკვირ. მას წინ უქვეს, როგორც უოკელის ხელის ლიტერატურას, მრავალ მხრივი მუშაობა. ეს დამოკიდებულია, რასაკირპელია, ბეჭრ გარემოებზე და აგრეთვე ლიტერატურის მსახურებზე. წარსულ მუშაობაში ლიტერატური მარტო მწერადი კი არ იყო, იმისი მოდესწეობა მარტო წერა არ იყო. იმას უნდა ერთიანსა ხალხში, ემზავრა, მიწერ-მოწერა გაემსრობა და სიტყვით, შორისობით, ბასით გარედიულ. ლიტერატურა მარტო წერით არ მიდის წინ, ცოცხალის სიტყვას და ხალხთან, საზოგადოებასთან უთარებობის დიდი გავლენა აქვთ. მართალია, ჩვენი მწერლები ერთ დიდს ღონისძიებას არიან მოვლებულნი, ისინი თავისის წერით ცხოვრების სასსარს კერ შორისენ და ეს ერთი დიდა უდინობია მწერლისა. კერთაში და თესეთში მწერალს შეუძლია თავისის წერით ცხოვრება; მათ გვერდით უდგანან მაღალ სასწავლებელთა შროვებსისორები, რომელიც ლიტერატურას შეგდიან თავის სამეცნიერო სივერის საკენისის შესახებ წერით... მაგრამ ნე დაკიგიწევებთ ლიტერატურის ისტორიას, რომ ყოველ ხალხში ასე უოფილა და მხრიდოდ დიდი გამდიერების დროს მწერალს შესძლება თავისის ნაწერით საჩხის მოვნაცა. დადგებული პოეტები ინგლისში, მაგალითად შექსინირის დროს, თითოებ დრამატიულ ნაწარმოებში აქვთ; ან შვიდ თუმცნი იღებდნენ ჩვენის ფულის ანგარიშით. ესპანიაში იმავე დროს სერვანტესი ისე დარიბი იყო, რომ პროგიანტ-მეისტრის პრივატმიზობა უნდა გაეწია. დიდი პაუტი პუშკინი და გოგოლი გაღებში ისტორია დროს მწედრინი (სად ტიკოვი) გაჭირებაში იმუშავებოდა. დღვენდელი სანა ქართულის მწერლობისა ისეთი სასა, როდესაც ტექილი და უშმი ღწნებაა კისაც ჰგანია.

მწერლობით რჩენა. ამაზე გვიდაგაც გვიდაპარაკენა *) და აქ აღარ მოვისტენებთ, რა შეცდომაა გამეორება ერთისა და იმავე დამარა- გისა, რომ მწერლების უღლისათვის ფეფლია საჭიროა: მაძღარ მდიდრებისაგან მოედიან ქველმოქმედებითს დასმარებას. მოიმე- დენი უნდა დარწმუნდნენ, რომ ქველმოქმედებამ მრავალის ხევწინა- სა და მუდარას შემდეგ არაფერდ ნაერთი არ გაძილოთ და მწერ- ლობას გერაფრით დაეხმარა, დოობით და შემთხვევით მომსდანს გარდა.

ღონე ღიატერატურისა ისევ საღხის ღონე იყო და ის ზენო- ბიოი ძალა, რომელიც მწერლებს ამუშავებდა ამ ნახევად საკუუნესა. საღხის ღონეც უკურად არ იღვიძებს, ზენობითი და მცოდინარო- ბის შემძლებლობაც მწერლებისა უკურად არ ჩნდება. ნაკლებლევანება ღიატერატურისა ამაში ჩას. სასედობირ, სამეცნიერო მცოდინარო- ბა ღიატერატურობისა კოჭლობს. ამის გამო ჩესნებურ შოლემივას დღევანძლობდე კრიატივის მნიშვნელობა არა აქვს იშვიათ შემთხვე- ვას გარდა. კრიატივა და შოლემივა ჩვენში კერვერობით შირად გა- მოდაპარაკებას ჰქონის, სითვლურ, ტეტიურს, სამწერსაროდ დაწმდებურ გაღრით შეზავებულს. ამის მიზეზი ღიატერატურული და ზენობითი უწერთხელობა ჩვენის მწერლებისა. საცალიბულ აზრის განხილვის დროს, მწერალი მწერალის ისე კერ შეკებია, რომ მის პირადობა არ შედასხს. შოლემივაში ერეა კერძო მეზობლური კინგ- ლაბა დაკამოდისძლება, რომელიც ბაზობს თავი დედა საცილოსელ აზრს სიულიად აქარწელებს. ჩვენი მწერლობის გამოვხაზებების დღიდან დღევანძლობდე ეს მანერა შოლემივისა მეტად პბრკოლებდა და აბრ- კოლებს საღიატერატურო შემსახას. ამას მიუმატეთ ის გარემოება, რომ სადაც შოლიტიკური დასებია არ არსებობს და შოლემივას კრიატიული სასიათო არა აქვს, ჩვენისთან პატრია საღხის, რო- მელშიაც ერთმანერთს მეზობლურად ვიცნობთ, შოლემივა თავის ნა- ულოვერ მნიშვნელობას მოკლებულია და ემსგავსება ღიატერატურის უგადრისს მოჩეუბრობას.

*) იბ. „მოამბე“ 1895 წ. № II. „გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის“.

ქართული თეატრი და ლიტერატურა

29

სიღარიბე ნიგოერი, სიღარიბე წოდისა და მეცნიერებისა, სიღარიბე წერისისა,— უგელა ეს გარემობა გვეუძება, რომ ქართული მწერლობა ჯერ იმ განვითარების ხარისხზე არ ასულა, როდესაც უკრნალ-გაზეთები ერთმანერთს არა ჰგანან. დღეს ერთში ერთგარ საჭლელეებას ხედავთ, მეორეში მეორე გვარი. ფილალიგიურ მეცნიერებაში ერთი კოჭლობს, მეორე სოციალურში, მესამე ბუნებით საგნიბისაში, მეოთხე და მეათე სისკვები. სწავლა-განათლება მეტად დაბალ ხარისხზე დგას ჩვენს საზოგადოებაში და ამის გამო მოწინავე გაცემაც თავასთით ხელმოჭლება უნდა იცოდნენ. ამ შეგნებით თუ ჩვენი დაწინაურებული მუშაქი მწერლობაში საზოგადო ინტერესების სამდგილი მცველები, ამსინელები და წინ წაწევის მსურველები არიან, მათ უგელაზე პირველად უნდა შეიგნონ მწერლობის ესლანდელი მდგრამარება, მასი წარსული ისტორია და მომავალი საგანო.

ნავლულებანება წარსულის ლიტერატურისა უნდა გარგად კინოდექანიკით; დირსება და წარმატება მისი დაგაფასოთ, მომავალისათვის კიზრულოთ მისი გმირებულება და დამტკიდება. ქართული ლიტერატურის სიძლიერეს და დამტკიდებას ჟერ გიდებ ზეპირ მუშაობა ეჭირება.

ეს მუშაობა მოითხოვს ბეჭრს მსხვერპლს, ზენამდლებულობას, გონებითს მოწითელობას, მეცნიერებით შეიარაღებას და მსოფლიო ფართო მხედველობას, სიუკარულს და ერთგულებას ქვეყნისას. წარსულ ნახვაზ საუკუნის დიოტერატურის და თაატრის წარმატება იმედს გვაძლევს, რომ მომავალი სკოლა ლიტერატურისა და თეატრისა არ უნდა შედგეს, არამედ წარმართოს და უმეტესად საუთიერი შეიქნეს საზოგადო სიკეთის მოსახლოებლად.


ამ იმედით და ოწმენით დაგუაჭდეთ ლიტერატურის მომავალ სახას და კემსახუროთ მის აუგავებას, ამაღლებას საკუთარის ზენამდლებულობით, წმინდის განზრასულებით, მცოდნარობით და ნათელის აზრებით. ვანც იმეშავა ამ ნახვაზ საუკუნეს მწერლობის დაწინაურებისათვის, ამან არ უნდა თქვას:

ვმხრ მწუხარებით მომავალს,
და ვწევლი უუპად წასულსა.

დორ, განათლება, მეცნიერებას წინსკლა, საქაცობრით მსოფლიო დიდებულის აზრების მუშაობა და მოვენა, აუცილებელი ჩვენი შრომა, უკუღა ეს თავდება მისი, ორმ უკვდავ რუსთველთანა კოქვათ:

მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარ ა ძნელია:
ბოროტსა სძლია კეთილმან, სიცოცხლე მისი გრძელია!

შეტ. უმიკაშვილი



მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე ს

დროის არზა*)

„ქ: ტონ ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს არლუთა-
შვილს! პაპას ქურივს.

ჩვენთ მოწყალევ! პატრონი მამიკვდა და მე დავრჩი მწა-
რედ შეწუხებული. რვა თუმანი ვალი გვაქვს და ქალი გასათ-
ხოვარი. არა მაბალია რა ერთი კამლი ყმის მეტი: ორნი ძმა-
ნი გახლავან ცოლშვილიანი და მუხრანს სახლობდენ.

ამას წინად ჩემი შეწუხება თქვენს სახლოუბუცესს მუხრა-
ნის ბატონს შევატყობინე და ასე მითხრა: კელმწიფისაგან ოქ-
მი აიღე და იმ ყმებზე გულს შეგაჯერებო.

ქურივისა და ობლის მოწყალევ! თქვენის შვილების სად-
ლეგრძელოდ ერთი ოქმის წყალობა მოილევით, ის ყმა გავყი-

*) ეს საინტერესო საბუთი, რომელიც შეეხება ჩვენში ბატონთა და
ყმათა ურთიერთ დამოკიდებულებას, ჩვენ გადმოგვცა ბ-ნმა თ. უორდანიამ.
არზა თეთრ ქალალდზეა დაწერილი, სიგრძე 4 და $\frac{1}{8}$, გოჯი აქვს, ხოლო
განი—2 და $\frac{1}{8}$, გოჯი. თავში თვითონ მეფე ერეკლეს ხელით რეზოლუ-
ცია აქვს წაწერილი. მეორე გვერდზე რუსულად აწერია:

„1820-го года Августа 12 дня. Сей Документъ Верховнаго Грузин-
скаго Правительства въ Экспедицію Суда и расправы явленъ и въ кни-
гу подлинникомъ подъ № записанъ. Въ чмъ Экспелиція на основаніи
предложенія Г. Главноначальствующаго въ Грузіи отъ 12 апрѣля 1817
года свидѣтельствуетъ“.



დო, ვალსაც მოვრჩე და ობოლიც გავათხოვო და მარადის ჩამ
თქვენი მლოცვავი შეიყო. მარტის პგ (26) უფას (1785 წ)⁴.

ამ არზის რეზოლუცია შევე ერეკლესი.

"ქ. ჩევნი ბრძანება არის: მერე ამ არზით რომ ეს ერთი კომლი კაცი მოგიხსენებია, დასტური მოგვიცა. ეს კაცი, ვისაც გინდოდეს მიჰყიდე. მაისის ۱ (10) ქვეს უღებ (1785).

თუ იმ კაცმა იყაბულოს უმამულოდ გასყიდვა, გაყიდოს
და თუ არ იყაბულოს უმამულოდ გასყიდვა, ნუ გაჰყიდის, იქი-
ლან აპყაროს და წამოიყვანოს. ჩეენ კარგა ხანია კელი აგვი-
ლია, რომ უმიმშელოდ კაცი აღარავის გავასყიდვინოთ, თუ ის
კაცი თითონ რაზი არ იქნება. (ბეჭედი) **[ტრაკლი]**

პასუხის პასუხი *)

(დავ. ბაქრაძეს და აკაკის)

1

დიდი სანი გავიდა მას აქით, ორც ჩემი ფელეტონი დაიბეჭდა «ივერია»-ში (20 ივლისი, 1899 წ.), სადაც მე გულასდილად კასასათებდა ზოგიერთს ჩვენს მანეჯრ მოღვაწეებს, და მხოლოდ ასელა გამოსულა საპასუხოდ ერთი იმათვანი, ბ-ნი დ. ბაქრაძე.

როგორც სხანს, ბ-ნ დ. ბაქრაძეს განზრას დაუგვიანებდა თავისი შესუხი: უფიქრია, ამდენ სანს უთუოდ დააკიტებოდათ, ორც ხრი-კები ჩვენ ჩავიდინეთო, და თავისი წერილი თავიდან ბოლომდი სიცრუით აუგისაა, რომ სპეციალ აჩვენოს თავი მკითხველ საზოგადოებას.

მაგრამ შემცდარა ბ-ნი დ. ბაქრაძე: ას წელსაც რომ კიცოცხ-ლოთ დღეის შემდეგ, გერ დაკივიწყებთ საქციელს, რომელიც მან და მისმა «კამპანიამ» ჩაიდინებს.

*) ეს ჩვენი საპასუხო წერილი (თავი I) „ივერიაში“ იყო გაგზავნილი, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზებისა გამო ამ განეთის რედაქციაშ არ იკისრა მისი დაბეჭდვა. ეს არის მიზეზი, რომ პასუხი დაგვიგიანდა, და თუ მაინცადამაინც ვძებეჭდავთ მას, იმისთვის კი არა, რომ ვისიმე ჯიბრი გვჭირდეს: დაით ბაქრაძეებმა და აკაკიებმა კარგად იციან, რომ იმათთან საპირადო არაოდეს არაფერი გვქონია, და როცა საზოგადო საქმეში მათი სიყალებე ვიზილეთ ჩვენი თვალით, მათთან პირადმა კეთილგანწყობილებამ ვერ გაგვაჩუმა—და რასაც გული და გონება გვეუბნებოდნენ, საჯაროდ, მოურიდებლად წარმოვსთქვით მათზე („ივერია“ 1899 წ., 20 ივლისი).

ავტორი.

უმთავრესი საგანი, რომელშიაც ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის განმარტებას ცთილობს, ის გასლაკო, რომ მან ოპოზიციის წევრებს სიტყვა მისცა, თქვენთან კამატედებო, და მეორე დღესკე უღალატა.

ტემი სიტყვა რომ აკასრულე, ამას უოკელი გაცი მიხვდებოდა ჩემი საქციელიც ჩნდა, ბძინებს ბ-ნი დ. ბაქრაძე. დაიდაც უოკელი გაცი მიხვდა მისი საქციელიდან, რომ სიტყვა, რომელიც მან ოპოზიციის აღუთქვა, მეორე დღესკე დაარღვია. სწორედ მეორე დღეს მოხდა კრების თავმჯდომარის არჩევანი, და როცა იმდენმა პატივ-ცემულმა პირმა, თავადმა და აზნაურმა, მოქალაქემ და მემამულემ, ერთი სიტყვით; ჩვენი საზოგადოების უწარჩინებულებას ნაწილმა ახდილ უკუთში ჩაუარა კენჭები წინიდან, ბ-ნმა დავით ბაქრაძემ «უკანალი ინგა», როგორც ირთნიულად ამბობდენ მაშინ მეუკანავე მებნებებზე, და ფარულად ჩააგდო კენჭი.

ამში ბ-ნი დ. ბაქრაძე თავს იმით იმართლებს, რომ კრების თავმჯდომარემ «გამოთაცხადა, რომ კენჭის ურა უსათუოდ დაფარული უნდა იყოსთ», და «მე, როგორც ძეველს მსაჯულს, არ შემშენის კანონისა და საზოგადო წესის დარღვევათ» და სხ.

ერთი ეს გვიბრძანოს ბ-ნმა დ. ბაქრაძემ: რომელ კენჭის ურაზე ამბობს ის? მე მას იმაში კამტუენებ, რომ სწორედ საზოგადო წესი დაარღვია და, რაც კრების უმეტესმა ნაწილმა და უწარჩინებულებამ პირებმა ჩაიდინეს, იმის წინააღმდეგ მოაქცა — და კენჭი ფარულად, უპერ კოქათ, «პარულად» ჩააგდო მაშინ, როცა სიტყვა მაცემული ჰქონდა ოპოზიციისათვის, რომ თქვენთან კიქნებით! სად იყო მაშინ ან სკანდალის შიში და ან კრების თავმჯდომარის გამოცხადება?! მე კამბობ პირკელ არჩევანზე, როცა კრების თავმჯდომარეს კირჩევდით, და ბ-ნი დ. ბაქრაძე კა სიტყვას ბაზე აგდებს და უკანასკნელი არჩევანის, კ. ი. ბანების თავმჯდომარის არჩევანის ისტორიას მოგვითხრობს!.. ეგებ ფიქრობდა ბ-ნა დ. ბაქრაძე, ეს წკრილმანები ამდენისას დაკიწყდებოდათ და სიცოცვები კერ დამიკურენოდა?! ძალიან შემცდარა!

აქეთ ისიც უნდა მოვახსნოთ ბ-ნ დ. ბაქრაძეს, რომ მას, როგორც მკელ მსაჯულია, არ მიგოვება, რომ კანონიც თავ-უკულმა ესმის და საზოგადო წესიც კერ შეუგნდა. როგორ არ იცის, რომ

დასურული კენტის ურა იმათვის არის მოგონილი, კინც რაიმე გარემოებით ერიდება ასარჩევ შეძლეს: ან ეშინა მისი ბოროტ-მოქ-მედების, შერისძიების, გადამტერების, ან ერიდება მასთან ნათესა-ობრივის ან მეგობრული კავშირის დარღვევას და სხ. და თუ კა ამინჩეველს იძლენად მოქალაქებრივი სიმამაცე აქვს, რომ არაფრის ეშინა, მაშინ თავის კენტის, რა თქმა უნდა, არა დაფარავს.

ასე ესმოდათ ჩვენში კენტის ურა ყოველთვის, და დასურული კენტის ურის დროს ყოველთვის ამოჩნდებოდა მრავალი მეცნეტე, რომელიც თავის კენტებს არა ფრავდებს; მაგრამ ამისთვის მთავ-რობის არათვეს არ უცემია უცანონოდ არჩევანი.

ამისთვანა საზოგადო წესი გახლდათ მიღებული ჩეკნს წარ-სულში და ახლაც ამ საზოგადო წესით მოვიქეციოთ. მაშიადმე, კინ ყოფილა საზოგადო წესის დამრღვეველი: ჩეკნ, თუ ბ-ნი დ. ბაქრა-ძე? ის გვარმებს, თითქო ჩეკნ ძეელი ისტორია არ გვინდოდეს და წარსულ დროს არ კავდებდეთ თვალს! უნდღივდ მაგონდება ის მა-იმენი, რომელმაც სარკეში თავისი მასინჯი სახე დაინახა, სხვისი ეგონა და ამბობდა: «ფუ, რა მახინჯათ!»

ბ-ნ დ. ბაქრაძეს ერთი მართალი გარემოება შექმარება თავის წერილში,—აღსად ჰკონებია, რომ ეს გარემოება იმის სიმართლეს ასსინდა, მაგრამ, პირიქით, სწორედ მასეკე ამტეულებს.

იყო დასი, რომელიც ფაქტობდა ორივე კანდიდატის გამაკე-ბასო, და მერ იმ დასში კერძოო! თვით ბ-ნი დ. ბაქრაძის წერილი-დან წასადად ჩანს, რომ ამ დასის მიზნის ასასრულებლად მეცადი-ნობდა ის მას შემდეგ, რა რომ უკედა მაზრის წარმომადგენლებს, მას მიერ, როგორც თვით ბძანებს თავის წერილში, ძლიერ პა-ტივცემულ კაცებს», სიტუა მისცა, თქვენთან კიჭნები და თქვენი მიზნის თანხმედ მოვამცევით.

აა, სწორედ ბ-ნ დ. ბაქრაძისთვა კაცზე იტევიან: «ურა, ნუ ფიცულობო, და არა ღმერთმახითა! ბ-ნი დ. ბაქრაძე ფიცულობს, ჩემი სიტუა აკასრულე, ღალატი რას მიქვიალ, და თვითონვე გა აცხადებს, რომ თრივე კანდიდატის გამაკება მინდობდა! ამ სიტო-ჭონების დამწერი თვით არის მოწმე, თავისი თვალით უკურებდა, რომ ბ-ნი დ. საქრაძე უკანასკნელი არჩევანის დღეს ქალაქის ბაზა-

ტრიალობდა, ზემოხსენებულ დასთან მოციქულობდა,—ერთი სიტ-
უკით სულითა და გულით ემსახურებოდა ორივე კანილატების-
გაშავების მიზანს, და ემსახურებოდა იმ წეთამდი, როცა საარჩევა-
ნო დარბაზის ქარები შეაღეს და არჩევანი დაიწყეს.

ამ სახით გამოდის, რომ კრების თავმჯდომარის არჩევანის
დროს, როცა მოელმა თპზიციამ და მრავალმა მოწინააღმდეგებ შა-
რტიის წერილი ასდილად ჩააგდეს გენტები, ბ-ნმა დ. ბაქრაძემ სად-
ლაც სიბრევეში ჩააპარა თავისი მარჯვენა და სახე-გავითოებული
გამობრუნდა უკან, და როცა ბანქის თავმჯდომარე უნდა აგერჩიდა,
საარჩევნო უკოთხს მისვლამდი სულ იმს ფიქრობდა, რომ ური-
შე განდილატი გაემავდინა (ლოდიკა იმს გვეუბნება, რომ თავის და-
უინებულ აზრსა და განხრასებას უკოთხანაც აღარ შესცვლიდა—და-
უთულა თრიკე განდილატის შავი გენტი ჩაუგდო). ორივე ეს საქ-
ციელი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თპზიციის მოქმედებასა და
მიზანს, და, მაშასადამე, რა საფუძვლით გაიძახის ბ-ნი დ. ბაქ-
რაძე, რომ ჩემი სიტყვა აკასრულეო?! კი უნდა აუსკოის თვალი
თავისი ამხო ფიცით? უკედასთვის ცხადია, რომ მის ამგერა საქ-
ციელი სსკა სახელი არ შეიძლება კრწოდოთ, თუ არა პარტიის
ლალატი.

ასეთა უნდა კვითხოვთ ბ-ნ დავით ბაქრაძეს: როგორ ინ-
სებს იმ თავსლატის შირთბის ასრულებას, რომელთაც თავისი წე-
რილი ისე დარბასისლურად დაასრულა?

ამ სასით ჩექნ საქმაოდ გამოვარკებით, რომ ბ-ნმა დ. ბაქრა-
ძემ საზოგადო საქმეს უდალატა, თავისი აღოქმა დაარღვია და ოპო-
ზიციის წინააღმდეგ მოქმედობდა.

ასეთა დაგრჩენია გამოსარკვევი შემდგა საჭითხი: თუ კი
ოპზიციას ეწინააღმდეგებოდა და კიდევაც უდალატა ბ-ნმა დ. ბაქ-
რაძემ და აც მეორე მხრის ქანდილატი უნდოდა, მაშინ რისთვის-
ჩაერთა საქმეში და რა მიზანს ემსახურებოდა? თუ ორივე კანდილა-
ტი უნდა გაემავდინა, მაშ კინ იყო მესამე ქანდილატი, რომელიც
მას უნდოდა?

«უკედამ იცის, რომ ჩემი განდილატი იუგნენ დ. სე—ლი და-
თ. ა. ერ—კი»—ო, ბძანებს ბ-ნი დ. ბაქრაძე. ად კიდევ სიცოდეს

კოდევ თვალის ახევის წადაღი! თ. ა. ერ—ვა მარტო დ. ბაქრაძის კი არა, მთელი ოპტიციის კანდიდატი იყო. მაგრამ ა. ერ—მა უარი გააცხადა კანდიდატობაზე მას შემდეგ, რავი ის ფოთის საკრედიტო ბანკის თაქმულობის მინისტრის მიერჩის. რაც შეეხება ბ-ნ დ. ხე—ლს, ისიც ჟეკი მსედველობაში ოპტიციის, მაგრამ იმანაც გადაჭრილი უარი გააცხადა. მაშასადამე, რა დოლიგით ბრძნების ბ-ნა დ. ბაქრაძე, რომ ჩემი კანდიდატები დ. ხ—ლი და ა. ერ—ვა იუკნენო? რაგვარად შეიძლებოდა იმათა კანდიდატობა მას შემდეგ, რაც იმათ გადაწყვეტილი უარი გააცხადეს და რაც ოპტიციამ თავის კანდიდატად ბ-ნი დ. ა. ლოროვიანიმე აღარა საკაროდ?! ეს სომ ოპტიციის დაზატი იქნებოდა, და იმისონა საქმეში დ. ხე—ლი და ა. ერ—ვა, რა თქმა უნდა, დ. ბაქრაძეს გვერდს კერ დაუმშენებდნენ.

უკედა მისკვდება, რომ ბ-ნმა დ. ბაქრაძემ, როისე კანდიდატის გაშეება იმიტომ მოიწადინა, რომ კანდიდატად თავისი თავი ჟურლის მსედველობაში, და არა სხვა კინძე. ამ საქმეში რომ დ. ბაქრაძის შირადობას აღიალი არა ჭირობდა, რომელსაც ის უკედაზე და უკედაზე უფრო მაღლა აუნებს, მაშინ ბ-ნ დაკათ ნაკადაბის, როგორც ძეგლ მსაჯულს», უნდა სცოდნოდა, რომ საზოგადოების უკედა წერი შატრივისცემით უნდა ეპურობოდეს თანასწორთა შორის უმრავლესობის აზრს, და, მაშასადამე, დ. ბაქრაძეს, თავისი შირადი აური უნდა უარესო, როცა ოპტიციის კრებამ ერთხმად აირჩია სხვა კანდიდატი. მაგრამ აკი მოგასხესწეო, რომ ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის შირადობას უკედაზე უფრო მაღლა აუნებს და თავისი თავი არა თუ იმერეთში, როგორც თითქო თავისი ბლობის თავის წერილში, არამედ მოედ საჭართველოშიც უკედაზე უსახლოებანესად მიაჩნია...

ბ-ნს დ. ბაქრაძეს მოჟყავს თავისი წარსულიდან გარემოებანი იმის დასამტკიცებლად, თითქოს მას არაოდეს არ სურვებოდეს სხვადასხვა თანამდებობაზე ჭენჭის ურა და უკითის დადგმა, რომ მას კითომ უოკელოვის კალთას აგლევდნენ, და მაინც უარზე იღგა. ბ-ნი ნ. ბ. ღოლობერიძე რა მოციქულებს უგზავნიდა ბ-ნ დ. ბაქრაძეს, ჩეკენს არ ვიცით, და ეს კი ვიცით მისი წარსულიდან, რომ უკ-

თის დადგმაზე ბევრი ხელშია არ სჭირდა, — პირიქით, თუ არ დაუდით, ჰავრით გულზე გასკედება; ოღონდ უკთი ღაუდვით, კნიტა უკარეთ — და თუნდ ათასჯერ უორანიგით გაამართ, იმას არ იდარების.

«წრეულსაცო», ბძანების თავის წერილში ბ-ნი დ. ბაქრაძე: «გამისმო გალისტრატე ჩიგვაიძემ და მათხრა, რომ, რადგან უინსა და პირადობაზე მიჰყავთ საქმე, გენტს გიური სხვასთან, ვინც უნდა იქნეს, ერთი თეთრიც რომ არ მომივიდეს, მაგრამ თუ შენ ისურებდ, ამდენის უსამოგნების და განხეთქილების მოსასპობლად ჩექნს საზოგადოებაში, შეგწირავ მსხვერწლისა და დაგომობით ადგილებით; მარა მე უარი კუთხარი. იქ იყვნენ იმ დროს დუალისაბ თ. დოლუა, ივანე ჭ. ჭავანი და ერთი ვიღაც ჩექნებურად ჩატელი უმატვილი გაცი, რომელიც ადარ მასსოვს *). ლაშარაკი მოსდა ღთახის მეორე კუთხეშია-ო და სს. უნდა მიკუდოულოთ ბ-ნ დაკ. ბაქრაძეს ამისთვის «ეკმიანია შია უოფნა და თათბირობა! ბ-ნი დ. ბაქრაძე თვითონ ცდილობს თავის წერილში, დაგვარწმუნოს, რომ ეს ამბავი მართალია, და თუ მართალია, რას უნდა მიგაწეროთ ბ-ნი დ. ბაქრაძის თათბირობა და კუთხებში ჩერჩული გალისტრატე-ლოლუა - ჭავანებთან?!

ალბათ დიდი მეგობარია იმათი, თუ რომ ბ-ნი გალისტრატე ჩიგვაიძე მისთვის უკედაითობის დათმობას აპირობდა; და თუ რომ დაკ. ბაქრაძე იმათი მესაიდუმდე და მეგობარი იყო, ლპოზიციასთან რადა ხელი ჭიანდა?!

ახდა ღრიოდე სიტეკა ბ-ნ დ. ბაქრაძის ყოყოჩიბასაც უნდა კუმღენათ, რადგან ეს კაფასტონი თვითონ გვიწიების თავისი წერილის მეტიზრული კილოთი.

ბ-ნი დ. ბაქრაძე მეტად გაუბრაზებია იმ გარემოებას, რომ სილოკანებმა, რომელიც, როგორც თვითონ ბრძანების თავის წერილში, «წრეულს საღლაცალიან (სადაური ენა?!) ამოძრუნ, როგორც ნაწილშიაზე ჭიაღუნია-ო, გაუბენეს დაკით ბაქრაძეს, ამ ბუშიერაზ-

*) „კამპანიის“ და ჩატელობის აწერილობით ეტყობა, რომ ჩოხანი — ბ-ნი პაცილე ჩხეიძე უნდა ყოფილიყოს.

მოღვაწეს, სმის ამოღვა!.. ეს კინ არის ეს სილოვანი, კიცოდე
მაინცარა, გაიძახის ბუმბერაზა-მოღვაწე, და აქეე დაცინების გადოთი
ისსენიებს ჩემს მოშაირობასა და მთელს ჩემს კინაობას.

კერ ერთი ეს უნდა კეიითხოთ დაკით ბაქრაძეს: რა შეაში იყო
აქ ჩემი მოშაირობა? კოტეათ მე სუსტი მეშარე კარ, მერე დაკით
ბაქრაძეს ამით განა შერჩება მისი უადგი მოქმედება?! ან რა დაკით
ბაქრაძეების საქმეა პოეზიის საკურთხევეში შეხედვა?

ნება მომეცით, პატივცემული მკითხველი, მოგახსენოთ, რომ
ბ-ნი დ. ბაქრაძე დღემდი ძღიერ გრიგად მაცხობდა და სიამოვნებია-
თაც შემხვდებოდა უკუკლებან, და დღეს კი ჩემი უკუკლიფერი ათ-
გადისწენა; მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, თუ რად ამიოვალისწენა.
როცა ბ-ნი დ. ბაქრაძე წრეკასდელი არჩევანების მეორე დღეს ჩამ-
ლებრივი ღრეულით შემხვდა და ხელი გამომიწვდინა,—არ ჩამოვართ-
ვი ხელი და მიზეზიც აუგისხინ, სახელდობრ—მისი სიყალით
მოქმედება წრეკასდელი არჩევანების დროს. ბ-ნი დაკით ნიკოლაიჩი,
რა ოქმა უნდა, გაბრაზდა, და იმ დღეს შემჩენები მე მის თვალში
უნიჭოც კი შეგიძენი და ნაწილარზე ამოსული ჭია-ღუაც, თორებ
მანამდი არც ერთი არ კულტიღვარ.

ბ-ნი დ. ბაქრაძე უფრო დამშვიდებული იქნებოდა, რომ უგელა
ის, რაც ამ კაებატონზე მე წარმოგთქვი, მარტი იმისთანა წკრილ-
მანი მოშაირისა და უმნიშვნელო ციალუებისა აზრი იყოს, როგო-
რებიც, კოტეათ, სილოვანები არიან. მაგრამ დაკით ნიკალაიჩის უქ-
დურება ის არის, რომ მთელი ოპოზიცია ამავე აზრისა არის იმაზე.
დურება

მართლაც-და, ესინ არის ეგ დაკით ნიკალაიზი ბაქრაძე, გაცო-
დეთ მაინცა? კიკითხავთ ჩემნი ჩემნი მხრით.

ბ-ნი დ. ბაქრაძე გახლდათ მსაჭულა და ისე ასრულებდა ამ
თანამდებობას, როგორც უკულა სრულიად ჩემულებრივი მსაჭულა
ასრულებს ხოლმე მას.....

ბ-ნი დ. ბაქრაძე გვისაუკედურებს თავის წერილში, რომ ჩემს
წარსულს არ კითხულობა, ჩემს საქმებს არ ცნობილობოთ და
ამიორმაც ღირსეულად გერ გვაფასებოთ... მაღიან დაგვაფიქრა ამ
საუკედურში — და დაგვირკებით გადაუფურცლეთ ბ-ნ დ. ბაქრაძის წარ-
სული.

ა ა ადმინისტრაცია.

ბ-ნ დ. ბაქრაძე თავიდანეუ ჩექნის მოწინავე გაცია წრეში ერთა. თუმცა მას სოფერი გაცემი ამბობენ, ოომ ერველთვის წინადაც თავის აზრს უკეთასაზე უფრო მაღლა აუქნებდა და ჭირებულობდათ, მაგრამ მაინც გარე მხარედ უნდა ჩაეთვალოს; ბ-ნ დ. ბაქრაძეს უნდარო მოღვაწეობისადმი დატოლებიდება და მათთან ამსახავობა. სშორად ბ-ნ დ. ბაქრაძეს, ოოგოროც საქმის ქადაღების წერაში გამოცდილ მსაფულის, მისნდობდნენ სოლმე სხეგა-და-სხეგა ქადაღებისა თუ პროექტების დაწერას. ამასთან ჩექნის მწერლისაშაც მიუღია მას მონაწილეობა: ორიოდე წერილი გაზეთ დღიურებაში დაუბეჭდებს და გადამ გაზეთ «შორმაშია სწერდა საპოლიტიკო წერილებს.

სულ ეს არის, გაუზიადებდად და დაუმცირებდად, ბ-ნ დ. ბაქრაძეს მოღვაწეობა საზოგადო ასპარეზე, და მკითხველიც დაგვეთანხმება, ამასთანა მოღვაწეობა არ არის საქმარისი, ოომ გაცმა თავისი თავი დიდებულ მოღვაწედ ჩასოფალოს და უოუჩობა და ბეჭედნებურვა დაიწერას. აქეთ ისიც უნდა დავძინოთ, ოომ საზოგადოდ უანგარო ნამდვილი მოღვაწე არაოდეს გვეხნასა და უოუჩობას არ იყალობს.

თუმცა, ოოგოროც სედავს მკითხველი, ბ-ნ დ. ბაქრაძეს წარსული იმისთანა არ ერთვიდა, ოომ რაიმე კეთილ დაქნინობის ჩექნის ცხოვრებაში, მაგრამ მაინც არ დაგვივიწებდა ჩექნ გველა ეს—და სწორებ ეს წარსული ქქნდა მსედველობაში ოპოზიციას და ამიტომ მაუგზავნა ბ-ნ დ. ბაქრაძეს დეპუტაცია. თუმცა დიდ სახელოვან გაცად არაოდეს არ სთვლიდა ოპოზიცია ბ-ნ დ. ბაქრაძეს, მაგრამ მაინც გული სტერილუდა მისი მოცილებით, რადგან ერველთვის ოპოზიციის წერილ ითვლებოდა. კიბერული, ბ-ნ დ. ბაქრაძეს სექნებული წარსული არ დაგვივიწებდა შარშანდღამდი, და შარშან კი იმისთანა «დგაწლია ჩაიდინა, ოომ წარსელი სულ დაგვაკიწეა, და სიტუაციას კაძლევთ ბ-ნ დ. ბაქრაძეს, ოომ მის შარშანდელ «დგაწლია არაოდეს არ დაგვივიწებოთ.

ა ა, სწორებ სულ ეს გახდავთ დავით ბაქრაძის «წარსელიც და აწმეოც», და თუ ამას შემდეგაც სიღოვანებს მაინცა და მაინც

ჭია-ღუებად ჩასთვლის, მაშინ სიღოვანები ა რას მოასსენებენ და-
კით ბაქრაძებს:

თუ კი გამოჩნდენ, თაყვანს ესცემთ
ავთანდილს, ფრიდონს, ტარიელს..

დაგვხოცოთ—დიდ ფასს ვერ დავსდებთ
გაბერილ გუდას ტარიელს...

სად ნახეთ, რომე გაბერვა
სიცარიელეს შველიდეს?!
«მისთანა ფურმა დაგვწიბლოს
ჩვენზე მეტს მოიწველიდეს!»

xx

აკაკიძაც გამოალაშქრა! დღემდი სიტკიირზდ, შინაურულად
აშეკიდებდა თავის მეგობრებს და თვითონაც გუდს ასე იმშვიდებდა:
დარს განა ვიღაცა სიღოვანებს პასუხა გაკეცეთ?! დღეს კა კუდარ
მოუთმენა—და თავის «კრებულში» ბრძანებს: კინ არის ეს სიღო-
ვანი? ან წარისულში რა გაუქეთება, ან მომავალში რას გვიჭადისო?
და თანაც, თითქო ჩენ გვამჯიბრებოდეს, კაიძახის: «რა ბარგი მა-
უძღვის სიღოვანს სამშობლოს წინაშეა?

თუ ნაწერების რაოდენობა აქვს მხედველობაში ბ-ნ აკაკის,
რა გასაკირკელია, რომ ჩენზე ბეკად უმეტესი ბარგი მაუძღო-
დეს მას? აკაკიმ რომ კალამს მოჰქიდა სელი, მას შემდეგ აგრ რო-
მოცი წელია სრული, და ამ რომოცი წლის განმავლობაში აკაკის
სხვა არავერთ საქმე ჴქონია, კალამი ეჭირა სელში და სწერდა, რაც
მოთდგებოდა ენაზე. ნიკოირი სიღარიბე მას არ აწესებდა იმ სა-
ნებში—და ამიტომ ჩინოვნივობაც არ დასჭირება; მაშინდამე,
მთელი რომოცი წელი სრულ მას განგარებულებაში იყო, და რატომ
გვრ შეაგროვებდა დიდ ბარგეს?! ამა ერთი ჩინნისავით ღუბმა პურის-
თვის სამძიმო სამსახურში ჩაეტანილიყო, და მაშინ დაიხსავდა, რა
წერის გუნდაზე იქმნებოდა; მაშინ, რა თქმა უნდა, ბ-ნი აკაკის
ბარგიც ასლანდებზე ბეკად ნაკლები იქმნებოდა.

და თუ რომ ნაწერების ღირსებაზე გვიძებანებს ბ-ნი აკავი, მა-
შინ უნდა მოვასესენოთ, რომ ჭეშმარიტი კრიტიკა კურ-კურობათ
ჩენებში არ არსებობს, და როცა გამოჩნდება, ვინ უწევის, რას იტ-
ევის ბ-ნი აკავის ბარგზე? ჩენ ასე გვგონია, რომ ამ ქებული ბარ-
გიდან, როცა მიუდგომელი კრიტიკა იმას თვალწინ გადაგამდის
და გადაგვითებს, ძალიან ბეჭრის ქარი მრატაცებს და შორს, შორს
გადაჭერარგავს უგზო-უკედოდ, და ამ სახათ ეს გაება ბარგი მეტის
მეტად შემცირდება...

რასაკვირველია, იმას შემდეგაც დარჩება აკავის ბეჭრი იმისთა-
ნა საგულისხმო ნათქვაში, რომელიც უკედავია ქართველისათვის.
მსღლოდ ეს გი არის, რომ, სანამ აკავი ცოცხალია, ძეგლი კი
აიშენებს, რადგან არავინ იცის, რომელ აკავის დაუდგას ძეგლი:
მგოსანს, რომელიც სიტყვით ტებილ დექსებსა სწროს, თუ მო-
ლეაწეს, რომელიც მოქმედებით საზოგადო საქმების თავდაღმა ამ-
ხობს?!

აკავი აწყოდია დაკ. ბაქრაძეს და გაიძახის: «ინ არის ეს სი-
ლოგანიო?..» თუმცა ორივე ძალიან კარგად მიცნობს, ვინცა კარ,
ორივე მეგობრულად მექცეოდა, სანამ მათ საზოგადო საქმის და-
დატს არ კამხილებდა.

მაგრამ ესეც საჭიროა, ვიგითხოთ, თუ რისთვის დასწირდათ
ბმ. დაკ. ბაქრაძეს და აკავის სილოგანის ვინაობა? ვითომდა სილო-
განი რათეური სახელოვანი კაციათ და მის აზრს ვინ მიაქციეს უკ-
რადღებასთ? როგორ ბაკშერად იმჟიდებო გული, ბ-ნით დაკოთ
და აკავი!! სილოგანი, კოქიათ, ძალიან მცირე და უსახელო კაცია,
მაგრამ რაც მან დასწრა თქებზე, უკელამ უკრადღებით წაიკითხა
და უკედას ექამნიდა მათი აზრი თქებზე, რადგან ეს აზრი სილო-
განის საკუთარი აზრი კი არ გასდაკო, არამედ მთელის ჩენი სა-
ზოგადოების პირუთენელი ნაწილის აზრია.

ამ სახათ ჩენ უფრო მეტადრი საფუძველი გაძეგს ვიგითხოთ:
ვინ არის ეს აკავი, სილოგანებს რომ ჰავაცხავს? ის აკავია, რომე-
ლიც სწროს:

„მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“-ო,
„გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმო ვაჟლერო“-ვო?

ბასუნის ბასუნი

თუ ის აკაკია, რომელიც დოლუა - კალისტრატებს გვერდში უდგას და აქეზებს და ამსხევებს იმათ საზოგადოების გაბრიუგებასა და ზნეობით გარეუნაში!... ან კიდევ ის აკაკია, რომელიც პენტის მიუღებლობის დარღმა სულ დაჭლება, საზოგადოების წინაშე თავი მოიკატენა, სამკურნალოდ საზღვარ-გარედ წასკდა მოგონა.....

ერთი სატეგით — არ კიცით: რომელ აკაკისთან დაკიტიროთ საქმე, და იმის მაგიერ, რომ აკაკიმ სიღოვანის გიხარბა იძიოს, უმჯობესია — თავისი გიხარბა გაგაცნოს გარემოებად.

აკაკის ამ უკანასკნელ წლებში გეღარეც ნაწერებში კცნობდიღობთ. წინად ის სულ სამშობლოსა და მაშელის გაიძახოდა პროზაშიაც და ლექსებშიაც, და ახლა კი პენტისა და რაღაც მებენარების პოეზიაში გართვება და მოუღვარებებისა თხზავს პენტიაზე თუ სხვა-დასხვა მებენარებზე. თუ არ გვერათ, გადაათეალიერეთ აკაკის «კრებულისა» ნომრები და ნასაკო, რომ, როგორც პენტის, ისე მებენარებს მის პოეზიაში ფრიად დიდი აღაგი უწირავთ, 1899 წლის სემრემბორის ნომერში მაინც ერთობ შეწუხებული წუწუნობს, რომ მებენარები დამეხსიერო....

სიღოვანი

የኢትዮጵያ ፌዴራል ደንብ

ପ୍ରକାଶକ

五*)

არიან პირები, რომელნიც მწუხარების დროს მხიარულნი არიან და მხიარულობის დროს მწუხარენი—*in tristitia hilarares, in hilaritate tristes*. პარნელიც ამ გვართაგანი იყო. თავის უძნელესს წიმებში იგი აკვირებდა მახლობლებს სრულის აღუშფოთელობით, მხნეობით და თავის თავის იმედით. გამარჯვების, ტრიუმფის დროს კი სევდიანობა და მოწყყნილობა ეტყობოდა. მისი სული, გრძნობა ყველასთვის საიდუმლოებას შეადგენდა, რადგანაც ახლო პირებთანაც კი გულ-ჩათხრობილი იყო. პარნელიტები მარტო პალატაში ხედივენ მას; თავისს ადრესსაც კი არავის ატყობინებდა. რას აკეთებდა პალატის გარეთ, არავინ იცოდა; მისი კერძო ცხოვრება ყველასათვის საიდუმლო იყო. არავის არ უნახავს იგი იღელვებული, აღშფოთებული. მიუხედავად ამისა, არავის წამოსცდენია, რომ პარნელი, ეს თითქმის ღმერთი ორლანდიელებისა, საქვეყნოდ სახელგანთქმული გმირი, ბედნიერია და კმაყოფილი თავის ხევრისო. რაღაც ტრაგიკული ბეჭედი ემჩნეოდა მთელ მის არსებას, იგი თავის დღეში არ ყოფილა საესებით რითომე გატაცებული; გაცხარებული კამათის და სჯის დროს, იგი უცბად შესწყვეტდა ლაპარაკს და მოღუშული ჩაფიქრდებოდა, თითქოს რამეს ივონებს ან ყურს უგდებსო.

*) ob. „Знахъ“ № XII 1899 г.

ჩარლზ შარლედი

80-ნი წლების დამლევს მისი ყოფაქცევა კიდევ უფრო უცნაური და გაუგებარი შეიქნა. ხშირად შუა სესიის დროს ის წავიდოდა ლონდონიდან და არაენ იცოდა, ხად წავიდა, ან რამდენი ხნით; ხშირად სხვა-და-სხვა ადგილის სხვა-და-სხვა გამოგონილ სახელს ირქმევდა. თუ პარნელსა და მისს პარტიის შორის არასოდეს არ ყოფილი მაინც და მაინც ახლო დამოკიდებულება, ეხლა (1888—1890) ის სრულებით შესწყდა. მისი მიხვრა-მოხვრა და მოქცევა ყოველთვის უბრალო, მაგრამ შნოიანი იყო, ეხლა კი მისს ხმას—რაღაც სიმკაცრე ეტყობოდა, მისი მოქცევა შეტაც მკვანე შეიქნა. ზოგი ამას იმ გარემოებას აწერდა, რომ პარლამენტში სიმშვიდე ჩამოვარდა და მართებლობას და მის მომხრეებს სურვილისამებრ ვეღარ ებრძოდა; ზოგნი ამბობდენ, რომ პარნელსა და გლადსტონს შორის რაღაც უთანხმოება ჩამოვარდაო... ეს უკანასკნელი აზრი მეტის-მეტი შემცდარი იყო, რაღვან გლადსტონმა, „Times“-ის დამარცხების შემდეგ, არ იცოდა, როგორ და რა რიგ გამოეცხადებინა თავისი თანაგრძნობა და მეგობრობა ახალი მოკავშირესათვის.

საზოგადოდ შოტლანდიასა და ინგლისში ბექრნი ცდილობდნენ დაენახვებინათ პარნელისათვის მისი გამარჯვების შემდეგ თავიანთი თანაგრძნობა. მაგალითად, ქალაქ ედინბურგშა საპატიო მოქალაქედ ამოირჩია; ლონდონელ ლიბერალთა კლუბი დიდი ალტაცებით მიეგება მისს სიტყვას ინგლისელ ადმინისტრაციის წინააღმდეგ ირლანდიელ პოლიტიკურ დამნაშავეებთან ცუდად მოქცევის გამო. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „Times“-ის დამარცხება პარნელზე უფრო ლიბერალებმა გამოიყენეს; ირლანდიელებსაც უნდოდათ ესარგებლნათ პარნელის გამარჯვებით და დიდადაც უკვირდათ, რომ მათი წინამძღვრლი არ ცდილობდა ესარგებლნა საესებით თავისის მართლაც და ბრწყინვალე მდგომარეობით. მაგრამ პარნელს ისე გულწრფელად და ღრმად ეზიზლებოდა მთელი ეს მისს წინააღმდეგ გამართული ინტრიგა, რომ მტრების დამარცხებას სრულებით გულგრილად უყურებდა და მცირე ყურადღებას აქცევდა მათ. ეს ხომ

უფრო დიდს პატივს სდებდა პარნელს ინგლისელ საზოგადოების უმეტესობის ფალში; და რადგან პოლიტიკაში რაც უფრო სწყალობს ბედი ერთს მოკავშირეს, მით უფრო კარგად ეპყრობა მას მეორე, ამიტომ ლიბერალებიც მეტის-მეტად გრძნობიერად ეკიდებოდნენ პარნელს 1889 წ. გლაცტონმა საშობოდ ჰოვარდინში დაპატივება პარნელი და იგიც ესტუმრა და აქ ორთავებ ჰომრულის შესახებ იბასეს, ამ ბაასის დროს აღმოჩნდა, რომ გლადსტონის ჰომრულის ახალი პროექტი ირლანდის პოლიციის მართვას ინგლისის სამინისტროს უტოვებდა, აგრძელები კითხვაც და მისი გადაწყვეტაც იმპერიის პარლამენტის ხელში უნდა ყოფილიყო. პარნელმა ამაზედ შენიშვნა, რომ საშობოია, ეს თუ ირლანდიელები ისე გულწრფელად არ დაეხმარნენ გლადსტონს, როგორადაც საჭიროა. მაგრამ, რადგან ჰომრულის შესახებ კანონ-პროექტის ახლო-მომავალში შეტანა შეუძლებელი იყო, მათ ბაასს უფრო თეორეტიულის სჯის ხასიათი ჰქონდა.

გლადსტონიდან პარნელი ედინბურგში წავიდა; აქ მისს პატივსაცემლად გამართულს მიტინგზე მიართეს მას 3,000 გორეანქა სტერლინგი პროცესის ხარჯის დასაფარავად. მოკლე ხანში „Times“-ის რედაქციის უნდა გადაეხადა მისოვის 5,000 გირვანქა სტერლინგი; ასე რომ, პარნელის ქონებრივი მდგრადიება მეტად კარგი იყო. პარლამენტში კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოელოდა მას—ეს იყო გლადსტონის სიტყვა; მოხუცმა ლიდერმა წინადადება შემოიტანა:—გამოეცხადოს ოფიციალურად გაზ. „Times“-ს პარლამენტის საყვედლი და გულის წყრიში იმ ცილის-წამებისათვის, რომლის მსხვერპლიც კინაღამ გახდა პარნელი, და ამ უკასასკნელს კი—თანაგრძნობა. ამ წინადადების განხილვის გამო მომხდარ დებატებშა ერთხელ კიდევ დაანახვეს ქვეყანას, თუ რამდენად სძულდათ პარნელი კონსერვატორებს და უნიონისტებს. ესენი ამტკიცებდნენ, რომ ირლანდიის ბელადმა არ უარ-ჰყო ფენიები, თუმცა მშეენიერი შემთხვევა ჰქონდა ამისათვის. გარდა ამისა, უთითებდნენ ჯაშუშ ტომას ბიჩის ჩენენებას, რომელიც ამტკიცებდა

რომ პარნელის დამოკიდებულება ჰქონდა ფარულ საზოგადოებებთან. უმრავლესობის გრძნობის გამოშხატველი იყო კონსერვატორი ფულტონი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „არა, ეს ყველაფერი (პარნელის გამარჯვება) სრულებით საქმარისი არ არის, რომ ჩენ თანაგრძნობა და სიმპატია ვუძღვნათ მისტერ პარნელს“, და როცა ირლანდიელმა სიქსტონმა შენიშნა, რომ პარნელი არ არის ამგვარების მთხოვნელი, ფულტონმა უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ მისტერ გლადსტონი თხოულობს მის მაგიერ“-თ. სოლსბერი და მთელი სამინისტრო დაუკინებით გაიძახოდა, რომ პარნელი ზნეობრივიდ არ არის გამართლებული და არც სურის გაიმართლოს თავიო. ლიბერალები გლადსტონის მეთაურობით, მტკიცედ და მხურვალედ იცავდნენ თავიანთ აზრს. მეტად შესანიშნავი იყო იმ დღის პარლამენტის სხდომა: მან ყველასახვის თვალ-საჩინო გახდა ის ლრმა ცვლილება, რომელიც პარნელმა მოახდინა ანგლისის პოლიტიკურ დასთა დამოკიდებულებაში: ლიბერალ-უნიონისტები მეტის სისასტიკით ეკამათებოდნენ თავიანთ ყოფილ ამხანაგებს, ვიდრე კონსერვატორები, გლადსტონი და მისი მომხრენი უფრო ცხარედ და მხურვალედ იცავდნენ პარნელს, ვიდრე ირლანდიელები. ბოლოს, რასაკეიირველია, კონსერვატორებმა და უნიონისტებმა შეადგინეს უმეტესობა და გლადსტონის წინადადება უარ-ჰყვეს. გლადსტონის მოქმედებამ მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისშიაც და საზღვარ-გარედაც; კენჭის ყრის ბოლო ყველამ წინდაწინვე იცოდა, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუსუსტებია ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ირლანდიელ სეპარატისტის პოლლოგიაშ, წარმოთქმულმა ინგლისის ძლიერი დასის შეთაურის მიერ.

მიუხედავად იმ გარიმოებისა, რომ დეპუტატების უმრავლესობა პარნელის წინააღმდეგი იყო, ირლანდიელი აგიტატორის გაელენა პალატაზე მეტად დიდი იყო. როგორც კი გავარდებოდა ხმა, რომ პარნელი ლაპარაკს პირობსო, ზალა დე-ჰუტატებით აივსებოდა; თვითონ გლადსტონის პიროვნების მომიბლველი ძალაც კი შესუსტდა პარნელის პრესტიჟით, სახე-

ლით. „ინგლისში ეხლა პარლამენტი კი არ არის, პარნელ-
მენტი არისო“, — ოხუნჯობდა „Punch“-ი.

20 მაისს, 1890 წ., ლონდონში გაიმართა ირლანდიის ეროვნული ლიგის მიტინგი პარნელის თავმჯდომარეობით: და-
მსწრენი მეტის გატაცებით, ენტუსიასმით შეხვდნენ აგიტატორს
და მის სიტყვას და დაანახვეს ქვეყანას, თუ რამდენად ძლიე-
რია იგი. ერთი კეირის შემდეგ პარნელის დაბადების დღეს
პარნელიტებმა სადილი გაუმართეს ლიდერს, აქ თავის სიტყ-
ვაში პარნელი შეეხო ლიბერალებთან კავშირს; ამბობდა, რომ
გლადსტონის გამარჯვებისათვავე პომრულის პროექტი უთუოდ
წარედგინება პარლამენტს და ეს პომრული იმისთანაა, რომ
უთუოდ დააკმაყოფილებს ირლანდიელებს. ბოლოს მან მიუ-
ლოცა ირლანდიის ერს და თავის პარტიას იმისთანა მოკავში-
რების შოვნა, როგორიც გლადსტონი და ლიბერალები არიან.
დამსწრენი ხშირად შესწყვეტდნენ ხოლმე მის სიტყვას ვაშის
ძახილით და ტაშის ცემით, თან ეუბნებოდნენ, რომ ირლან-
დიამ და ირლანდიელთა პარტიამ თუ რამე ძალა შეიძინეს, ეს
მოხდა მხოლოდ მისი, პარნელის მიზეზით.

1890-ის შემოდგომაზე პარნელი ირლანდიაში იყო; სეს-
სია უნდა დაწყებულიყო ნოემბრის დამლევს; პარნელიტები
და ლიბერალები საბრძოლველად ემზადებოდნენ. მოულოდ-
ნელმა შემთხვევამ სრულებით არივ-დარია ყველა პლანები და
საპარლამენტო კომბინაციები.

XII

ვისმე რომ 1890 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში
ეთქვა, რომ პარნელი მომავალ ცხრა თვის განმავლობაში დაჰ-
კარგავს მთელ თავის გავლენას და მოკედებაო, ამ გვარ წი-
ნასწარმეტყველებას ბევრი ფანტასტიურად ჩისთვლიდა, და მართ-
ლაც წარმოუდგენელი იყო საქმის ამ გვარად დატრიალება:
ესეც იყო, პარნელმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და მისმა მე-
გობრებმა ამიყად მაღლა თავი ასწიეს; მტრები კი შერცხვნენ

და არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. მაგრამ სწორედ იმ დროს ეწვია ირლანდიის ლიდერს ისეთი უბედურება, რომლის დაფასება და აწონ-დაწონვა იმ წამში შეუძლებელი იყო.

დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც ირლანდიელ პოლიტიკურ წრეებში და ლონდონის კლუბებში ხმა დადაღდა, რომ პარნელი და კეტრინ ო'ში, ირლანდიელი დეპუტატის ცოლი, მეტად დაახლოვებული არიანო. ეს ხმა თან-და-თან უფრო ვრცელდებოდა, არავისოთვის საიდუმლო არ იყო, რომ პარნელი მარტო ქ-ნ ო'შისთან დადიოდა, რომ თუ პარნელი ლონდონში არ იყო, ან არავისი ნახეა არ უნდოდა, ქ-ნ ო'შის საშუალებით შეიძლებოდა მასთან მოლაპარაკების გამართვა. 1886-ში კაპიტან ო'შისა და პარნელს შუა უსიამოვნება ჩამოვარდა და პარნელმა შესწყვიტა მასთან სიარული

მაგრამ კეტრინ ო'შის მაინც ნიხულობდა, თუმცა იშვიათად და მოკლე ვადით. ეს ქალი ერთად-ერთი არსება იყო, რომელიც პარნელს უყვარდა და რომლის მოშორება მას არ შეეძლო, მიუხედავად მრავალი მზევრავებისა, რომელნიც თვალყურს ადგვნებდნენ ყოველ მის ნაბიჯს. რასაკირველია, ქმარ-საც შეატყობინეს ეს ამბავი; მან ნათესავებს თავი მოუყარა და საოჯახო რჩევაზე გადასწყვიტეს, რომ ცოლქმრის გაყრა აუცილებელია. 16 იანვარს, 1890 წ., კაპიტანმა ო'შიმ თხოვნა შეიიტანა სასამართლო-ში. ნაფიტა მსაჯულებმა დანაშაულიად იცენეს კეტრინ ო'ში და დააკმაყოფილეს ქმრის თხოვნა გაყრის შესახებ. სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პარნელმა ისარგებლა კაპიტან ო'შის სტუმართ-მოყვარეობით გარყვნილებისათვისათ. პროცესს ანგარიში ყველა გაზეთებში დაიბეჭდა და ქვეყანამ გაიგო საქმის გარემოება.

ინგლისის საზოგადოება აღშეითდა, მან შეურაცხყოფილად იცნო თავის თავი, თუმცა 1887-ის, 1888-ის და 1889-ის პროცესებმა ბევრად უფრო სამარცხინო და უზნეო ფაქტები იღმოაჩინა ინგლისელ დიდკაცობის ცხოვრებიდან, როგორც მაგალითად მცირე-წლოვანი ქალებით ვაჭრობა და მა-



თი გაუპატიურება. პარნელს ყველგან ჰყიცხავდნენ. გაზ. «Times»-ი მკაცრ მორალისტთა მეთაური გახდა და საკვირველიც არ არის: ამით მას უნდოდა, დაემარცხებინა თავისი მტერი და დაემტკიცებინა საქვეყნოდ, რომ სიმართლე—იგულისხმე სიყალბე—მიუხედავად დროებითი შეფერხებისა, ბოლოს ყოველ-თვის გაიმარჯვებს. უსაზღვრო და შეურიცებელმა მძღლვარე-ბამ, რომელიც იძულებული იყო თავი ემალა აქამდის, ეხლა ამაყალ წამოპყო თავი და მოსვენებას არ აძლევდა თავის მსხ-ვერპლს. ინგლისის საზოგადოებას დააგიწყდა კასპიის იქითა მხრის რეინის გზა, რუსეთის საშუალო აზიის პოლიტიკა, ეგ-ვიპტეცა და ხართუმიც.

ირლანდიული დეპუტატები შეშინდნენ, მაგრამ ჯერ კი-
დევ პარნელი მათი სიმედო ბელადი იყო. „არ შეიძლება ჩა-
რლი დანაშაული იყოს იმ საქმეში, რასაც მას ბრალს სდებე-
ნო“, ამბობდნენ ისინი. 20 ნოემბერს (პროცესი გათავდა
17-ს) დუბლინში კრება შესდგა და ირლანდიულმა დეპუტა-
ტებმა პარნელს ერთგულება და მაღლობა გამოიუცხადეს. „ლი-
დერის დაუკიშყარი დამსახურება და ლრმა ჩვენა, რომ მისი
შეუდარებელი თვისები აუცილებელნი არიან ირლანდიის საქ-
მის კეთილად დაბოლოვებისათვის, გვაიძლებენ ჩვენ ერთხელ
კიდევ გამოვსთქვათ ჩვენი სურვილი, რომ პარნელი დარჩეს
ჩვენი პარტიის მეთაურად“, იწერებოდნენ ამერიკაში მყოფი
ირლანდიული დეპუტატები. ამ მხრივ პარნელი უზრუნველ-
ყოფილი იყო. მაგრამ მას კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნე-
ლობა ჰქონდა ამისთანა გარემოებებში გლადსტონის აზრს. იგი
მხნედ და გამედულად უყურებდა ატენის ქარიშხალს, დაცინ-
ვითა და ზიზლით ლაპარაკობდა მის წინააღმდევ გამართულ
ლაშქრობაზე; მისთვის საგულისხმიერო იყო მხოლოდ გლადს-
ტონის აზრი: მარტი ამის სიტყვას შეეძლო ესა თუ ის მიმარ-
თულება მიეცა საქმის მიმდინარეობისათვის.

გაეცილა მთელი კვირა და გლობუსტონი ხმას არ იღებდა. „Times“-ი მრისსანებდა იმ დუმილის გამო. „გლობუსტონის მომხ-

ჩარდაშ ბარნელი

რეებს შეუძლიანთ ყურადღება არ მიაქციონ სასამართლოს გა-
 დაწყვეტილებას, მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ ბრიტანიის ერის
 აზრის შეცვლას ამ საქმის „შესახებო“, სწრედა გაზეთი. სხვა გა-
 ზეთებიც თხოულობდნენ გლადსტონისაგან თავისი შეხედულე-
 ბის გამოქვეყნებას: რჩება თუ არა პარნელი მისი მოკავშირე.
 თუ პარნელი მოუთმენლად ელოდა გლადსტონის სიტყვას, აგ-
 რევე მოუთმენლად უყურებდა გოვარდინს მთელი ინგლისი.
 ბოლოს, როგორც იქნა, გლადსტონმა შესწყვიტა თავისი დუ-
 მილი—გავიდა რვა დღე პრიცესის შემდეგ და 24 ნოემბერს
 მან წერილი მისწერა ჯონ-მორლეის; აი წერილის შინაარსიც:
 პარნელის ლიდერად, მეთაურად დარჩენა ირლანდიის საქმის
 დამლუპველი შეიქნებაო; ლიბერალების დასი ირლანდიელების
 მოკავშირე და პომრულის მომხრე დარჩება, თუ მათი დასის
 ლიდერი ვინმე სხვა იქნებაო.

თუ ინგლისის უურნალ-გაზეთებისა და საზოგადოების მის
 წინააღმდეგ გამოლაშქრებას პარნელი არაფრად აგდებდა, გლა-
 დსტონის გადადგომა კი სულ სხვა იყო: თუ პირველი მის-
 თვის ჩხვლეტა იყო, მეორე მას პირვაპირ თავში სცემდა. მხო-
 ლოდ გლადსტონის ხელს შეეძლო პარნელის დაძლევა. ძლიე-
 რი მოკავშირე სტოვებდა მას და ეუბნებოდა მის პარტიას: ან
 პარნელი ან ჩემი დახმარებაო.

გლადსტონის წერილის გამოქვეყნებისათანავე, ირლან-
 დიელთა დასი შეძრწუნდა. პარნელს არ ჰყავდა თავის პარტია-
 ში მევობრები: მას პატივს სცემდნენ და ემორჩილებოდნენ,
 როგორც ერთს არჩეულს და როგორც იმისთანა კაცს, რო-
 მელსაც სასწაულების მოქმედება შეუძლიან. ამისთანა სასწაუ-
 ლი იყო, მათის შეხედულებით, ფილმალური კავშირი ლიბე-
 რალებთან და გლადსტონის პომრულიორად გარდაქმნა. ისი-
 ნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეხლა უმთავრესი საქმე გა-
 კეთებულია, რომ მათ შეუძლიანთ დაშვიდებით უცადონ სოლს-
 ბერის დაცემას და რომ გლადსტონის გამარჯვებისთანავე პომ-
 რული მათ ხელში იქნება. ამ განწყობილებაში ყოფნის დროს,

მათ ეუბნებიან: ან პარნელი, ან თქვენი იმედებიო. ირლან-დის წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ და ამბობდნენ კი-დეც, რომ ლიბერალებთან კავშირი—პარნელის საქმეა; სანამ პარნელი გამოვიდოდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ამისთანა კავ-შირზე ოკნებაც კი არ შეეძლოთ ირლანდიელებს; მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ პარნელმა მიიყვანა საქმე ამ ბრწყინვალე მდგომარეობამდე თავისი სასტიკი და შეურიგებე-ლი ბრძოლით ინგლისელებთან.

მაგრამ მეორე მხრივ, ბედკრული ქვეყანა შვიდი საუკუ-ნეა ელის თავის განთავისუფლებას, ეს განთავისუფლება დღეს არა ხვალ უნდა მომხდარიყო, და მხოლოდ იმიტომ რომ პარ-ნელი ვერ მოერია თავის გულისთქმას, ეს იმედები ისევ უნდა გაცრუვდნენ. რატომ იმდენი სიყარული არ ჰქონდა მისი მაღ-მერთებელი ხალხისა, რომ გულშივე ჩაეყლა ირლანდიისათვის საბედისწერო გრძნობა. განა მან არ იცოდა, რომ ინგლისის საზოგადოება არავის აპატივებდა ამისთანა დანაშაულს? თუ პარნელი ისევ ლიდერად დარჩა, გლადსტონი ნათქვამს შეის-რულებს და გასწყვეტს ყოველივე კავშირს ირლანდიის პარ-ტიასთან: პარნელი თავისივე ხელით დაღუპავს მისგანვე შე-ქმნილ საქმეს. მისი მოვალეობაა — ლიდერობას თავი დანე-ბოს.

ირლანდიელ პარტიის კრებებზე უფრო და უფრო მოუხ-შირეს ამ გვარ ლაპარაკებს; პარნელი კარგად ხედავდა, რომ იგი აქ ვერ დგას მკვიდრ ნიადაგზე, და მანაც ირლანდიას მი-მართა კითხევის გადასაწყვეტილ. ი რას ამბობდა იგი თავის მა-ნიფესტში: „...კარგად გასინჯეთ, როგორ გეპურობიან, რას გთხოვენ და მერე მიეცით ჩემი თავი ინგლისელ მგლებს, რო-მელნიც ლმუიან და ჩემ დაღუპვას თხოულობენ... უკანასკნელ წლებში ირლანდიის პარტიას თავი დამოუკიდებლად ეჭირა, იგი არავის კუდში არ მისდევდა და თავის შინაურ საქმეებში შე-რევის ნებას არავის ძლიერდა. ეხლა კი გლადსტონი ბედავს ბრძანება მისცეს პარტიას იმისთანა კითხევის შესახებ, როგორც მეთაურის ამორჩევაა. თუ პარტიამ დაუთმო, ამით იგი თავი-

სიცე არარაობას დამტკიცებს და თეითონვე გააქარწყოლებს ჰომინულის იმედს: ინგლისელნი მხოლოდ მაშინ იჩენენ გულ-კეთილობას, როცა ძლიერ მოწინააღმდეგებთან აქეთ საქე. სუსტს კი ისინი ზიზლით უცქერიან... თუ მართლა დარწმუნებულა ლიბერალების მეთაური ჰომინულის აუცილებლობაში, თუ იგი არ პირფერობს, მისი მოვალეობაა ირლანდიელების პროგრამმის განხორციელებას დაეხმაროს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება პარტიის ლიდერი".

ამ მანიფესტის შემდეგ ირლანდიელი დასი ორ ბანაკად გაიყო: უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ გლადსტონის გადაკიდება შეუძლებელია, და თხოულობდნენ პარნელისაგან, თავი დაენებებინა ლიდერობისათვის. მაგრამ პარნელი ნებით არ სთმობდა თავის ადგილს. იგი თითქო გაახალგაზდდა, გამოცაცხლდა და ახალი ძალები შეიძინაო. იგი ესწრებოდა პარტიის სხდომებს და ცხარე მონაწილეობას იღებდა დებატებში. ოშის საქმეს და მის როლს ამ საქმეში, მისი აზრით, არავი-ვითარი კავშირი არ ჰქონდა ლიდერობასთან, და თუ ასეთი ალიაქოთი ასტყდა, ეს ინგლისელების პირმოთნეობის შედევრია. თუ პარტია გლადსტონს დაემორჩილა, ამითი იგი თავს დაიმდაბლებს და საქმეც დაღუპული შეიქნება. მაგრამ ყველაფერი ამით იყო: დასის უმრავლესობას გლადსტონის კავშირი საიმედო ნავთ-სადგურად მიაჩინდათ. ხუთი დღის მსჯელობის შემდეგ, 6 დეკემბერს კითხვას კენჭი უყარეს და აღმოჩნდა, რომ 45 დეპუტატი პარნელის წინააღმდეგი იყო და 26 მისი მომხრე. ახალ ლიდერად ამორჩიეს ჯუსტინ მაკ-კარტი.

გლადსტონის გადადგომას, შეიძლება, კიდევ შველებოდა რამე: ლიბერალებთან კავშირი ძალით იყო ნაშოვნი და, მაშასადამე, შეიძლებოდა კიდევ მისი დაბრუნება. პარტიის ლალატი უბედურება იყო, მაგრამ ესეც არ სწყვეტდა კითხვას საბოლოოდ. ყველაზე უფრო საგულისხმო პარნელისათვის თვითონ ირლანდიის აზრი იყო. ირლანდია ვის მიჰყვება, მას, თუ მის მტერს? ამ კითხვის პასუხი ერთბაშად არ მოსულა.

ოშის პროცესის, გლადისტონის გადადგომის და პარნელის გადაყენების ამბავი ერთ დროს გავრცელდა ირლანდიაში და ხალხი სახტად დარდა, არ იცოდა, რა ეფიქრა, რა მოექმედნა. გლადისტონთან კავშირის შეწყვეტას ისე არ შეუშინებია ირლანდიელები: მოელი ინგლისი მათთვის მტრის ბანაკი იყო და გლადისტონთან დაახლოვებას უყურებდნენ, როგორც დიპლომატიურ შეთანხმებას, რომლის შეწყვეტა საჭიროების მიხედვით ყოველ დროს შეეძლო მათ „მეფეს“. ხალხი ყველაზე უფრო ოშის საქმემ შეაძრწუნა. თუ ინგლისში ატეხილი აღიაქოთი პირმოთნეობა იყო, აქ, ირლანდიაში, პირმოთნეობას ადგილი არ ჰქონდა. მორწმუნებულნი, რომ პარნელმა მეტად მძიმე ცოდვა ჩაიდინა. არც გრატრანი, არც ოქონელი და არც ერთი მეთაური კათოლიკის სარწმუნოებისა, ისე არ ჰყარებიათ ირლანდიელებს, როგორც პარნელი და ამით დაამტკიცეს, რომ პარნელი მათთვის პროტესტანტი კი არა, ეროვნული გმირი იყო. მაგრამ როდესაც ამ პროტესტანტმა დაარღვია მცნება, რომელსაც მისი სარწმუნოებაც აღიარებს, მათ გზა-კვალი აებნათ და შეშინდნენ.

პირველ ხანებში, ოშის საქმეს ხალხი უყურებდა, როგორც განგებისაგან მოვლენილ უბედურებას; საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა მათთვის შხოლოდ სამღვდელობას შეეძლო. როგორც წინადაც იყო ნათქვამი, სამღვდელოების როლი ირლანდიაში დიალი და დიდმიზენელოვანი იყო. მისი ძალი და გავლენა მარტო სარწმუნოებრივ გრძნობაზე როგორ იყო დამყარებული. ირლანდიის ისტორიის უუბედურეს ხანებში ჩაგრული და ტანჯული ერის დამხმარე და თანამერინობი მღვდლები და ბერები იყვნენ. ეს დამხარება და თანამერინობა მარტო სიტყვეირი როდი ყოფილა: სამწყსოსთან ერთად, ვხედავთ მათ კრომველის სახრჩობელებზე და ინგლისის საპატიმროებში; სამწყსოსთან ერთად იტანდნენ ისინი სიღატაკეს და შიმშილს. რამდენიმე საუკუნეების განმავლობაში სამღვდელოება ერის

სული და გული იყო. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ეხ-
ლაც, ამ გასაჭირის დროსაც, ირლანდიელებმა სამღვდელოებას
მიმართეს და ჩიხები ელოდნენ კითხვის გადაწყვეტის. სამღვდე-
ლოებასაც პასუხი მზად ჰქონდა: იგი ვერ უდალატებდა დოგ-
მას და ამიტომ ძიულებული იყო გადასდგომილა პარნელს, რო-
მელსაც ერთ დროს ასე ჰქონიავოდა, მიუხედავად რომიდან მო-
სული ბრძანებისა.

სამღვდელოების გადადგომით დიდი მაღა მოაკლდა პარ-
ნელს და 1891-ის გაზაფხულზე ყველასათვის ცხადი შეიქნა,
რომ მას წინანდელი პრესტიურისა და გავლენის ნახევარიც აღარ
შეაჩენდა. პარნელი თავს არ იტყუილებდა იმედებით. იგი
ყველაფერს კარგად ხედავდა. როდესაც გლადსტონმა გამოაქ-
ვეყნა თავისი წერილი, პარნელმა სთქვა: „ჯერ ჩვენ კიდევ
ეიბრძოლებთო“. როდესაც ლიდერობიდან გადააყენეს, იგივე
განიმეორა და როცა სამღვდელოების გადადგომის ამბავი გაი-
გო, მეგობრებს უთხრა: „გადაეცით იმათ, რომ ვიბრძოლებ
უკიდურესობამდე“-ო.

ირლანდიაში მოსვლისათანავე, კორკში და დუბლინში გა-
მართულ მიტინგებზე, ორი ცხარე სიტყვა წარმოსათქვა გლადს-
ტონის წინააღმდეგ. გლადსტონი მოღალატეაო, ამბობდა იგი,
მე კი არა, ირლანდის სცემენ ინგლისელებით და სხვა. მსმე-
ნელთა რიცხვი დიდი იყო, ტაშსაც ბევრს უკრავდნენ, მაგრამ
ყველასათვის ცხადი იყო, რომ წინანდებური გატაცება და ენ-
ტუსიაში გაჰქირა, აღარ არის. „მე მღვაცენ მღვდლები“-ო,
უთქვაშ პარნელს მეგობრებისათვის მიტინგის შემდეგ. კრებებ-
ზე და ყველგან, სადაც კი ლაპარაკი მოუხდებოდა, იგი ამ-
ბობდა: „მე ვცნობ მაკარტის ლიდერად, მე ლიდერობა არ
მსურს, მე თავს დავანებებ საზოგადო საქმეებს, მაგრამ მხო-
ლოდ ერთის პირობით: შეასრულოს გლადსტონმა დაპირებუ-
ლი, მოგვცეს პომრული. იგი ამას არ იზამს, რადგანაც მას
სურს ჩვენ მოგვატყუილოს“-ო.

1891-ში, განსაკუთრებით ზაფხულიდან ჯანმრთელობა უფრო და უფრო ღალატობდა პარნელს. იგი მუდამ აღელვებულ და მოუსვენარ მდგომარეობაში იყო. პარლამენტში თო-თქმის სრულებით არ დადიოდა, ძისი ადგილი მაკ-კარტიმ და მისმა მომხრეებმა დაიჭირეს. ოპოზიცია, მეტად ულონო შეიქნა ამ განხეთქილებით, სამაგიეროდ, სოლსბერის გაძლიერება განმტკიცდა. პარნელი ყოველთვის ჯერ დემაგოგი იყო და მერე საპარლამენტო მოღვაწე; ესლაც იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, დაებრუნებინა ხალხის განწყობილება.

ამ დროს კულკენში არჩევნები უნდა მომხდარიყო, რადგანაც ერთი დეპუტატის ადგილი დაიცალა. დიდი ბრძოლა და შეტაკება მოუხდათ პარნელიტებსა და მაკ-კარტისტებს. გამარჯვება მაკ-კარტისტს ხვდა. ეგრევე მოხდა ირლანდიის ჩრდილო ნაწილში — სლუგოში. ეს პარნელისათვის ცუდი ნიშნები იყო. მაგრამ დუბლინში და კორქში მომხდარ მანიფესტაციებმა დაამტკიცეს, რომ პარნელს ჯერ კიდევ ბევრი მომხრეები შერჩა.

ბრძოლა თან-და-თან უფრო მწვავდებოდა. პარნელს მოკლა და მოსევნება არ ჰქონდა, მას არ ეძინა, კამა-სმაც უწესრიგო ჰქონდა, რაღანაც მუდამ მოგზაურობაში იყო. ერთხელ ამ ხანებში იგი შევიდა სრულებით მოულოდნელად მაკ-კარტის *) სამუშაო ოთახში, უხმოდ მიესალმა მასპინძელს და სავარძელში ჩაჯდა; იგი მეტად გაფითრებული და გამხდარი იყო. ხმა ამოულებლივ იჯდა ცოტა ხანს, შემდევ გამოემშვიდობა. მაკ-კარტის და წავიდა; მაკ-კარტიზე ისე იმოქმედა ამ სანახაობამ, რომ იგი ატირდა.

ირლანდიელთა დასის მდგომარეობა მეტად ცუდი იყო. მაკ-კარტისტები სთხოვდნენ პარნელს დროებით მაინც შეეწყვიტა ბრძოლა, მაგრამ იგი არ თანხმდებოდა. ივლისში (1891 წ.) მან ჯვარი დაიწერა კეტრინ ო'შიზედ. ამ გარემოებამ კიდევ

*) მიუხედავად განხეთქილებისა პარნელსა და მაკ-კარტის პირადი დამოკიდებულება არ შეუწყვეტიათ.

უფრო ააშფოთა კათოლიკე სამღვდელოება. პარნელი მაინც
იბრძოდა და როგორც სჩანდა არ აპირობდა იარაღის დაყრას.
22 ივლისს დუბლინში შესდგა პარნელიტების დიდი მიტინგი,
რომელზედაც პარნელს ისეთის ამბით დახვდნენ, რომ ახლო
წარსულს მოაგონებდა კაცები. მაგრამ სწორედ ამ დროს მას
ჰქონდა „ფრიმანის ურნალი“, ეს შეტად გავრცელებული
და გავლენიანი ორგანო. ინგლისში კონსერვატორებისა და
უნიონისტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლორდ სოლს-
ბერიმ საჯაროდ წარმოათქმულ სიტყვაში გამოაცხადა, რომ
მას ახარებს ოშის საქმის შედეგები, რადგანაც ისინი დიდი
ბრიტანის ზეობრიობის შეურცეველი სიმტკიცის დამმტკიცე-
ბელნი არიანო. უნიონისტებს შეტად ახარებდა ოპოზიციის
დასუსტება; ურჩევდნენ გლადსტონს, თავი დაენებებინა „საპომ-
რულო ოცნებებისათვის“ და შეერთებოდა მათ. სექტემბრის
დამლევს პარნელმა ილაპარაკა ბოსკომონში, ურჩევდა მსმენე-
ლებს, უკიდურესობამდე ებრძოლათ ირლანდის თვით-მმართ-
ველობისათვის, სიმწარით იხსენიებდა გლადსტონის ყოფა-ქცე-
ვას და ჰპირდებოდა აუდოტორიას ერთიანი იერიშის მიტანას
ჰომრულისა და აგრარული რეფორმის მიღწევისათვის. ეს მი-
ტინგი შემოდგომის სააგიტაციო კამპანიის დასაწყისი იყო;
მტრები საბრძოლველად ემზადებოდნენ, პარნელიტები - შერი-
გებას ცდილობდნენ, ინგლისის პრესა კორესპონდენ-
ტებს ჰქონიდა ირლანდიაში. მაგრამ ყველაფერი ეს მეტი შე-
იქნა.

მიტინგის შემდეგ პარნელი ცუდად შეიქნა და წავიდა ბიატონში, სადაც იგი თავის ცოლით სკხოვრობდა. სახლში მოსვლისათანავე, იგი იძულებული შეიქნა, ლოგინში ჩაწოლილიყო. მას სტანჯავლენენ აუტანელი ქარების ტკივილები. სამი დღის აეთმყოფობის შემდეგ, პარნელი მიხვდა, რომ მისი მდგომარეობა მეტდ საშიში იყო. მისი მოთმინება უსაშინელესი ტკივილების დროს აოცებდა ყველა მასთან მყოფს. აეთმყოფობა მეტის სისწრაფით ძლიერდებოდა; შრომითა და ღელვით მოქანცული სხეული ხელს უწყობდა მას. პარნელი დარწ-

მუნდა, რომ ხსნა აღარ იყო, მაგრამ სიმშეიდე მისი საკვირველი იყო. ავადმყოფობის მეშვიდე დღეს, ენამ უსუსტა. „გადაეცით ჩემი სიყვარული მეგობრებსა და ირლანდიას; რა კარგი იქნებოდა, რომ ტანჯულ ერსაც ისეთი კარგი მომვლელები ჰყავდეს, როგორც მე“. მეტი მას არა უთქვაშა-რა: მხოლოდ ცოლს თვალს არ აშორებდა და გაღიმებას ცდილობდა. 7 ოქტომბერს ბრიტონში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა; ქარისა და ზღვის ტალღების მძლავრი ხმაურობა აგონიაში მყოფ ავადმყოფის ოთახში მოდიოდა. ღამის თორმეტის ნახევარზე პარნელი გათავდა.

ამ ამბავის გაგონებაზე ირლანდიელებს დაავიწყდათ უკანასკნელი წლის განხეთქილება და ბრძოლა. მაკ-კარტისტები ცდილობდნენ თავი გაემართლებინათ და ლრმა მწუხარებას აცხადებდნენ პარნელის სიკვდილის გაშო; სამღვდელოება ამბობდა, რომ მიცეალებული დიდებული კაცი იყო, რომელიც სამშობლოს საუბედუროდ შეაცდინეს ბნელმა ძალებმათ. მთელი ერი გულ-წრფელ და ლრმა მწუხარებას მიეცა. დუბლინში და სხვა ქალაქებში დუქნები და თეატრები დაკეტეს, გასვენების დღეს (11 ოქტომბერს) ორასი ათასი კაცი აცილებდა მის კუბოს. მაღლა ტირილი არ შეწყვეტილა დუბლინის სასაფლაომდე. მართებლობას არეულობის ეშინოდა და პოლიციელების რიცხვს მოუმატა. „ფრიმანის ეურნალის“ რედაქტიის პოლიციელების რაზმი ერტყა. დუბლინის ქუჩებში გაკრული იყო აფიშები შემდეგის წარწერით: „ინგლისელებისაგან წამებული“.

ბეერს (მათ რიცხვში გლადსტონსაც) ეგონა, რომ პარნელის სიკვდილი სარგებლობას მოუტანდა ირლანდიას: იმედი ჰქონდათ, რომ ირლანდიის პარტიის განხეთქილება მოისპობოდა, ამითი გაძლიერდებოდა ოპოზიცია, გადააყენებდა სოლისებერის სამანისტროს და პომრულის პროექტს განახორციელებდა; მაგრამ ამას ინგლისელი პომრული იორები ამბობდნენ; ირლანდიის ერი კი არ ინუგეშებდა თავს ამ გვარის იმედებით. „ყვე-

ლაფერი დაიღუპა,—სთქვა ერთმა ორატორმა,—ის ყვავ-ყორნები, რომელთაც პარნელი მოინელეს, მოინელებენ ირლანდიასკო.

მწუხარება, სინანული და უიმედობა გამეფდა იმ ერის გულში, რომელმაც ამ მოკლე ხანში თავის ისტორიის უშესანიშნავესი ხანა გამოიარა. „პარნელისთანა არც გვყოლია და არც გვეყოლება“,— სწერდა მაკ-კარტი თავის მიცვალებულ მეტოქეზე. პარნელის სიკვდილმა ინგლისშიაც არა ნაკლები მღელვარება გამოიწვია. თუთხმეტი წლის განმავლობაში პარნელს მეტად დიდი ადგილი ეჭირა ინგლისის საპარლამენტო ცხოვრებაში. უსუსური ირლანდიელების დასი პირველ ხარისხოვან პოლიტიკურ ძალად შეჰქმნა; ინგლისის პოლიტიკის არსებითი კითხვების გარჩევის და გადაწყვეტის მოხერხებას არ აძლევდა იგი პარლამენტს; მან თითქმის შეაჩერა თუთხმეტი წლის განმავლობაში პარლამენტის საკანონმდებლო მოქმედება; გამოაცვლევინა ლიბერალებს პოლიტიკური პროგრამა და ამით მათ შორის განხევთქილება გამოიწვია. ერთის სიტყვით, ინგლისი ყოველ თავის მოღვაწეს, ყოველ პოლიტიკურ კომბინაციას ისე ვერ აწონ-დასწონიდა, რომ პარნელის მათთან დამოკიდებულება და მისი შეხედულობა არ ჰქონოდა სახეში. ადგილი, რომელიც მას ეჭირა ინგლისის ცხოვრებაში, იმდენად დიდი და დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ ინგლისის საზოგადოება ჯერ გონის ვერ მოსულიყო ამ ადგილის მოულოდნელ დაცარიელებით. პერიოდული მწერლობის ერთი ნაწილი („Daily News“, „Standard“ და სხვ.) დიდად აფასებდა მყვდარი მტრის ნიჭის და სიამაყით ამბობდა, რომ პარნელი—ინგლისელი იყო, რომ ინგლისს ეხლა, მისი სიკვდილის შემდეგ შეუძლია იგი თავისის პანტეონში ჩარიცხოს. სხვა ორგანოებიც მაღლა აყენებდნენ პარნელის ნიჭის, მაგრამ ამასთანავე მწუხარებას აცხადებდნენ, რომ მან ეს ნიჭი ცუდად მოიხმარა, — ინგლის მტრისა გაუწიაო. „Times“ ის რედაქტორი კი მკვდრის წინაშეც ვერ მოერია თავისს მძღვანებას და ცუდად იხსენიებდა მას. იგი სრულს იმედს აცხადებ-

და, რომ პარნელის სიკვდილის შემდეგ ინგლისსა და ირლანდიაში ყველაფერი დაწყნარდება და ჩეეულებრივი წესი ჩამოვარდებათ. მას შემდეგ გასულმა რვა წელმა, საუბედუროდ, არ გააცრუა ეს იმედი.

(დასასრული)



† გილრზი წირეთი ელი

იანვრის 12 საღამოს 4 საათზე და 15 წუთზე გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გოლოგი წერეთელი, ერთი იმ შპრომელთაგანი, რომელთაც 1860 წლიდან ქართულს დროგამო შეკავშირდა მეტად მარტინ შეკვეთის მისცეს.

გ. წერეთელი დაიბადა 1842 წ. ზემო იმერეთის (შორაპნის მაზრა) სოფელ გოლოგისაში. მამა მისი ეჭვთიმე იყო აზხაური, შეიღს ჭუთაისის გიმნაზიაში მაღალიანი სწავლა და კურსის დასრულების შემდეგ გაგზავნა შეტერბულების უნივერსიტეტში. 1860 წ., გოლოგი შეკავშირდა ბუნების მეცნიერების ფაკულტეტზე, მაგრამ 1861 წ. სტუდენტობის არეგულობის დროს მონაწილეობის გამო ჯერ და-ტემპერატურა იქმნა სხვა სტუდენტებთან დახეში და შემდეგ აუგრძა-დეს უნივერსიტეტში სწავლის განგრძლობა.

დატერატურული მუშაობა გოლოგიმ დაიწერა სტუდენტობის დროს კე. ბირკელი მისი ნაწერი არის 1862 წ. «ცისკარში» დაბეჭ-დილი ბოლევიმგური წერილი სამთანები ერთის თერგდალეულისა, ფსევდონიმით გ—თელი. ამავე ფსევდონიმით 1863 წ. დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის «საქართველოს მოამბეში» ცისკარს რა აკანებს». 1863 წლის დამდევს დაბრუნდა სოფელში და მას შემდეგ ტფა-ლისში დაბინავდა, როგორც კერძო მსწავლებელი სხვა-და-სხვა სას-წავლებლებში, (ნ. ჭაბადარის და პ. შანშივაის ბანსიონებში). 1866 წ. დაფუძნდა მუდამ კვირკული გაზეთი დროებაა გ. წერეთლის რე-დაქტორობით და სტეფანე მელიქიშვილის გამომცემლობით.

გაზეთი თუმცა კვარაში ერთსედ პარასკეობით ერთ ნომრად გამოდიოდა ესლანდელის «იგერი ის» ფურცლის ოდენა, მაგრამ მწერ-

დების და სტამბის ამწევბების უჩვევრობა ისეთ იშვიათ დაბრკო-
დებას უჩენდა ოედაქტორს და მასთან სტამბის პატრონებს, რომ
ნომრის გამოსკვლის წინა დღე და მთელი დამე სტამბაში უნდა
გაეთენებინათ. ამის გამო პირველ წლებში დაიდო შრომა აწე-
რად ოედაქტორს. წერეთელი კელებოდა სტამბის ამსახურობისაგან
თვეში სამი თემაზი, ოადგანაც სედიის მომწერლები გაზიარს და შე-
მოსავალი სტამბის საკლები ჰქონდა. ამის გამო წერეთელი კერძო
გავლეთოლებით უნდა შეესრო თავის სააჩენი სახსარი. 1867 და
1868 წ. გაორგის რედაქტორობით გამოვადა «კუთხის ტეატრისანი»
და გ. ერისთავის თხზულებათა ორი ტომი (პირველი გამოცემა).
1868 წ. მან დააფუძნა საკუთრივი სასოფლო გაზიარი სოფლის
სალისათვის.

სამი წლის შემთხვევაში წერეთელი დასსესტა და 1869 ზაფ-
ხელს «დორება გადასცა განსაკუთრებულ სერგეი მესხეს და თვითონ
გაემგზავრა პეტებურგის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავ-
ლებლობის ეგზამენის დასაქმრად, ოადგანაც რეალურ სასწავლებელ-
ში მას სისხლების ამისთანა დამდობის. მაშინ გიმნაზიებში და სა-
შეადრ სასწავლებლებში ქართული ენა საკადებებულო იყო და მას-
წავლებლები შრატის სამსახურში ითვლებოდნენ. 1868 წლიდან
1873 წლებში წერეთელი იყო ქართული ენის მასწავლებელი რეა-
ლურ სასწავლებელში და ქადების ინსტიტუტში.

ამ ხანებში 1871 წ. მან იჯარით აიღო დებედორის სტამბა,
რომ შემოსავალი ჰქონოდა და დიტერატურული შრომა გაეფართოე-
ბინა. ამ წელს მან დაიწყო გამოცემა «კუთხისა» ნაკოდოზ ნი-
კოლაბის დასმარებით. სტამბის საქმეში დაიდო უსასეიდლო მოხაწი-
ლებისა იღებდა შაკლე იზმაილოვი. სტამბის საქმე კარგა კურ წა-
რმართა, ასე რომ ისევე პატრონისათვის უნდა ჩაეპარებინა 1873 წ.
ამავე ხანში მოძრაობა იყო ემაზეილ კაცებში და ქალებში ეკროპაში
სწავლის მიღებისა. მაშინ რესერვის ქალები ბეჭრია მიდიოდნენ
მაღალი სწავლის მისაღებად. გაორგიმ განიხრას წასკლა თავის
დიო. ამის გამო «კუთხისა» გადასცა კირ. ლორთხმისანიძეს, და
«სასოფლო გაზიარი» შეტ. უმიგაშეიღს. სამზღვარ-გარეთ 1877
წლის დამდეგამდე სხეს-და-სხეს სახელმწიფო ცხოვრობდა: საფ-

გიორგი წერეთელი

რანგეთში, შეკიცარდაში და გერმანიაში. იქ 1875 წ. შეირთო პირ-გელი ცოლი ნ. ნიკოლაძის და. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სწოდა წერილებს ტფილისის ჭართულ და რუსელ გაზეთებში, 1878 წ. რუს-ოსმალოს ამის დროს კარტესშინდენტად იყო პეტერბურგის რესეფ გაზეთ „Голос“-ისა.

1891 წლამდე წერეთელი ცხოვრობდა უფრო იმერეთში და ბათუმში და ამ წელიწადს, მეორე ცოლის ანასტასია თემანიშვილის შერთვის შემდეგ დაბინავდა ტფილისში თავისის შეიღებით. მას უნდოდა ჭართული გაზეთის გამოცემა. მასმა მეუღლემ «კუთ-დის» რედაქტორმა 1893 წ. დააფუქსა კვირეული გაზეთი კეგალია, რომელშიაც 1898 წლის დამდეგამდე მუდმივს ახლას მონაწილეობას იღებდა.

სამზღვაო-გარეთიან დაბრუნების დღადან «კეგალის» დაარსებამდე წერეთელი განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას, მან რამდენიმე მოთხოვობა დაბეჭდა ზოგი ცალკე წიგნებად და ზოგი უკრალებში (არანგა, ლომქაცი, მამიდა ასმათ, პირველი ნაბიჯი და ედი-შერ ქელბაქიანი); ლიტერატურული შრომა მას, რასაკვირეულია, კერაცხოვრებდა და ამის გამო ცხოვრების სახსრის მოსამარებლად კურბათუმში არტეფში მსახურებდა, მერმე ივანე მუსიანისეს რწმუნებულად ჭადის მთაში ნაკოდის გამოყვანის საქმეზე, შემდეგ რკინის გზის აგენტად მიწების შემოსიერდვისათვის, ბოლოს წლებში ჭალის მთის ექსპლოატაციის საქმეს შეუდგა, რომლისათვისაც სმი-რად მოგზაურობდა რუსეთში და ჭალაში. ამ შრომაშ და მოგზაურებაშ ივა დაასუსტა და ბოლო მოუღო.

ლიტერატურული მისი შრომა მრავალ იურიკანია, როგორც უკრნალისტია. ის სწოდა ისტორიულს, ფილოლოგიურს, საბეჭებისმეტეულო და არხეოლოგიურ წერილებს, იულეტონებს, მოთხოვობებს, ლექსისს, რეცენზიებს და პოლემიკურ წერილებს. ჭართულად ნაწერებს გარდა, რუსელ გაზეთებშიაც, როგორც კოქით, მუშაობდა ხენდახან, სხეკათა შორის მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების გამოცემაში. წერეთლის ბუხებითი ნიჭი ეკვლაზე მეტად სჩანს მოთხოვობებში, რომელიც შეეხსა იმერეთის ცხოვრებას და ეტელა დაკარგების ნაფითი.

ამ უკანასკნელი თრმოცი წლის განმაჟღობაში დატერატურულ
მუშაობაზე როდესაც ლაპარაკია, მასთან შეერთებულია გიორგი წე-
რეთლის შრომის მოსსენება. უოკელთვის მწერლობაში მონაწილეო-
ბას იღებდა და მოცადინე იყო სხვების წახალისებაში. რედაქტორო-
ბის ბირკელის დღიდან უკანასკნელ ფამამდე ის უოკელთვის ცდი-
ლობდა მოეზიდნა ახალი მშრომელები ასაღგაზღვობიდან საღილერა-
ტურო ასპარეზე.

ჯერ დრო არ არის სრულიად მისის შრომის დაიფასებისა,
რომ გამოიწვევას მისი მოღვაწეობის სისიათი. სასურველია, რომ
მის თხზულებათა კრებული მაღვე დაბაჭდილ იქმნას და აკრიტიკა.
მისი ბიოგრაფიის მასალები და მიწერ-მოწერა შეიკრიფის და დაი-
ხეჭდოს მის თხზულებათა კრებულთან.

საუკუნოდ დარჩეს მისი სასსენებელი.



ବୀଜାଳିର ପାଦକାଳିତା

უნიტეტი მიმოსილვა

ქართული თეატრის დღესაწული.—მისი ნელი წინსვლა
და ამის მიზეზები.—ქართული დრამატ. საზოგადოების მოღ-
ვაწეობა.—ამ მოღვაწეობის გაფართოვების საჭიროება.—გიორ-
გი წერეთლის გარდაცვალება.—გარდაცვალებულის მნიშვნე-
ლობა ჩვენს ცხოვრებას და ლიტერატურაში.—მისი დაკრძალ-
ვა და ზოგიერთ ვაებატონთა ულირის საჭირო.

2 იანვარს, ქართველმა საზოგადოებამ იდლესასწაულა 50 წლის იუბილეი ქართულის თეატრისა. დღესასწაული დიდის აქცით იქმნა გარდახდილი. მასში მონაწილეობა მიიღო არა მარტო ტფილისის ქართველობამ, არამედ პროვინციისამაც. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან დრამატიულ საზოგადოებას მოუკიდა მოლოცების დეპეშები; ზოგან სადღესასწაულო წარმოდგენებიც კი გაიმართა... ერთის სიტყვით, ქართული თეატრის იუბილეი საზოგადო საერთონო დღესასწაულად გარდაიქცა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, რადგანაც ქართულ თეატრს დიდი ამაგი მიუძღვის ქართველ საზოგადო-ქართულ თეატრს დიდი ამაგი მიუძღვის ქართველთა თეითუნიბიერების წინაშე, მას ბევრი უმუშავნია ქართველთა თეითუნიბიერების გაღვიძებისა და განვითარებისათვის... ტფილისის რუსული თეატრის წარმომადგენელმა გ. ოპაჩინინმა, თავის მოლოცების სიტყვაში, სხვათა შორის, ის აზრიც გაატარა, რომ თეატრს ორ-გვარი მნიშვნელობა აქვს: როგორც საერთონო დაწესებულება, იგი იცავს იმ ხალხის ეროვნებას, ენას და ეროვნულ ფუძება, იგი იცავს იმ ხალხის ეროვნებას, ენას და ეროვნულ ფუძებათ, რომელსაც ემსახურებათ, ხოლო როგორც საზოგადო კაცობრიული დაწესებულება, იგი ამყარებს ერში საზოგა-



დო კაცობრიულ იდეებსა და იდეალებს და ამით ხელს უწყობს ეროვნობის პროგრესს, ერის განვითარებასო. ამ მოკლე შენიშვნით კარგად ხასიათდება თეატრის მნიშვნელობა, ნამეტურ ჩვენის თეატრისა. სხვა ერთ, თეატრის გარდა, სკოლაც და ლიტერატურაც უსრულებენ იმ როლს, იმ დანიშნულების, რომელიც გამოხატულია ზემოხსენებულ შენიშვნაში, ჩვენში კი თითქმის მარტო თეატრს შეუძლია განსაკუთრებულის სავსებით ემსახუროს ეროვნულ თვითუნიბიერების გაწრთვის საქმეს. გარდა ამისა, თეატრი სკოლაა, სადაც ერთ ითვისებს საზოგადო-კაცობრიულს თანამედროვე საუკეთესო იდეებსა და იდეალებს. ამის მხრით ჩვენს სცენას დიადი ღვაწლი მიუძღვის: ჩვენმა დახავსებულმა, აზიურმა საზოგადოებაშ პირველად სცენიდან ფაიონი სპეტაკი, ჰუმანიური და პროგრესსიული იდეები; ჩვენმა აზიურმა საზოგადოებამ პირველად სცენის შემწეობით გაიცნო დიადი ნაწარმოებნი ეკროპის გენისებისა, პირველად გაიცნო განათლებულ ერთა ცხოვრება, მათი საუკეთესო რწმენანი და მისწრაფებანი!....

ბევრი გაქირვება გამოვლია ჩვენს თეატრს ამ 50 წლის განმავლობაში... ყოფილი წლები, როდესაც მისი სახსენებელიც გამეტალი სრულიად! მაგრამ თეატრი, როგორც ჩვენის ზნეობისა და გონიერის განმავითარებელი სკოლა, ისეთს საჭიროებას შეადგინს ჩვენს დროში, რომ ჩვენს ცხოვრებასაც უწელ-ნელი უზრდია და გაუმაგრებია იგი. მესამოცე წლების პოლვაწეებს, ჩომელთ ისედაც დიდი ამაგი მიუძღვისთ ჩვენის აზოგაუზების წინაშე, კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც თეატრს აქვს, და ამიტომ ისინი ხელს უწყობდნენ მის განვითარებასა და ზრდას. ბოლოს, აქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისთვის, მათ შეჰქმნეს ორგანიზაცია, — ქართული დრამატიული საზოგადოება, — რომელსაც იმ დროდან დაევალო სათეატრო საქმისთვის ზრუნვა, ჩვენის სცენის პატრონობა. ოცი წელიწადი სრულდება აგერ, რაც ეს საზოგადოება არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ის სინი-

შინაური მიმდინარეობა

დისიერად ემსახურა საქმეს და ქართული თეატრი ტფილისში დამკვიდრა საქმაოდ მაგარ ნიადაგზე.

ჩვენ არ შევუდებით აქ არც ჩვენის თეატრის ისტორიის მოთხოვბას, არც დრამატულ საზოგადოების თავ-გადასაფალის განხილვას—ეს უკვე აღასრულეს ჩვენმა უურნალ-გაზეთებმა*)—ჩვენ გვინდა მხოლოდ შევეხოთ ერთს, მეტად საყურადღებო გარემოებას, რომელსაც არა ერთხელ დაუფიქრებია ქართველი საზოგადოება. ეს გარემოება გახლავთ: ქართულის თეატრის მეტის-მეტად ნელის ნაბიჯით წინსვლა: ქართული თეატრი მეტად ძნელად იყიდებს ფეხს საქართველოს ისეთს დიდს ქალაქში, როგორიც არის ქუთაისი და თითქმის სრულიად არ ვითარდება დანარჩენ ჩვენ ქალაქებში. ტფილისში კი, თუმცა მისი არსებობა უზრუნველ ყოფილია, მაგრამ გაუმჯობესება არ ერყობა. ვინ მოსთვლის რამდენი საყვედური გაისმის ტფილის ქართულ სცენის შესახებ! მართალია, ბევრი მათგანი უსაფუძლოა, მაგრამ ფაქტი ფაქტად ჩეხება, რომ ჩვენის სცენის საქმე არ უმჯობესდება ისე, როგორც სასურველია. პირიქით, ხანდისხან სასოწარკუეთილებაში ვარდება კაცი და შიშობს—სული არ ამოხდესო ამ ჩვენს, შედარებით ნორჩს, საქმესაო,

რა მიზეზია ამ ფრიად უნუგეშო მოვლენისა? მიზეზი, რა-საკვირველია, ჩვენის ცხოვრების საზოგადო განუვითარებლობაა, მაგრამ ჩვენ აქ გვინდა მივაქციოთ ყურადღება უახლობელების მიზეზებს, რომელნიც აფერხებენ საქმეს ჩვენის თანამედროვე ცხოვრების პირობებში. ამ მხრით გვითითებენ სხვა-და-სხვა მიზეზებზე. ზოგი ამბობს, ყოველივე ქართულ საზოგადოების გულ-გრილობის ბრალიაო, ზოგი იმ აზრისაა, რომ დანაშაული არტისტებს მიუძღვისა, რადგანაც ისინი არ ეყიდებიან საქმეს ჯეროვანის ყურადღებითა და სინიდისიანობითთ, ზოგიც

*)იხ. „მოამბის“ ამ ნომერში 3. უმიკაშვილის წერილი, აგრეთვე „ჩრენია“ №№ 5 და 7 და „კვალი“ № 2.

ყოველივე ბრალს დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა სდებს—
ყველა ამ მიზეზების შესახებ ბევრი რამ ითქმის სათითაოდ,
მაგრამ ჩვენთვის აქ საქმარისია ვთქვათ, რომ სამივე დასახელე-
ბულს მიზეზს წილი უდევსთ ქრისტულ სცენის დაქვეითებაში.
ქართველი საზოგადოების გულგრილობამ მოაკლო ქართულ
თეატრს საჭირო ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება. ამ 20 წლის
განმავლობაში დრამატიულ საზოგადოების წევრთა რიცხვი ძლიერ
ავიდა 200-ზე, მაგრამ $\frac{9}{10}$ მათგან მხოლოდ ნომინალური წევრია
და არავითარს მოვალეობას „საზოგადოების“ წინაშე არ ას-
რულებს. ყოველ წლივ ძლიერ ათიოდე კაცს თუ შემოაქვს სა-
წევრო გარდასახადი, ესეც ბევრია. ყოველ წლიურ წევრთა
კრებას ძლიერ ესწრება 15—20 კაცი, რომელნიც საჩქაროდ
ამტკიცებენ ანგარიშებს, ირჩევენ გამგეობის წევრთ და იმით
ათავებენ თავის მოვალეობას ქართულ თეატრის წინაშე; არავინ
არ ფიქრობს და არ იწუხებს თავს საკითხით—აქვთ თუ არა არჩეულ
გამგეთ საქმაო საშუალება აასრულონ თავისი მოვალეობა. რო-
გორია ის პირობები, რომლებშიაც მათ უნდა იმუშაონ, რა
გზით და რა ხერხით შეიძლება საქმის განკარგება, „საზოგა-
დოების“ წევრთა გამრავლება და სხვა... რამდენად ქართველ
საზოგადოების გულგრილობა აბრკოლებს საქმეს, იმდენადვე,
თუ მეტად არა, არტისტები არიან დამნაშავენი, საჭირო არ
არ არის ამ მუხლის განმარტება, რადგანაც ყოველი ჩვენგანი
მოწამე ყოფილა ხშირად, როგორის ნაკლების ყურადღებით
ეცცებიან ჩვენი არტისტები თავით საქმეს: მათ ექნელებათ
არა თუ ახალის პიესის დადგმა, არამედ ათასჯერ ნათამაშ პი-
ესასაც ხშირად ვერ სდეამენ ხეირიანად... აგრეთვე ეჭვი არ
არის, რომ 20 წლის განმავლობაში „დრამატიულ საზოგადოე-
ბის“ გამგეთაც ბევრი შეცდომა მოსვლიათ, ბევრჯელ არ გამო-
უჩენიათ საქმაო მუყაითობა, საქმის ცოდნა და ამიტომ იმათაც
ედებათ ბრალი ჩვენის თეატრის ნელად წინ სვლისთვის. ყველა
ეს მიზეზები, რასაკვირველია, ერთმანეთში გადაბმულნი და
დაკავშირდებულნი არიან: ქართველი საზოგადოები იმიტომ ეკი-
დება გულგრილად ქართულ სცენას, რომ არ ამჩხევს მას წინ-

შევლელობას, გაუმჯობესობას, ხოლო სცენის გაუმჯობესობას შეუძლებელია, თუ საზოგადოება გულგრილობას იჩენს მის ბედ-ილბლასადმი, და სხვა... ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ საკიროა ქართველმა საზოგადოებამაც, არტისტებმაც და „დრა-მატიულმა საზოგადოებამაც“ აღიარონ თავისი დანაშაული და მეტის ენერგიით, მეტის გულმტკიცნეულობით მოეკიდონ იმ გვარ ლიდს საერთო საქმეს, როგორიც არის თეატრი. სა-კიროა ვილონიოთ ისეთი რამ ღონე, რომელმაც შეძლება მო-გვცეს, დღევანდელ პირობათ მიხედვით მანც წაესწიოთ საქმე წინ. ერთ ამ გვარ საშუალების შესახებ გვინდა ჩვენ ვთქვათ აქ ორიოდე სიტყვა.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ წესდებას პირვე-ლი და მეორე მუხლები ამ ნაირად ჰქონდავთ „საზოგადოების“ მოვალეობას:

§ 1. ქართული დრამატიული საზოგადოება ფუძნდება ქ. ტიფა-ლის მისთვის, რომ დაქმართოს დრამატიული სედოგნებას წარ-მატებას; კავკასიის სანამესტნაგაში მცხოვრებთ ქართველთა შორის; ამასთანებ დაქმართოს სამუდამო და შემთხვევათ ქართულ წარმოდგე-ნების გამართვას კავჭას საზოგადოებაში.

§ 2. ამ საგნის მისაღწევად საზოგადოებას აქვს ნება:

ა) მოიპოვოს საკუთრებად და დაიქირავოს როგორც დარ-ბაზი წარმოდგენების გასამართვად და სახლი საზოგადოების ქონების შესახასად, აგრეთვა გამდა ის, რაც სცენისათვის სა-ჭიროა;

ბ) მისცეს თავის ქონება სასმარტლად სამუდამო დასს და მოყვარულთა წრების;

გ) დაქმართოს მატერიალურად დამატავდ მწერლებს და არ-ტისტებს, რომ უფრო გავართვაშე მდეს მათი ნაწილი და მოქმედება;

დ) გამოიცეს ქართული ენაზე არიგინაზური და ნათარ-გმინი დამატიული თხზულებანი და, თუ საჭიროება მოითხოვს, გა-მოიცეს გაზეთა ან ექინალი განსაკუთრებათ დრამატიულის დატე-რატურისათვის და გრატივისათვის.



ე) დანიშნოს ჭილდო საუკეთესო დრამატიულ თხზულება—
თათვის ქართულს ენაზედ და

ვ) გამართოს ჭ. ტფილიშვილი თეატრალური კლასები და
დროებითი კურსები მთამზადებლად და გასაკარგიშებელად არტის-
ტებისა.

როგორც ხედავთ, „დრამატიულ საზოგადოების“ წესდე-
ბის შემდგენელთ კარგად ჰქონიათ შეგნებული, თუ რა დიდი
მიუშენელობა აქვს თეატრს და ამიტომაც აღუნიშნავთ ვრცლად,
ფართოდ და სავსებით ის საგანი, ის პროგრამმა, რომელსაც
უნდა ასრულებდეს „ქართული დრამატიული საზოგადოება“.
მაგრამ, სამწუხაროდ, „დრამატ. საზოგადოებამ“, იმის მაგიერ,
რომ ქართული თეატრის საქმე გაეჩაღებინა მთელს საქართვე-
ლოში, იმის მაგიერ, რომ შეექმნა დიდი და კარგი რეპერ-
ტუარი, რომ დაერსებინა სათეატრო კურსები, რათა ყველა
ამით ქართულ სკუნას აღესრულებინოს საესებით თვისი და-
ნიშნულება, როგორც ერის აღმზრდელისა, „საზოგადოებამ“
ისე შეავიწროა მოქმედება, რომ გარდაიქცა მხოლოდ ანტრე-
პრენიორად ტფილისის დასისა და მთელს თავისს ძალ-ლონეს.
ტფილისის თეატრის საქმეს ანდომებს. ჩვენ ზევითა ვთქვით, რომ
თეატრის დაქვეითების ერთი მიზეზთაგანია ქართველი საზო-
გადოების გულ-გრილობა. ქართველ საზოგადოებას რომ ზნე-
ობრივი და ქონებრივი დახმარება აღმოეჩინა „დრამატ. საზო-
გადოებისათვის“, შესაძლებელი იქნებოდა საქმე უფრო კარგად
წასულიყო. მაშასადამე, ეხლა საჭიროა,—რამენაირად ეს თა-
ნაგრძნობა გამოვიწიოთ. ჩვენის აზრით, საზოგადოების თანა-
გრძნობის დამსახურებისათვის საჭიროა „დრამიტიულ საზოგა-
დოების“ დღევანდელ პროგრამმის რეორგანიზაცია, საჭიროა
გაფართოება მოქმედებისა, ესე იგი, საჭიროა „დრამატიული
საზოგადოება“ შეუდგეს იმ პროგრამმის აღსრულებას, რომე-
ლიც დაუსახავს მისთვის წესდების შემდგენელს და თავი დაა-
ნებოს ტფილისის სკუნის ანტრეპრენიორობას.

მეტად სუსტი მხარე ქართულის თეატრისა დღეს არის რეპერტუარის ნაკლებობა. თავდაპირველად, მაშასადამე, ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. საჭიროა, ეხლანდელის რეპერტუარის გადასინჯვა, ორიგინალურ პიესებისთვის პრემიების დანიშნვა, ახალის პიესების თარგმნა და სხვა; აგრძელე საჭიროა სახალხო რეპერტუარის შექმნა, რასაც მოითხოვენ დრო და ცხოვრების დღევანდელი ვითარებანი.... შემდეგ საჭიროა გაფართოვება და გაუმჯობესება გარდერობისა, რათა ამ გარდერობით საჩივებლობა შეეძლოს არა მარტო ტფილისს, არამედ პროვინციასაც, რომელიც ხშირად ამაოდ სთხოვს ხოლმე „დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობას ამ მხრივ დახვარებას. ამაებს მოჰყვება დრამატ. საზოგადოების ცდა, რომ საქართველოს სხვა ქალაქებშიც შესდგეს დასები. ამ ბოლოს დროს ჩვენში დაიბადა სახალხო სცენა; ეს საჭიროება დღითი-დღე მატულობს და „დრამატ. საზოგადოების“ მოვალეობად ხდება—ხელი შეუწყოს სახალხო თეატრების დაარსებასა და განკარგებას ყველა ჩვენს ქალაქებში....

როდესაც „დრამატ. საზოგადოება“ ამგვარს ფართო მოღვაწეობას შეუდგება, მაშინ ქართველი საზოგადოების ინდიფერენტიზმიც ძლიერ იქნება. დღემდის ამგვარ მოღვაწეობას ხელს უშლიდა უმთავრესად ის გარემოება, რომ „საზოგადოება“ ტფილისის დასის ანტრეპრენიორად გარდაიქცა. ამიტომ ამ ანტრეპრენიორობას „საზოგადოებამ“ თვით უნდა დაანებოს. ამით თეატრის საქმე ტფილისში არ დაბრკოლდება, პირიქით, ჩვენის აზრით, გაუმჯობესდება კიდევ. ტფილისისა და ქუთაისის ქართველი საზოგადოება იმდენად შეეჩინა ქართულ სცენას, რომ იგი მისთვის საჭიროებად გარდიქცა. საჭიროება დაკმაყოფილებას მოითხოვს უკუთად და ამ საჭიროების დაკმაყოფილებას შეიძლებან თვით არტისტთა დასის შენახვა „დრამატ. საზოგადოების“ მიერ, საჭირო იყო მფარველობა, მეცენატობა; მაგრამ დღეი-

დან ეს ოღარ არის საჭირო: მუდმივი და უადგილო ქველ შოჭ-
მედება, მფარველობა და რევლამენტაცია აბრკოლებს ხელოვ-
ნებას. ჩევნი საუკეთესო არტისტები, მართალია, იმდენად შეკ-
ნებულნი არიან, რომ თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლიან
სიაიდისიერად ემსახურონ სამშობლო სცენას, მაგრამ, თუ ზნე-
ობრივ მხარეს პირადი ინტერესიც მიემატა, მათი ენერგია, მა-
თი მუყითობა გაორკეცდება. როდესაც არტისტები თვით იქ-
ნებიან დაინტერესებულნი მატერიალურად, საქაფ კარგიდ წა-
ვიდეს, მაშინ შეუძლებელია არ ეცადონ, რომ ნიჭიერი არ-
ტისტიც გამოხდებნონ და უველა ნიჭიერო გზა მისცენ, მხარი
დაუჭირონ. ეხლა კი, როდესაც არტისტები მფარვეო საზო-
გადოებისაგან ჯამაგირებს იღებენ, ისინი სრულიად წინააღმ-
დეგ უნდა მოიქცენ. როდესაც არტისტები მატერიალურად
იქმნებიან დაინტერესებულნი, რომ საზოგადოების თვატრ-
ში მოსაყვანად წარმოდგენები კარგიდ მოაწყონ, შეუძლებე-
ლია ისე გამოვიდნენ სცენაზე, რომ როლები არ იცოდნენ,
შეუძლებელია, გულგოლად მოეკიდნენ პიესების არჩევასა და
მომზადებას... ამბობენ, რომ თუ არტისტები თავის ნებაზე მი-
ვუშვითო და კონტროლი სრულიად მოვსპერო, ისინი, გატა-
ცებულნი მატერიალურის ინტერესით, ისეთს პიესებს ითამა-
შებენ, რომელიც ძიყურებლების სულსა და გულს არაფერს
არ მისცებენ და გემოვნებასაც გაუფუჭებენო. ჩვენის ფიქრით,
ეს შემცირი აზრია. ჯერ ერთი, თვით ჩვენი არტისტები იმ-
დენად შეგნებულნი არიან და ხელოვნებაც იმდენად უყვართ,
რომ არ იკადრებენ,—სცენა მასხარაობის ასპარეზად გადაქ-
ციონ; მეორე, გარემოებამ რომ კიდევაც დაკადრებინოს, ამ
შემთხვევაში თვით ქართველი საზოგადოება და ჩვენი მწერლო-
ბა იქნება მათის მოქმედების სასტიკი კონტროლიორი... ყო-
ველ შემთხვევაში, შესაძლებელია პირველ ხანებში „დრამატიულ-
მა საზოგადოებაში“ გარევანი კონტროლი შეირჩინოს; მაგალი-
თად, თუ იღმოაჩნდება, რომ არტისტთა ამხანაგობა ასკუდა სწორს
გზას, „დრამატიულ საზოგადოებას შეუძლია დასაჯოს იგი: არ
აუდი ხორცი გამოიტანა და დასაჯოს და არა აუდი არა აუდი“

აღმოუჩინოს შემწეობა გაჭივრების დროს, არ მისცეს ნება გარდერობით და ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სხვ... ეჭვი არ არის, რომ პირები ხანებში არტისტურა ამჟანა- გობას გაუკირდეს თავისის საკუთარის ძალით გაუძლვეს საქ- მეს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, როდესაც თავის ბედ-ილბალს თვით არტისტები ჩაიკდებენ ხელში, ისინი იძუ- ლებულნი იქმნებიან შეტი ენერგია გამოიჩინონ, და თვით ქართული საზოგადოებაც მეტის ყურადღებითა და სიყვარუ- ლით მოეცყრობა მათ მოღვაწეობას.

ამ რიგად ჩვენ იმ დასკვნამდე მიეცით, რომ „ქართულ დრამატ.“ საზოგადოებამ“ უნდა გაითავისუფლოს თავი ტფი- ლისის დასის ანტრეპრენიორობიდან, რაც სცენიურ ხელოვ- ნებას კიდევ მოუხდება, და შეუდგეს წესდებისამებრ სხვა თა- ვის დანიშნულაბისა და ერის წინაშე უფრო ფართოდ და სავ- სებით მოვალეობის აღსრულებას... მაშინ ის უფრო მეტს სიმ- პატიას მოიპოვებს ერისაგან და უფრო მეტას სარგებლობის მოატანასაც შეიძლებს!

ჯერ კიდევ თეატრის იუბილეის შესახებ ჩვენს გაზეთებში და საზოგადოებაში ლაპარაკი შეწყვეტილი არ იყო, რომ ქა- რთველ საზოგადოებას, დღესასწაულის მაგიერ, სამგლოვარო დღე გაუთენდა: გარდაცვალა ერთი უმთავრესი მოქილნახულე- თაგანი ჩვენის ქვეყნისა—გიორგი ექვთიმესქე წერეოელი. მის გარდაცვალების ამბავში მსწრაფლ მოირბინა ეს ჩვენი პატარა ქვეყანა და ყოველ კუთხიდან მოგვივიდა ტფილისში ცნობები საერთო მწუხარებისა და გლოვის შესახებ. სამწუხაროც და სამგლოვაროც იყო ეს ამბავი, რადგანაც პატარა გუნდს ჩვე- ნის მოღვაწეებისას გამოაკლდა ნიჭიერი და მშრომელი მუშა- კი, სამშობლოსათვის კეთილის მსურველი და ამ კეთილისთვის მზრუნავი.

დიდია, მეტად დიდი ის ამაგი, რომელიც მიუძღვის ჩვე- ნის ქვეყნის წინაშე გარდაცვალებულს. დღეს ყოვლაც შეუძ-

ლებელია სავსებით დაფასდეს ეს ამაგი: ამისთვის ჯერ საჭიროა განველოს დრომ, რათა მის მნიშვნელობის დამახასიათებელმა უფრო ობიექტურად აღისრულოს თავისი საქმე—არც კამდე აღამაღლოს განსვენებული, არც წაართვას მას ღირსებანი, როგორც აუცილებლად მოიმოქმედებს თანამეტროვე დამფასებელი, რომელიც ან მისს გვერდით იბრძოდა, ან მის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ აქ არ შევუდგებით მისი მოღვაწეობის დაფასებას, მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგიერთ საყურადღებო მომენტებს და თვისებებს.

საკვირველი დრო იყო რუსეთში ის დრო, როდესაც გორგი ექვთიმეს აქ წერეთელი სწავლობდა და საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისათვის ემზადებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერის უმეტესობა მონობის ჯაჭვებს ატარებდა, ხოლო საზოგადოება დახავსებულ აზიურს ატმოსფერაში სცხოვრობდა, სადაც აღვილი არ ჰქონდა იდეალურ მისწრაფებათ, იქ არსებობდა პატარა წრეები მწერლობისა და მოღვაწეებისა, რომელნიც საკვირველის იდეალიზმით იყვნენ აღჭურვილნი. ამ იდეალისტებს, თუმცა ათასი სხვა-და-სხვა გარემოება ელობებოდა წინ, შესანიშნავი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე, უმეტესად ახალ-თაობაზე. მათ გაელენის ქვეშ მყოფი რუსეთის მოწინავე საზოგადოება და ახალგაზრდობა გაიტაცა დემოკრატიულ-პროგრესიულმა იდეებმა... სწორედ მაშინ რუსეთისათვის განახლების დრო დადგა. ის იყო დასრულდა ყირიმის ომი, რომელმაც რუსეთს პირველად დაანახვა, თუ რა უვარესი, თუ რა დამლუპველი იყო მისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. მაშინ შეიქმნა ცხადი, რომ ერის უმრავლესობის მონობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია, რომ ახალი ვითარებანი ევროპის საზოგადოებრივ-ეკონომიკურის ცხოვრებისა თხოვლობდნენ რუსეთშიაც რეფორმებს, თუ რუსეთს არ ჰსურდა სრულიად აზიურ ქვეყნად გადაქცეულიყო. დადგა ეკრედ წოდებული განმათავისუფლებითი ეპოქა, როდესაც მთავრობა და საზოგადოება შეუდგნენ დიდის რეფორმის აღსრულებას, იმ რეფორმის, რომელმაც ფენიქსებრ განაახლა რუ-

სეთი, ჩააყენა იგი ეკროპის სახელმწიფოთა რიცხვში და შესაძლებელიად გახადა ქვეყნისათვის მოქალაქობრივი განვითარება.

რუსეთის ამ დროს ვეღარ იცნობდა კაცი. განახლების ხანა დადგა ყოველ სფერაში: სოციალურ განწყობილებაში, ლიტერატურაში, საზოგადო ცხოვრებაში. ყოველივე და ყველა ჩქარობდა განთავისუფლებულიყო ძველ დროიდან, ძველ ვითარებიდან, დაეგმო ყოველგვარი მონობა, რომელიც ხელ-ფეხს უბორკავდა ერს...

ამავე დროს ევროპაშიაც ხდებოდა შესანიშნავი ამბავი. იქ აგრეთვე მონობისაგან თავისუფლდებოდა მთელი ერი. იტალიელთ მამაცური ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ამხნევებდა დასავლეთ ევროპის სხვა პატარა ერებსაც. ერთა დამოუკიდებლობის პრინციპი და დემოკრატიული მოძრაობა ერთმანერთში გადაიხლართნენ და მაშინდელი ეროვნული ბრძოლა იმავე დროს დემოკრატიული მოძრაობა იყო. ამ ბრძოლის ხმები რუსეთშიაც მოდიოდა, რასაკვირველია, და კიდევ უფრო აცხოველებდა და ამხნევებდა რუსეთის მოძრაობას.

სწორედ ამავე სპეციაც დროს რუსეთში სწავლობდა ის მცირე გუნდი ქართველ ახალგაზდათა, რომელთაც ბედმა მალე მძიმე მოვალეობა არგუნა. ამ ახალგაზდათა შორის პირველი ადგილი ეჭირიათ: —ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ნიკოლაძეს და აწერ განსვენებულს გიორგი წერეთელს. მათ განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ცხოვრების მაშინდელ ევოლუციას. მის მეოხებით მათ გაცენეს ეკროპა, ეკროპის მეცნიერება, ლიტერატურა და ამასთანავე რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან ერთად გატაცებულ იქმნენ დემოკრატიულის იდეებით. კარგი თესლი შევენიერს ნიადაგზე დაეცა და ნიჭიერმა ახალგაზდებმა სწორედ სასწაული მოიქმედეს სამშობლოში.

აქ მათ დახვდათ ნამდვილი აზია. ერის უმრაველესობა მონობის მძიმე ულელს ატარებდა, მოწინავე წოდება ლუარსაბთათქარიძის ცხოვრებით იყო სულდგმული, ხოლო საზოგადოება, როგორც ეხლა ჩვენ გვესმის ეს სიტყვა, არ არსებობდა.

დახურულ და დახავსებულ ცხოვრებაში არავითარი იდეალი არ ტრიალებდა... ამ გეარს ბნელსა და მყუდრო ცხოვრებაში გაისმა უკრად ბრძოლის ხმა: ჩვენმა ბელადებმა ომი გამოუცხადეს აზიას ევროპის პროგრესის სახელით. აღორძინდა ლიტერატურა—ეს მძლავრი იარაღი ერის განვითარებისა—და სათავეში ჩაუდგნენ მას ოთხი ზემოდ დასახელებული მოლვაშვილი. მათმა საკვირველმა მუშაობამ მოამზადა საზოგადოება დიდის რეფორმისათვის. მალე გაისმა სანატრელი ხმა ბორკილის მტვრევისა და ჩვენშიაც დადგა ახალი ხანა განვითარებისა და მოქალაქობრივ ცხოვრებისა. მავრამ სამუშაო უფრო ბევრი გაჩნდა ეხლა და ჩვენს ბელადებსაც, თათქო ეს უნდოდათო, მხნეობა გაუორჩეულათ...

ამ ბრძოლაში ჩვენის ერის თეოთუნობიერების გაღვიძებისათვის გიორგი წერეთელს „შესანიშნავი ალავი ეჭირა. ახალგაზდა, ნიჭიერი, კარგად მომზადებული, ენერგიით საესე ვითარები გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე და მხნედ შეებრძოლა დახვესებულს ცხოვრებას. მალე მან, ნ. ნიკოლაძესთან ერთად, შეჰქმნა პრესა,—ეს უძლიერესი იარაღი ერის გაღვიძებისა და განვითარებისთვის და თვით შექმნა მებრძოლ უზრნალისტად. ის აასებს გაზ. „დროებას“, შემდეგ „სასოფლო გაზეთს“ და „კრებულს“; შემდეგ მუშაობს „ივერია“—ში და ყოველგან ერთისა და იმავე სიმხნევით ქადაგებს პროგრესისულ-დემოკრატიულს იდეებს, ეროვნულ დედა-აზრით ასულდგმულებულთ.... ამასთანავე ის ჩვენს შესანიშნავს მრავალ-მხრივობას. უზრნალისტი ჰკიდებს ხელს ბელადეტრისტიკას და აღმოჩნდება, რომ ის უნიჭიერესი ბელადეტრისტია. გიორგი წერეთელი მკვიდრად ამყარებს ჩვენს ლიტერატურაში რეალურ მიმართულებას. თავის მრავალ ნაწარმოებში ის შესანიშნავის სინამდვილით და ამასთანავე ზოგან ცხოველის იუმორით გვიხატავს ჩვენის ერის ცხოვრების და ჰქმნის უკვდავ ტიპებს. გიორგი წერეთელის შიშვნელობა, როგორც ბელადეტრისტისა, დიდია ჩვენს ლიტერატურაში და მარტო ამისთვის, სხვა რომ არაფერი გაეკეთებია, უკვდავი იქნებოდა გიორგის სახელი ქართველთ ის-

შინული მიმოხილვა

75

ტორიაშვილი)... შემდეგ გ. წერეთელი ყურადღებას აქცევს ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიას და გატაცებით იკვლევს ჩვენს ძევებს ცხოვრებას, რათა ამით უფრო ნაყოფიერად ჰქმნას თავისი ბრძოლა ერის თვითცნობიერების გაწრთვისათვის. უნდა ეთქვათ, რომ მან მართლა გამოიყენა ისტორია ხსენებულ საგნისათვის; მაგრამ მეცნიერების იმ დარგში ის დილლეტანტი იყო და არაფერი არ შეუქმნია ისეთი, რაც ლირდეს მის სიტყვა-კაზმულ თხზულებასთან შესაღარებლად ან მის ურნალისტობასთან გვერდში დასაყენებლად.

მესამოცე წლების დასაწყისიდან სიკვდილამდე არ გაუგრია გიორგი წერეთელს ხელიდან კალამი და ამ დროის განმავლობაში მან აუარებელი დასწერა, ვეონებთ—ამდენი არც ერთს ჩვენს მწერალს არ უმუშავნია. ბევრს ამ ნაწარმოებთა განს ეტყობათ დიდი ნიჭი და მომზადება და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდათ ჩვენს ერის თვითცნობიერების გალვიძებისა და განვითარების საქმეში.

გარდა მწერლისა ჩვენი ქვეყანა გიორგი წერეთელს იცნობს, როგორც საზოგადო მოღებელს. მესამოცე წლებიდან დაწყებული გ. წერეთელი მონაწილეობას იღებს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეში, ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებაში. არ შევიძლიან აქ არ მოვიხსენიოთ, რომ ბოლოს ხანგებში ჩვენის ინტელიგენციის უმეტესობა არ თანაუგრძნობდა გიორგი წერეთლის საზოგადო მოღვაწეობის ახალს მიმართულებას. სახელდობრ, იმ გარემოებამ, რომ განსვენებული მწერალი მიეკედლა და მოხარჩედ გამოვიდა ტფილისის ბანკის სამწუხარო ბრძოლაში აწ არ არსებულის „ოპპოზიციისა“ და ქუთაისში—კ. ჩიკვაძის შესანიშნავის „ბანდისა“, დიდი უკმაყოფილება დაბადა ჩვენის საზოგადოების უმეტესობაში და დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია... ჯერ დრო არ არის გარემოებათა ყოველმხრივ აწონ-დაწონისათვის და მიუდგომელ მსჯავრის დადგბი-

*). გ. წერეთლის ბელლეტრისტიკის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი წერილი დაიბეჭდება ჩვენის უურნალის შემდეგ ნომერში.

სათვის და ამიტომ ახლა ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ რაც უნდა დიდი ბრალი ედოს განსვენებულს ამ საქმეში, ის ვერ დაავიწყებს ერს მის დიადს მნიშვნელობას ჩვენის აღორძინების ისტორიაში....

არ შეკვიძლია გვერდი ავუხვიოთ ერთ სამწუხარო ამბაეს, რომელიც გამოიწვია განსვენებულის გიურგი წერეთლის და კრძალვაშ.

ზევით ჩვენა ვიქვათ, რომ გ. წერეთლის გარდაცეალების ამბავში მწუხარება გამოიწვია მოელს ჩვენს ქვეყანაში. მის საპლობას და „კვალის“ რედაქციას დიდ-ძალი სამძიმრის დეპეშები მოუფრიდა და დაკრძალვაზე დასასწრებლად დიდ-ძალი ხალბი შეგროვდა. ამ საერთო გლოვაში მონაწილეობას იღებდნენ ისინიც, ეს შესახებაც ზევითა ვთქვით, რომ არ თანაუგრძნობდნენ განსვენებულის მიმართულებას უკანასკნელ ხანებშიც. ეს მათთვის გლოვა ადვილად გაძაგებია ყველასათვის: არ არის ქართველი შეგნებული კაცი, რომ არ აფასებდეს გ. წერეთლის დიდს ლვაწლს, მიუხედავად მიმართულებისა, მიუხედავად ამათუ იმ შეხედულებისა ზოგიერთ ჩვენ საზოგადო საქმეზე. რაღა საკვირველია, რომ ამ შეგნებულმა ქართველმა მოინდომა უკანასკნელი პატივი ეცა სამშობლოს მოჭირნახულესთვის?! მაგრამ ამ ფაქტს სრულიად სხვა რიგათ შეხედეს გაზ. „კვალის“ თანამშრომლებმა და მკითხველებმა. დაკრძალვის დღესვე, დილით, „კვალში“ შემდეგი საკვირველი სიტყვები ამოიკითხეს ყველა მათ, ვინც განსვენებულის სახლისაკენ მიერთოდა, რათა უკანასკნელად პატივი ეცა პატივსაცემ გარდაცვალებულისათვის:

.....აი ვინ იქავი შენ, ძეინფასო გიორგა! მაგრამ რადგანაც ამ ჩვენ გათახსიარებულ დროში არც ერთ ამ ოვისებას ფასი აღარ აქვს, ამიტომ აღარც შენ დაგდეს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოსკონება არც გარეათ უთვინობაში და არც აქათ უთვინობაში. და აი, როცა შენ სამუდამო მოისევნე, სამუდამო დადუშდი, ძრისევნეს და დადუშდენ ისინიც და ახლა შენი ცხედრის წინაშე უკალა ერთათ

თავშეუზიდა სინანულს ეძღვანან. ამოიხედე ერთი ზეპით და ამათ
შენებრ წელი სმით უთხარი: „მოძირევებია“!..

ვინ რა სინანულს ეძღვოდა განსვენებულის ცხედრის წი-
ნაშე—ეს, ალბათ, ბ. ეორდანის საიდუმლოებას შეადგენს...
ვინც გ. წერეთელს ებრძოდა საზოგადო საქმეების გამო და
არა კერძო, პირადი რამ ანგარიშებისა (უკანასკნელში სახეში
არ ჰყავდა, ალბათ, ბ. ეორდანის და არც არიან საფალი ში
მისაღები), ის, რასაკვირველია, ვერავითარს სინანულს ვერ იგრძ-
ნობდა. იმ წამს გ. წერეთელი რომ ამდგარიყო საფლავიდან,
ბრძოლა საზოგადო საქმეებისა გამო მაშინვე დაიწყებოდა. მი-
სი მოპირდაპირენი მის საფლავის წინაშე წარსდგნენ, რათა
თაყვანი ეცათ ქვეყნისთვის მებრძოლ და ერთგულ მოღვაწი-
სათვის და არა პატივების სათხოვნელიდ...

მეტად უხერხული სიტყვა ბ. ეორდანისი თურმე ნამდვი-
ლი mot d'ordre-ი იყო, რომელიც ბელადმა თავის ჯარის-კაცთ
მისცა. უკანასკნელებმაც სავსებით აღასრულეს დლიური პროგ-
რამმა და სასაფლაოზე შემაძრწუნებელი განგაში შეიქნა. ერთ-
მა გამოაცხადა—მე მებრალებიან გ. წერეთლის წინააღმდეგ-
ნიო, მეორემ დაპირ ისინი, შესამეგმრავალი კრულვა და წყევ-
ლა წარმოსთქვა და ასე crescendo მიდიოდა საქმე, სანამ ერთ-
მა ზიზღიც არ წარმოსთქვა... ამგვარს უზნეობას, უტაკტობას
და უსირცხობას ძნელად წარმოიდგენს კაცი!..

ჩვენში, სამწუხაორიდ, მოწინააღმდეგენი, პოლემიკის დროს,
ხშირად გადასცილდებიან ხოლმე საზღვრებს და უზრალ-გა-
ზეთებში უმართებულო კილოოთი შეიქნება ბრძოლა. ამგვარი
ნაკლუვანება თან ახლავს ბერს ჩვენს მოღვაწეს და არ იყო
მისგან თავისუფალი თვით განსვენებულიც. ამიტომ, თუ ეს და-
ნაშაულობაა, იგი საზოგადო—საერთო დანაშაულობაა და რა-
ტომ ერთ შხარეს უნდა დააწყდეს თავს ამდენი წლევლა-კრულ-
ვა! მაგრამ, ვთქვათ, გ. წერეთლის მოპირდაპირენი გასაკიცხ-
ნი აყვნენ იმიტომ, რომ ყოველისფერში არ თანაუგრძნობდნენ
მას. განა ამ გაკიცხვისთვის სხვა დრო და ადგილი არ მოიძე-
ნებოდა? როგორ ვერ მოისაზრეს „გმირ-ვაებატონებმა“, რომ

საინი სასირცეო საქმეს ჩადიოდნენ, რომ მტრებთან ანგარი-
შების გასწორებისთვის სხვა აღვილია საჭრო, რომ, სხვა არა
იყოს-რა, უზრდელობა იქვე, გაუციებელ ცხელის წინაშე, გა-
ლანძლვა იმათი, ვინც წრფელის გულით მოსულა, რათა მუხ-
ლი მოიდრიკოს დაუღალავ მოჭირნახულის წინაშე?! შესაძ-
ლებელი იყო ამ მოპირდაპირეთაგანაც გამოჩენილიყო ვინზე
ისეთივე უტაჭტო, როგორიც ბ. ეროვნულიას ერთი ქვეშვრ-
დომთაგანია და დაეწყო კრულვა-წყევლა. ეს ხომ იქვე მდება-
რე გვამის დამამცირებელი ამბავი იქნებოდა და, როგორ ჰგო-
ნია ბ. ეროვნულიას — ვინ იქნებოდა ამ დამცირების მიზეზი?

დიალ! დიდი უსაქცევლობა ჩაიდინეს ზოგიერთმა ვაჟშატო-
ნებმა საერთო გლობურების დღეს...

୩୫୮

უცხოეთის მიმოხილვა

မြန်မာနိုင်ငံတော်လွှာများ မြန်မာနိုင်ငံတော်လွှာများ—အ-

«უკრაინულები უკუკრაინულები უკუკრაინულები» — რიკას — ევროპიული ნაკლებ უკრადლების აქციების მეტე საუკუნის დასაწყისიდან კი ეს უკრადლება თან-და-თან ძლიერდებოდა და ამ ბოლო ხანებში აფრიკაში ისეთივე ძგირი დაიკავა საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორიც უჭირავს აზიას. ჩრდილოეთი, სამხრეთი და ცენტრალური აფრიკა შეიქმნენ ევროპის ერთა ბრძოლის ველიდ, სადაც ისეთივე რთული და ძნელი ნასკეი გამოიკვანძა, როგორც აზიის აღმოსავლეთში. უპირველესი ადგილი იმ ერთა შორის, რომელნიც ეტანებიან „შავს მატერიკს“, უჭირავს, რასაკვირველია, ინგლისელთ. მათ დაარსეს სამხრეთ-აფრიკაში უმდიდრესი ახალშენები — ნატალი, კაპლანდი და ბოლოს დროს როდეზია, გაბატონდნენ ჩრდილოეთ-აფრიკაში, სადაც ხელთ იგდეს ეგვიპტე და გზა გაიკაფეს აფრიკის შეუ გულში, სადაც დაიმორჩილეს სუდანი. მათ მეტად გაძლიერებულს ვაჭრობა-მრეწველობას ფრიად დიდი ასპარეზი და ფართო ბაზარი ეჭირვება და ამიტომაც ინგლისის ბურჟუაზია განუშვერდივ გზაენის „საექსპედიციო რაზმიბს“ ათრი დაში და განოჭყვიტოდ აღრის იქ კავის სისხლს.

შეტად გაძლიერდა ინგლისის აგრძესითული პოლიტიკა აფრიკაში მა 10—15 წლებში მაინც: აქ იმდენად ბაზარი აღარ არის ხაჭირო, რამდენადაც დიდი-ბრტყანის სახელისა და ძლევა-მოსილების გაძლიერება... მაგრამ ამ ძლევა-მოსილებას ამ ქამად მოულოდნელად წინ გადაელობა წინაა-

ლმდევგობა ორის პატარა რესპუბლიკისა, რომელთა თავ-განწირულ ბრძოლასაც განცვითებაში მოჰყავს დღეს მთელი კაცობრიობა!...

საშერეთი აფრიკა ყოველთვის უფრო იზიდავდა ევროპი-ელთ, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილი აფრიკისა. იქ უკვე მეჩვიდ-მეტე საუკუნეში ინგლისელებმა დააარსეს ახალშენები ნატალი და კაპლანდი. შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, იქ მიაწყდა დიდ-ძალი ეკონომიკული, უმთავრესად ჰოლანდიელნი, რომლებიც თავდაპირველად ინგლისის ხსენებულ ახალშენებში დასახლდნენ. გადმოსახლებულ ჰოლანდიელთ, რომლებმაც ახალ სამშობლო ში „ბურებას“ სახელწოდება მიიღეს, არ ეპყრობოდნენ მაინცა და მაინც ლმობიერად ინგლისელები და ამიტომ მათი უმრავლესობა დაიძრა ჩრდილოეთისაკენ, გაღვიდა მდინარე ვაალის იქითა ნაპირზე და იქ დასახლეარდა; ხოლო ნაწილი ბურებისა დაბინავდა მდინარე ორანეეს ნაპირებზე. ამნაირად დაიდო საძირკეელი ბურების ორის სახელმწიფოსი: ტრანსვაალისა (ესე იგი, მდინარე ვაალის იქითა მხარე) და ორანეეს რესპუბლიკისა.

